


აქაბის


თ ვ ი უ რ ი



წელიწადი მეორე

№ XII

დეკემბერი, 1899



თბილისი

სტამბა ეკ. ივ. ხელიძისა. ✶ Тип. Ев. Ив. Хеладзе.

1900

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 12-го Января 1900 г.



პირველი განყოფილება.

გვ.

I	რჩევა (ლექსი). აკაკისა	. 1— 2
II	ავადმუროვს შგოსანს (ლექსი) სიღოვანისა	3— 4
III	პარბადმუროვს შგოსანს (ლექსი) აკაკისა	5— 6
IV	თავბანწირული ეჭიმი დ. კამკამიძისა .	7— 22
V	საქართველოს დედა-ქალაქი ტფი- ლისი (დასასრული) მ. ჯანაშვილისა	23— 50
VI	ამირანი (დრამატული პოემა) სევასტი განჭილასძისა	51— 98
VII	ისტორია ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა ზ. ჭ.—სა.	99—151

მეორე განყოფილება.

I	ხალხური ლექსები, შეკრებილი სოსიკო მერკვილასძის-მიერ	. 152—154
II	ანდაჯები (მისივე) .	. 155—156
III	ჯმა (მისივე)	. 156



რ ჩ ე ვ ა.

(ზოგიერთების საპასუხოდ)

„შენი გზა აღმაფრენაა
და მარტო ჩანგი—ხელობა!
დაბლა ქვეყანას რას არგებს
შენი ზრუნვა და მსჯელობა?“

—

ჰაერში მოქიკვიკე ხარ,
ზე ანატაცი ტოროლა!
ქვეყანას ზოგიერთები—
ვეყუფით, თვითო-ოროლა.

—

ჩვენ დაგვაცადე! ჩვენ ვიცით,
რაც უნდა ჩვენსა მხარესა.
შენ წადი და ესაუბრე
ვარსკვლავებს, მზეს და მთვარესა.“


—

ასე ურჩევდენ მგოსანსა
ზონონიკა და ტეტია.—
ერთი მათგანი ბრიყვია
და მეორე კი ცეტია:

ჯერ არ იციან არც ერთმა,
თუ „რა ხილია ხურმაო?“
„ჩემზე მეტს რომ იწველიდეს,
დამწიხლოს მე იმ ფურმაო!...“

1867 წ.

აკაკი.



პეპღმყოფს მემოსანს

(ვეძღვნი აკაკიხ)

გამხნეველი სულოთ, გამხნეველი!
არ, არ გიჟუსტოს სხეულმა!
არ დაგიმონოს, მგოსანო,
საწუთროს სხივმა წყეულმა!

კიცხვა და ლანძღვა უმართლოთ
ხშირია, ქვეყნის მეფეა!..
შოთამ სთქვა: „ვარდი უეკლოთ
არავის მოუკრეფია!“

სანამ ცოცხალ ვართ—გვდევნიან,
არ მოგვიშლიან კბენასა,
ჩირათ აგდებენ მოყვასის
ლმობიერისაც—წყენასა.

სხვა-და-სხვა ქირის წყალობით
ჩვენი ცხოვრება—მტერია,
და კიდევ ადამიანიც,
ადამიანის მტერია!..

დახე ცრუთ ენას, მტერთ შურსა,
სოფლის ქირსა და ვარამსა!
დიდებულს მგოსანს უვიცი
ვის გიწუნებენ კალამსა?!

მაგრამ იცინე ჩვეულებრ,
გულში სთქვი, ენა მზიანო:
„წყალნი წაელენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო!“

გეტყვი, მოხუცო მგოსანო,
~~თუმცა~~ რა მრჯის შენი სწავლებაჲ!
თვით უწყი, ჩენი საწუთრო
სხვა რაა, თუ არ წვალებაჲ!

მიტომაც გემართებს მხნეობა
გავკაე-სალ-კლდედეთ გულითა!
დე გვკიცხონ უმართებულოთ,
ნუ დავეცემით სულითა!*)

სილოვან



*) ეს ლექსი იყო დაბეჭდილი „კვალში“ № 49 1894 წ.

კარვადმყოფ მგოსანს

(ვუძღვნი სილოვანს)

პასუხად თქვენის წერილის,
მოღვაწევე პატიოსანო,
ნება მიბოძეთ მოგიძღვნათ
თქვენივე ლექსი, მგოსანო!

და გთხოვთ, რომ გადაუკითხოთ
ოპოზიციის სილოვანს,
რომ თვით მან დასდოს სახელი
მის მჩატე ნახტომს რწყილოვანს.

და ჩვენ კი არას შევკადრებთ
მის მაღალ პატიოსნებას,
რადგანც ამყოლი ბევრი ჰყავს
ჩვენში საკუჭო ოცნებას.

აკაკი



თავ-განწირული ეპიში.

იანერის სუსხიანი დღე იყო. აღმოსავლეთის ქარი დილიდამ საღამომდე განუწყვეტლივ ჰქროდა. გზებში ნამქერი იყო შეყრილი. თუმცა თოვლამ ცოტად იკლო, მაგრამ ქარი ფიფქს თოვლს დაავლებდა ხელს, აიკალათავებდა, მერე შეიბურთავებდა მალა და ისეთი სისწრაფით ჰფანტავდა ჰაერში და ამტეერებდა, რომ თვალით ვეღარაფერს დაინახავდით. თოვლი ზოგან სულ ახვეტილი იყო ქარისაგან, ზოგან კი ისეთი მთები იდგა, გეგონებოდათ, ვილასაც ხელით მოუტანია და განგებ აქ დაუყრიაო.

ერთს უსიერს მთაში, მაღლობ გორაზედ გაშენებული იყო სოფელი „საქორელა“. სოფელი მეტად თხლად იყო დასახლებული. სოფელს გარშემო ტყეები ჰქონდა შემორტყმული. აგერ შორს, შორს აღმოსავლეთის მხრით, მოსახლეებზე კარგა მანძილზე დაშორებული, ბუჩქნარ ტყეში წამოყუნტული იყო ერთი ქოხი, რომელიც დიდი თოვლის გამო ძლივს-ღია მოჩანდა.

დაღამდა. ქარი ცოტა ხანს ჩადგა. არსით ხმაურობა აღარ ისმოდა. ყველანი ტკბილს ძილს მისცემოდნენ. ამ სიჩუმეს და მყუდროებას მხოლოდ სიცივისაგან შეპყრობილი ძაღლების წკმუტუნი არღვევდა. პატარა მიქუქუულ ოთახიდან, რომელიც საჯალაბო სახლს ჰქონდა გვერდზე

მიდგმული, მკრთალი სინათლის შუქი გამოჰკიაფობდა. ოთახში ერთს კუთხეზე ტახტი იდგა. ძლივს გაარჩევდით, რომ ტახტზე ვიღაც იწვა. ტახტის თავით, კედელზედ იყო მიყუდებული ერთი შუა-ხნის ქალი, რომელსაც თავი ტახტზე ჩამოედვა, თავ ქვეშ ხელები დაეწყო და ისე დასძინებოდა. მეორე კუთხეზე იყო მიწოლილი მოხუცებული კაცი, რომელსაც ზევიდან ჩოხა ჰქონდა გადაფარებული და რომლის ხერინაც ოთახის მყუდროებას არღვევდა.

შუა-ღამე გადასული იყო. ქარი, რომელიც საღამოს ქაშზე ჩაღვა, ნაშუაღამევს ისევ ამოვარდა გიქსავით და კორიანტელს აყენებდა. ხან-გამოშვებით ისე მაგრად დაეტაკებოდა ხოლმე სახლს, რომ, გეგონებოდათ, დანგრევას ჰლოამობსო. კედლებში ქარი სისინით შემობროდა და თან თოვლის ნაქერი შემოჰქონდა. ტახტზე ვიღაც შეინძრა, ერთიც ხმა მალლა წამოიკენესა და დაიძახა: „ვაი დედა!“ ამ სიტყვებმა და ტახტის განძრევამ თეკლეც გამოაღვიძა. საწყალი თეკლე გაბოროტებული წამოვარდა ზეზე და სანთელს ხელი წაატანა. სანთელი, რომელიც ძლივსლა ბეუტავდა, უნავთობის გამო, ტახტთან მიიტანა, საბანი გადახადა და პატარა დათიკოს ჩახედა.

— დათიკო, რა იყო, გენაცვალე, რაი? მითხარო გენაცვალე, რატომ დაიკვნესე, სადანა გტკივა?— ეხვეწებოდა თეკლე თავის შვილს.

დათიკო ხმას არ იღებდა, მთლად გაშეშებულიყო. ცალ კუთხეზე თავი გადაეკინცა და სიმწუხრის ცხელი ოფლი ასხამდა. საზე გაფითრებოდა და თვალის უპეებო მალლა შეეტრიალებია.

— ოხ, ღმერთო, ჩემო! ბუტბუტებდა თეკლე. ეს ორი ღლეა, რაც სხვანაირად იყო და ვიცოდი კაი არაფერი დამემართებოდა...

თუნუქის ღუმელში ცეცხლი ჩამქრალიყო. ოთახში მცტად სცივოდა. თეკლე მივიდა მამამთილთან და კოტა მორიდებით გააღვიძა.

— ბატონო, კოტა ხანს ადექი და ცეცხლს შეუკეთე. დათიკო არის ძალიან ავად და რა გვეშველება— ღმერთმანი?!

საწყალი ბერიკაცი გაბოროტებული წამოვარდა ზეზედ და დათიკოს საწოლთან მივიდა.— რა იყო, ბაბული, რაი? რა გტკივა? ჩასძახოდა დათიკოს ბაბუა მისი, მაგრამ დათიკო ხმას არ იღებდა.

ბერიკაცი ღუმელთან მივიდა და ცეცხლი მალე გააჩაღა. დათიკო ერთი შეიშმუშნა, წამოვარდა ზეზე, საზარელი ხმით დაიკივლა და ისევ ლოგინზე დაეშვა. ხელფეხი მთლად უკანკალვდა და თავ-კისერი უნებურად ემანჭებოდა.

— არიქა, ბატონო, შეილი მიკედება! დაიყვირა თეკლემ და დათიკოს ხელი წამოატანა. აიყვანა ხელში, კოცნა დაუწყო და ხმის გაცემას ეხევეებოდა.

— ერთი სიტყვა მაინც გამაგონე, შენი ჰირიმე, დათიკო, ერთი; შენი საწყალი დედა არ გეცოდება? სადანა გტკივა, შეილო, მითხარი? ბავშვი ხმას არ იღებდა. თვალები მომაკვდავივით უკან წაელო.

ძნელი წარმოსადგენი იყო თეკლეს მდგომარეობა. ეს ისე უეცრად შეხვდა და მერე ღამე, როდესაც ნათიკი აღარ ჰქონდა, რომ სინათლეზე ეყურებინა თავისი ერთად-ერთი შვილისათვის. თეკლე სცდილობდა მარჯვედ ყოფილიყო, მაგრამ უგრძნობელი შვილის შეხედვა გულს უთუთქავდა. უნდოდა წასულიყო, მეზობლისთვის შეეტყობინებინა, მაგრამ ისეთი ღამე იყო, რომ თვალში თითხ ვერ მიიტანდით. საწყალი ბერიკაცი

თვალ-ცრემლიანი იჯდა ტახტის ბოლოზე და გულ-გახეთქილი დათიკოს თვალეებში მისჩერებოდა.

ბევრი იშფოთა დათიკომ, ბევრი იტრიალა და მეტად მოიქანცა. ცოტა მიეძინა. მამლებმა ყვილი დაიწყეს; გათენებამაც მალე მოატანა. ოთახში სიჩუმე იყო. მეზობლებს შეეტყვოთ დათიკოს ავადმყოფობა და ახალი გათენებული იყო, რომ თეკლესას თავი მოიყარეს. ხალხი იმოდენი შეიკრიბა, რომ სატეობა აღარ იყო. მოსვლისათანავე ყველანი ჯერ შედიოდნენ ოთახში დათიკოს სანახავად და მერე გამოდიოდნენ საჯალაბო სახლში, სადაც შუაცეცხლი იყო გაჩაღებული. დაბალი სადილობა იქნებოდა, როდესაც დათიკოს გამოეღვიძა; ისე იყო ანთებული პირზედ, გეგონებოდათ, ალი უკიდაო. თეკლეს ეგონა ძილში ყველაფერი გაივლიდა, მაგრამ იმედმა უმტყუნა. რამდენიც უფრო დრო მიდიოდა, იმდენი უფრო უმატებდა დათიკოს სიცხე; მისს გულის ცემას კარებთან გაიგონებდით.

გაიესო ოთახი მნახველებით. თეკლე გიჟსავეით დარბოდა და ყველას შეველას ეხვეწებოდა. ორი-სამი გზობა გაგზავნეს სოფლის აქამ-დედაკაცებთან, წამლებიც ბევრნაირი მოუტანეს, მაგრამ დათიკოს ავადმყოფობას ნირი ვერ უქციეს.

ამ უბედურებას მეტად აზვიადებდა ცუდი ამინდი. ქარი, რომელიც ნაშუალამევს ამოვარდა თან-და-თან ძლიერდებოდა. ქარის შიშით კარებს ველარ აღებდნენ. ოთახი კომლით ივსებოდა, რადგანაც ღუმელის ლულიდან ქარი უკან აბრუნებდა მას.

— თეკლე, მართლა, იცი რა გამახსენდა? უთხრა თეკლეს მახლის-წულმა—სოსომ.

— რაი, შენი ქირიმე, სოსო?!

— რაი და... დღეს პარასკევი არ არის?

— პარასკევია... მერე რა გინდა?

— რაი და ყოველ პარასკეობით ჩვენს კანცელარიაში დოხტური მოდის ხოლმე და მოდი შევატყობინოთ:

— ვინ გითხრა, რომ მოდის ხოლმეო?

— მე თვითონ ვიცი; ჩვენს ეკლესიაზე მამასახლის-მატკი გამოგვიცხადა, რომ ყოველ პარასკეობით დოხტური მოვა ხოლმე კანცელარიაში და ვისაც ან ავადმყოფი გყავდესთ და ან თვითონ იყოთ ავად, მოდით და ნახეთო.

— ეგ კარგი დაგემართოს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ასე გამიგონია დოხტური ქე მოკლავს ავადმყოფს, სასიცოცხლო პირი თუ ვერ შეატყოო,—მეორე კიდევ რომ არაფერი უხიმანოს, ვის აქვს მისი ფულის მიცემის თავი? ის ფეხის ქირას ბევრს ითხოვს და შეიძლება არც კი იკადროს და არ შეიწუხოს ამისთანა ამინდში თავი, უთხრა თეკლემ სოსოს.

— არა, თეკლე, ამბობენ, რომ ძალიან პატიოსანი კაციაო. ფულის ხარბი კაცი როდია თურმე; რამდენსაც მისცემ, იმდენს დაგჯერდება, სულაც რომ არაფერი მისცე, არც არაფერს იმაზე იტყვის. ცოტა თავი შევებრალოთ და ერთი სამ-მანეთიანი ქე ვაჩუქოთ.

— ან სამი მანეთი სად გამაჩნია მე ბედკრულს!

— თუ ღმერთმა ჰქნა და ამისთანა ამინდში უარი არ გვითხრა და წამომყვა, სამს მანეთს მე ჩემი ჯიბიდან მივსცემ-

— მაგას რაღა აჯობებს, ჩემო სოსო, თუ მიშველით რასმეს, თუ მე ვერ გადაგიხადეთ ღმერთი მაინც გადაგიხდისთ.

სოსო მაშინვე მოახტა ცხენს და წავიდა კანცელა-

რიაში ექიმის მოსაყვანათ. კანცელარიაც არ იყო ძალიან შორს, სულ ექვის ვერსის მანძილზე თუ იქნებოდა.

— ვინ გნებავს? ჰკითხა იასაულმა სოხოს, როდესაც ეს უკანასკნელი არა-ჩვეულებრივად შევარდა კანცელარიაში.

— დოქტორს ვეძებ, შენი ჰირიმე, მიუგო სოსომ.

— რად გინდა დოქტური?

— ჩვენს თეკლეს ოტია გრძელიძის ქვრივს, ერთი ვაჟის მეტი არა გააჩნია-რა და ამ ქამად ისე არის შეწუხებული, რომ ავუსწრებ თუ არა, არ ვიცი! მაჩვენე, შენი ჰირიმე, დოქტური, თუ აქ არის. უნდა დავუჩოქო, მოხლებზედ უნდა მოვეხვიო და იქნება შემობრალოს, იქნება წამომყვეს?

— დოქტური აგერ ახლა სხვამ წაიყვანა. ჯერ მოვა თუ არა დღეს, ისიც არ ვიცი და თუ მოვიდა, სალამომდის მაინც ვერ მოვა. უთხრა იასაულმა სოსოს.

სოსო მეტად შეწუხდა. დათიკო ისე ავად იყრ, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა იმისი სიკვდილისაგან დახსნა, მხოლოდ ექიმის საშუალებით. დაღონებული შეჯდა ცხენზე სოსო და წავიდა სახლში.

— ქე არ გითხარი, ჩემო სოსო, არ წამოგყვება-მეთქი! იქ იქნებოდა, მაგრამ ამისთანა ამინდში როდი შეიწუხებდა თავს. ვინც ბეგრს ფულს მისცემს წინ-და-წინ იქნება იმას წაყვეს, თორემ ჩვენისთანა ლტაკი კაცი ღმერთსაც დავიწყებული ჰყავს და კაცსაც. უთხრა თეკლემ დაღონებით.

—

ნახევარი საათის მისული არ იქნებოდა სოსო, ჰიშკართან ვილაც ცხენოსანი მოვიდა. ცხენოსანს ტანზე ნაბადი ჰქონდა მოხურული და თავი ყაბალახით შეხვეუ-

ლი. ჭიშკართან სოსო გავიდა. სოსომ უცნობს თავი დაუკრა „გამარჯობა“ უთხრა და ბოლოს ისიც ჰკითხა: „ვინ გნებაესო“?

— ოტია გრძელიძის ქვრივი ამ სახლში ცხოვრობს? იკითხა ცხენოსანმა.

— აქ გახლავს! მიუგო სოსომ.

ცხენოსანს ხმა აღარ ამოუღია. ჭიშკარი გააღებინა და ეზოში შემოვიდა. სახლის წინ მივიდა და ცხენიდან ჩამოხტა. ყველანი განცვიფრებული დარჩნენ, როდესაც დაინახეს, რომ მათ წინ ექიმი იდგა. ექიმს ცხენი ჩამოართვეს და სახლში შეიყვანეს.

— ავადმყოფი სად არის? იკითხა ექიმმა.

— ოთახში გახლავს, შენი ქარიმე! მიუგო სოსომ და ოთახის კარები გააღო.

ექიმი ცოტა შეწუხდა, როდესაც დაინახა, რომ ჯერ ერთი ოთახში სატეობა აღარ იყო და მერე ღუშელი ისე გაეხურებიათ, რომ ოთახში სიცხის ალი ტრიალებდა.

— უკაცრავად-კი გახლავართ, იქნება კარში გაბრძანდეთ, უთხრა ექიმმა იქ მყოფთ.

ყველანი ხმა-ამოუღებლად ადგნენ და საჯალაბო სახლში გავიდნენ. ოთახში მხოლოდ თეკლე, სოსო და თეკლეს მამამთილი დარჩნენ. ექიმმა ცოტად ფანჯარა გააღებინა. დათიკო მინანდ იყო მიგდებული, თუმცა არც ეძინა და თვალებიც გახელილი ჰქონდა, მაგრამ სრულს გონზედ აღარ იყო მეტის-მეტე სიცხასაგან. ექიმმა ავადმყოფს საბანი გადახადა, მაჯაში ხელი მოჰკიდა და თვალეებში მიაჩერდა. თეკლე იქვე იდგა და ექიმის ყოველ მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებდა. თუმცა ექიმს არც ავიეთქვა და არც კარგი, მაგრამ თეკლემ რალაც ნაირად სიმამაცის და სიმხნევის მომატება იგრძნო.

— ეს ერთი საბანი აცალეთ, ორი არ არის საჭირო. უთხრა ექიმმა. თეკლემ აიღო საბანი და გვერდზედ გადადვა.

ექიმმა ავადმყოფს საბანი გადააცალა და გულზე ყური მიადო. ამ დროს თეკლე ხან დათიკოს შეხედავდა თვლებში და ხან ექიმს. უნდოდა ექიმისთვის ეთქვა რამე, მაგრამ ვერ გაეხდენა. ეს ექიმმა შენიშნა.

— თქვენ ნუ გეშინიათ, დაშვიდდით, თქვენი შვილი მალე მორჩება, უთხრა ექიმმა თეკლეს.

— ეგ თუ მორჩა, მკვდრებიც აღსდგებიან, შენი ჭირიმე!

— რაღა მე შოვედი, ეხლა აღარაფერი უჭირს, მაგრამ საშიშ მდგომარეობაში-კი ყოფილა. ავადმყოფის მოვლა არ იცით, თქვე უბედურებო და რა გეშეელებათ! წამალს დაგინიშნაეთ, როგორც დარიგება გექნებათ, ისე ახმარეთ. ჯერ-ჯერობით-კი თვითონ მე მაქვს თან წამოღებული რამდენიმე წამალი და ამას ვახმარ. ამ სიტყვებით მან წაუსვა ავადმყოფს წამლები მტკივან ადგილებზე. ავადმყოფს იმდენად წამალი არ ეფარება, რამდენადაც გონივრული მოვლა, — განაგრძო მან. მართალია, ავადმყოფის ნახვა და ჭირისუფლის ნუგეშის ცემა და გამხნეება კარგია, მაგრამ ავადმყოფის გარს შემოსევა-კი ძალიან მავნებელია. ჯერ პატარა ოთახი და მერე უთვალიანი ხალხით გავსილი! ღუმელი ხომ ისე გაგებურებინათ, რომ გახურებულ თონესა ჰგავდა!.. ამისთანა შეხუთულ ჰაერში კარგად მყოფიც ავად გახდება, თორემ ავადმყოფს რა მოარჩენს?! საზოგადოთ ეს უნდა იცოდეთ, რომ როგორც მეტი სიცივეა მავნებელი, ისე მეტი სიცხეც. მეტ სიცხეს ისევ სიცივე სჯობია.

დალამდა. თუშცა აღარ თოვდა, მაგრამ ქარი თოვლს ჰაერში ანიავებდა. თეკლეს საფიქრებელი და სავალალო ის იყო, რომ ექიმი იმ ღამეს ვეღარსად წავიდოდა და

მისთვის „სუფთად“ დასწოლი ბინაც არ ჰქონდა. ბევრი ფიქრის შემდეგ იმ აზრს დაადგა, რომ ოთახში ცალკუთხეზე ტახტი დაედგა ექიმისთვის და იმაზე მოესვენებინა.

ექიმი გარედ გამოვიდა. გაიარ-გამოიარა და საჯალაბო სახლში შევიდა. ყველანი ზეზედ წამოცვივდნენ და გზა დაუცალეს.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ, რატომ დგობით?—მიაძახა ექიმმა.

— ბატონო, თქვენ აქ ნუ შემობრძანდებით, ისევ ოთახში შებრძანდით და ამაღამაც იქ მოისვენეთ. თუმცა თქვენი საკადრისი ბინა არც იქ არის, მაგრამ ამას მაინც სჯობია.—უთხრა ექიმს სოსომ.

— არც არაფერი აქ მიშავს, ჩემთვის ნუ შესწუხდებით!

საჯალაბო სახლი ორად იყო გაყოფილი, ნახევარზე აღამიანთა სადგომი იყო, ნახევარზე კი საქონლის ღამის გასათევი. შუა ალაგას კერა იყო მიწაში ჩაგდებული და დიდი ცეცხლი იყო გაჩაღებული. ცეცხლს გარშემო შემოსევიდნენ თეკლეს მეზობლები და დაღონებულნი დათიკოს ავთმყდფობით თავს ლაპარაკით იქცევდნენ, ზოგზს ჩიბუხი გაეკეთებინა და აბოლებდა. ჩვენი ექიმიც იმათ მიემატა. სამ-ფეხა სკამი მიაწოდეს და ზედ დაჯდა. კალოშები გაიხადა და ცეცხლს დაუფიცხა, რადგანაც ზევიდან თოვლი ჩასულიყო და მთლად დაესველებია. ისეთი ცეცხლი გაჩაღეს, რომ ერთს საყენზე ვერ მიეკარებოდით. წინიდან ყველას ცხელოდა და უკან-უკან იწევდნენ, მაგრამ უკანიღგან კი სცივოდათ. ექიმი ცეცხლის სიმხურვალემ მთლად გააწითლა.

— ბატონო, დათიკოსას რას გვეტყვი?—ჰკითხა ექიმს ერთმა ხანში შესულმა კაცმა.

— ვინ დათიკოსა ბრძანებთ?

— აი, იმ ავადმყოფისას მოგახსენებ, შენი ქირიმე!

— ჰო, არა უშავს-რა, მორჩება.

— რა არის, ბატონო, მაგისი სატკივარი?

— გაცივებულა და ცოტა უკლდა ანთლებად გადაქცევას. კიდევ კარგი, რომ კარგს დროს მოეუსწარი და მერე ყმაწვილია, თორემ ცუდათ იქნებოდა მაგისი საქმე. დღეს კანცელარიიდან სხვამ წაპყვანა და რომ დავბრუნდი ამბავი დამახვედრეს, ამა და ამ ქალს შეილი ძალიან ავად ჰყავსო, ცხენიდანაც კი აღარ ჩამოვმხტარეარ, ისე წაპყველი.

— ღმერთმა დიდი ღლე მოგცეს, შენი ქირიმე! მაგას თუ ეხლა ეშველა რამე, ვკონებ, თავისს ღლეში აღარაფერა გაგიქირდესთ, საწყალი დედა მაგისის ლოცვით. საწყალს მაგის მეტი არა გააჩნია-რა. მამას ორი წლისა დარჩა ეგ ბივშვი. დედამ იპოდენი სინიდისი მოიხმარა, რომ არ გათხოვდა, ოჯახი არ გააცივა. წვითა და დაგვით ჰყავთ ნაზარდი, შენი ქირიმე! კაციც ის არის ამ სახლში და ქალიც. თუმცა მამამთილი ჰყავს, მაგრამ აღარც არაფერი იმას შეუძლიან მოხუცებულობის გამო. მაგ ბავშვს რომ გასქირებოდა რამე, თუ ავიყრებოდით და გადავსახლდებოდით, თორემ მაგისი ცოდვით აქ ვეღარ გავჩერდებოდით. ეხლა, მადლობა ღმერთს, სწორედ მაგის მხსენლად და პატრონათ გაუჩენიხართ მაგის მფარველ ანგელოზს.

იქ მყოფთ მეტი სიხალისე შეეცყოთ, როდესაც ექიმმა დაარწმუნა იგინი, რომ დათიკო ზალე მორჩებაო. ყველანი განცვიფრებულნი იყვნენ ექიმის უბარლო მოქცევით. იმათ ძალიან უკვირდათ, რომ „ნასტავლმა დოხტურმა“ იმისთანა სადგომში შესვლა იკადრა, სადაც ნა-

ხევარზე საქონელი ება და მით ცუდი სუნი ტრიალებდა. ცოტა ხნის შემდეგ ექიმი ოთახში შევიდა და ავადმყოფს დახედა. შევიდა და ნახა, რომ ოთახი მთლად გაბურღულიყო უშუშო სანათის კომლით. ეურიგოვა, მაგრამ რა გაეწყობოდა. უკეთესი რომ ჰქონოდათ, რაღა დღისთვის შეინახავდნენ, მაგრამ სჩანდა, რომ არ ჰქონდათ. ექიმს შემოხევეით თვითონ ჰქონდა ერთი ღერი სანთელი ამოღო და თეკლეს მისცა.

— ეს აანთე და ეგ სანათი კი დააქვრე. მაგისი მური ავადმყოფისთვის კი არა, კარგადმყოფისთვისაც კი მავნებელია.—უთხრა ექიმმა თეკლეს.

ექიმმა დათიკოს დახედა; ნახა, რომ ტკბილად ეძინა და შუბლზე ცოტა ცივი ოფლი წამოსვლოდა. თეკლეს უთხრა, რომ ღუმელისათვის შეშა აღარ მიემატებია და ნელის ნაბიჯით გარედ გამოვიდა.

— იმეჯია, მალე განთავისუფლდება!—დაიძახა ექიმმა, როგორც შეადგა ფეხი საჯალაბო სახლში.

— ღმერთო უშველე გაჭირვებულის შეილს! ყველამ ქუდები მოიხადეს და ერთხმად წაპოიძახეს.

— ეს თუნუქის ღუმელიც ხომ სულ საწყალი ხალხის საჭირ-ბოროტოდ გაჩნდა! თქვენ არ შეგიძლიათ ღუმელით სადგომში ზომიერი სითბო დაიკავოთ და ეს ძალიან მავნებელია ჯანმრთელობისათვის. ღუმელი რომ ისე გაახურო, როგორც წედან იყო, როდესაც მე მოვედი და მერე იქ ნამყოფი კაცი ამისთანა ამინდში გარედ გამოვიდეს ავად ვახდება, აბა რა დავმართება?!

— არა, ბატონო, არც მაგაშია საქმე!—უთხრა ექიმს დათიკოს ბაბუამ.

— აბა რაშია?—ჰკითხა ექიმმა.

— რაღაც სხვა დროებაში შევედით, შენი ქირიმე!

რომ ამბობენ დედა-მიწა ტრიალებსო, მართალი ყოფილა. ამ ტრიალმა სადღაც სხვა კუთხისკენ გაგვისროლა, სხვა ჰაერში გაგვავდო. აბა უწინ კი არ იყო ზამთარი და სიცივე!?! აი ამისთანა სახლში ვარ, ბატონო, დაბადებული და გაზრდილი. ფეხშიშველსაც ბევრი მივლია და პერანგის ამარაც იანვრის სუსხიან დღეებში, მაგრამ აგერ ოთხმოც წელიწადზე მივატანე და სურდოც კი არ ვიცი, რანაირი სატკივარია! ცეცხლის პირს რომ დავწოლილვარ იმ ღამეს ერთი პირი საბანს ზევით დაუთოვია ხოლმე, მაგრამ კი არაფერი გაგვკირვებია. ან საგებ-სახურავი სად იყო უწინ ამისთანა?! ქვეშ ღომის ჩალა გვეგო, ზევიდან კი, თუ ვიშოვიდით დაგლეჯილ-დაფლეთილ საბანს, კარგი იყო, თუ არადა ჩოხას გადავიფარებდით და ისე გვეძინა. ან ტანი და ფეხი სად იყო ამისთანა? ცხონებულს ბებია ჩემს ერთი ლურჯი ქათიბის კაბა ჰქონდა და იმ კაბაში დათხოვდნენ ყველა ჩვენი სოფლის ქალები. ეხლა კი ოთხი და ხუთი ხელი თუ არ მომიტანა ქმარმა, ისე როგორ წაყვებით. ეხლანდელმა ახალგაზღვებმა ტიტყული ფეხი რომ დაადგან ძირს, აი გავცივდი, აი სურდო დავგვემართაო, იძახიან. რატომ ჩვენ კი არ ვცივებოდით მაშინ?!

— ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო და ეხლა კი სულ სხვა. უწინ ამისთანა სადგომებში ვიბადებოდით და ამისთანავე სადგომებში ვიზრდებოდით. ეხლა სულ სხვას ვხედავთ. ჩვენ, რამდენადაც შეგვიძლია, ვცდილობთ ჩვენი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ; უფრო თბილს სადგომებს ვაკეთებთ, უფრო თბილს ტანსა და ფეხს ვიცვამთ და ამითი ტანიც სითბოს ეჩვევა; რასაკვირველია, სითბოს მიჩვეული ტანი ნაზღვება და ველარ იტანს სიცივეს, როგორც, მაგალითად, ამისთანა სახლში დაბადებული და აღზრდილი. აი ეგ ჰა-

ვშვიც თუნუქის ლუმელით გახურებულ ოთახში ნამყოფი გარედ გაბოვიდოდა სიცივეში და გაცივდებოდა. მიკვირს-კი, რატომ სოფლის ექიმ-მკითხავი დედაკაცები არ მოიყუანეთ ამ ბავშვის მოსარჩენად?! უთხრა ექიმმა სიცილით იქ მყოფთ.

— ბატონო, ხომ გაგიგონიათ წყალ-წაღებული კაცი ხაესს ეკიდებოდაო, სწორედ ასეა ჩვენი საქმე.—უთხრა ექიმს დათიკოს ბაბუამ. აბა ვის მივმართოთ, შენი ჭირიმე, საქმე რომ გაგვიჭირდება, თუ არა სოფლის აქიმებს? კაი დაგემართოსთ, თქვენისთანა დოხტურები რომ ახლოს გვეყვანდნენ! ყველა ნასტავლი დოხტურები, შენი ჭირიმე, სულ ქალაქის ადგილს არიან და სანამდის იქიდგან მოვიყვანდეთ მანამდის ავადმყოფს თავისი დაემართება. ან სად გვაქვს ჩვენ საწყლებს ემოდენა შეძლება, რომ ყოველთვის დოხტური მოვიყვანოთ?! აქ, ბატონო, ჩვენს სვიმონას ბიჭს ცოლი ჰყავდა ავად. წავიდა დოხტურის მოსაყვანად და სანამ სამი წითელი ქალაღი არ მიეცა, გარეთაც-კი არ გამოსულა: „სად შემიძლია იმ თქვენ სერებში თრიალიო და მერე ამისთანა ამინდშიო“— ეთხრობია იმ დოხტურს. როცა სამი წითელი ქალაღი შევეზაენა მოსამსახურის ხელით, მერე-კი აღარ ეუარებია. სამი თუმაწი, შენი ჭირიმე, იმ დოხტურს მისცა, ბარე ორი-სამი მანეთი გზის ქირა დაეხარჯა, მერე კიდევე წამლების ფასი სხვა იყო; ერთის სიტყვით გაძვრა საწყალს ტყავი, რა ჰქნას საწყალმა კაცმა? ისევე ავადმყოფის სიკვდილს ამჯობინებს ამოდენა ხარჯის გაწევას. აბა მიბრძანეთ, შენი ჭირიმე, ვილას მივმართოთ ამისთანა შემთხვევაში, თუ არა ისევე სოფლის აქიმ-დედაკაცებს?! კი, მართალია, იმათ თქვენისთანა დოხტურებივით არაფერი იციან, მაგრამ მაინც დიდი იმედია საწყალი გაჭირვებუ-

ლი ავადმყოფის პატრონისათვის. მაინც და მაინც ვერც იმას ვიტყვი, რომ სულ არაფერს ეუარებოდნენ ავადმყოფს.

მოხუცის სიტყვებმა უსულო საკანით გააშეშეს ჩვენი ექიმი. ამაზედ პასუხის მიცემაც ძნელია და ან რა უნდა ვუთხრა, როდესაც მართალს ამბობსო—ჰფიქრობდა ექიმი. ველარ წავადა და ველარ შეიძლო საწყალმა ლატაკმა ქირისუფალმა ოცი და ოც-და-ათი ვერსიდან ექიმის მოყვანა; ველარ შეიძლო ოცი და ოც-და-ათი მანეთის მიცემა და დაანებებს თავს. იმ სოფლის ექიმ-დედაკაცებს ორი აბაზაც რომ აჩუქონ, მაინც არ დაემდურება. როდესაც სასწავლებელში ვართ ბევრს ვყვირით, ვოცნებობთ და როცა გამოვდივართ ცხოვრებაში, მაშინ სულ სხვა მიმართულებას ვაღგებთ. გავათავებთ სასწავლებელს თუ არა, ყოველი ჩვენგანი საცხოვრებლად და თავისი მოქმედების ასპარეზად ქალაქებს ვირჩევთ და ვეჩვევით ქალაქის თბილს ცხოვრებას. ის-კი გვაფიწყდება, რომ ქალაქში უჩვენოდაც ბევრი არიან და რომ ჩვენი სამოქმედო ასპარეზი უფრო შორს არის. გვაფიწყდება ლატაკი მოძმენი, რომლებიც იქ შორს, მთასა და ხეობებში არიან გაფანტულნი და რომელნიც უმეცრების წყვდიადში არიან გახვეულნი. იმათი ერთად-ერთი იქედი, ავადმყოფობის დროს, სოფლის მკითხავ-ექიმები არიან: ეს იქედი რომ იმათ წაართვას, მოუსპოს ვანემ, სამაგიეროც უნდა გაუჩინოს სხვა-რაიმე; ჩვენ-კი ვეუბნებით სოფლის ექიმ-დედაკაცებს ნუ უჯერითო, იმათ არაფერი იცინო და მაგიერს იქედ-კი არაფერს ვაქლევთ!

ამ ფიქრში იყო გართული ექიმი, როდესაც ყველანი ადგნენ და ვახშავს დაუწყეს მზადება. ვინც იქ დარჩა იმ ღამეს, ყველამ კარგი ხონჩა მოიტანა და სუფრა მშვენიერ-

რად შეამკეს. ექიმი ძალიან გაამხიარულა მათმა გულ-
კეთილობამ და სტუმართ-მოყვარეობამ. ივანემეს, ექიმმა
მადლობა შესწირა პატივის-ცემისათვის და ოთახში გავადა
ავადმყოფის დასახედავად. დათიკოს ოფლი დასდენოდა
და გამოღვიძებოდა. ძილში ქვალსაც გაველო. თეკლემ
საქმელი მიუტანა, შექამა ცოტა და ისევ მიიძინა. ექიმს
ოთახში მოსვენება სთხოვეს, მაგრამ არ დასთანხმდა,
რადგანაც ოთახი ისე პატარა იყო, რომ მისი ჰაერი ავა-
დმყოფსაც თუ ეყოფოდა. თუმცა ძნელი იყო მისთვის,
ფარდულიან სახლში ღამის გათევა, მაგრამ რაღას იზამდა?
ცეცხლის პირს სკამ-ლოგინი დაუდგეს და დაუდგეს. ექიმს
არც ტანი გაუხდია და არც ფეხი, ტანისამოსიანი მიწვა
და ზვიდენ ნაბადი გადაიფარა.

ღილაზე ადრე ადგა და ცხენი შეაკაზმინა. უკანა-
სკენელად შევიდა დათიკოსთან, რომელიც ლოგინში წა-
მომდგარიყო და დედას რაღაცეებს ეტიტინებოდა. თეკლე
გააზნენეა და გამოვიდა გარედ. თეკლეს უნდოდა ექიმის
წინ დაეჩოქა და მუხლები დაეკონა, მაგრამ სირცხვი-
ლით ვერ გაეზედინა. გამომშვიდობების დროს თეკლემ
ექიმს ხუთ მენეთიანი გაუწოდა და უთხრა:

— ვიცი, ბატონო, ეს მცირეა, მაგრამ მეტის შე-
ძლება არა მაქვს. სწორედ თქვენგან ნაჩუქარია ჩემი და-
თიკო; მე-კი ვერ გემსახურები მაგას ფასს, მაგრამ ღმერთი
მაინც გადაგიხდის.

ექიმმა ფული არ გამოართვა; დაუბრუნა უკან ფუ-
ლი და უთხრა თეკლეს:

— ჩემი საჩუქარი და დაუფასებელი ნეტარება ის
არის, თუ კი ჩემმა აქ მოსვლამ ტყუილად არ გაიარა.
დათიკო თქვენი შვილია და, რასაკვირველია, გაგეხარ-
დებოდით მაგისი განსაცდელიდან დახსნა, მაგრამ გარწმუ-

ნებთ პატიოსანი სიტყვით, რომ თქვენზე ნაკლებ აღარც მე მახარებს მაგის კარგად ყოფნა.

იმის შემდეგ ექიმი გამოემშვიდობა ყველას და ცხენზე შეჯდა.

— ჰო, კინალამ დამავიწყდა, სოსო, შენ კანცელაჩიამდის უნდა ჩამყვე, — უთხრა ექიმმა. — წამლები უნდა გამოგატანო. წავიდა ექიმი და სოსოც თან გაიყოლა.

— პატიოსანი კაცი კი მინახავს, მაგრამ მაგისთანა ღვთისნიერი აღარაფერი მინახავს? კაცი კი არა, ანგელოზი ყოფილა, ჩემო რძალო, ანგელოზი. რაც მაგან წუხელის იწვალა. სწვა არც ათს თუმანს დაკვჯერდებოდა. ცვარი არ დაძინებია საწყალს წუხელი. ტანისამოსიანათ მიწვა სკამ-ლოგინზე. — უთხრა თეკლეს მამამთილმა.

— სწორედ ჩვენთვის გამოუჭავნია ღმერთს, ჩემო ბატონო!

— მადლობა ღმერთს, შეილო, არ ვყოლივართ ღმერთს დავიწყებული! ისევ ყოფილან იმისთანა კაცები ჩვენში, რომლებსაც საწყალი კაციც ბრალეზიათ. ღმერთმა უ გამოუღიოს ჩვენ საცოდავ ქვეყანას მაგისთანა კაცები! სთქვეს იქ მყოფთა, ქუდი მოიხადეს და შეხედეს ზეცას. *)

10 თებერვალი, 1895 წ.

დ. კამკამიძე.

*) დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ აცირე მოთხრობას, მით უფრო, რომ აქ დასახული მკურხალი (ექიმი), სურვილისაგან გამოწვეული, ოცნების ნაყოფი კი არ არის, ნამდვილი ტიპია. ამ ბოლოს დროს არის ჩვენში ჯგუფი, რომელთაც მართლა საქმით უნდათ გაუწიონ შეძლებისადაგვარ ჩვენ ქვეყანას სამსახური და არა მარტო ცარიელი სიტყვითა და გარეგანი ქცევით, როგორც დღემდის იყო ჩვენში!.. მართალია, ეს ახლად გამოსული ახალგაზდები ისეთ მაღალ საფეხურზე არა დგანან, რომ ყველას თვალში ეჩხირონ და არც სხვებსავეთ მებუკე და მეგანგაშეები ჰყავთ, რომ უჯეროთ ქვეყანაში სახელი გაითქვან, მაგრამ „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოსთ თქვენ“ — ბრძანებს დიდი მოძღვარი და, შექველოა, ოდესმე ამათაც გაიცინობს ჩვენი ხალხი და მაშინ კი შეიგნებს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ახალთაობის კაცი. ამ მოთხრობაში დასახული ექიმიც ერთი იმათგანია. ღმერთმა ინებოს, რომ ამათ ძველების ფარისევლობა წინ არ გადაღობებოდეს.

რედ.

ტფილისი*)

ა. ტაძარნი.

ტფილისის ტაძართი შორის ყველაზე უძველესი არის სიონისა და მეტეხის საყდრები. მათი საძირკველი ჩაიყარა და ბალავარი მოშენდა მაშინ, როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალმა დააფუძნა ქალაქი ტფილისი, მანამდე ციხედა და სოფლად ყოფილი. მას შემდეგ ტფილისში აშენდა მრავალი ეკკლესიები, რომელთა მოკლე აღწერას ვურთავთ აქვე მათის დაარსების დრო-ჟამის მიხედვით.

1. მეტეხის დკთ.ს მშობლის ტაძრის შენება დასრულებულ იქმნა ვახტანგ გორგასლის დროსვე. იგი დაიდგა მეტეხის ციხის შუაგულს, ბეჭობზე, საიდანაც მშენიერად მოჩანს ტფილისის არემარე. მთელი ბეჭობი მთლიანი კონცხი და ამასთანავე მიუდგომელი და მაგარი, რისგამო დარქვევია მას თვისი სახელიც.***) თვით ტაძარი

*) იხ. «კრებული» № 11, 1899 წ.

**) სწერენ, ვითომ, მეტეხი იყოს ბერძნული მეტოხოს, (Metochos) გარნა ჩვენ გვეონია, რომ იგი წარმომდგარა სიტყვიდამ ტეხა (პურის ტეხა, მტრის გატეხა და სხ.), რომლისაგან დაშენილა ტეხება (ფ. გ.-ჯანიძე, გვ. 112), состояться, соперничать და სხ. მტეხი (=მეტეხი), состояющіиися, разбивающіи.

ძველადგანვე ყოფილა სასახლის კარის ეკლესიაღ. მასში არა ერთგზის მოუსმენია წირვა-ლოცვა თამარ წმინდას, რომელიც მისვე ახლოს ისნის სასახლეში გარდაიცვალა. გააზღებულია მხოლოდ ტაძრის გუმბათი, ხოლო დანაშთენი ისევ ვახტანგის დროისაა. ქვის გუმბათი გააზღა დიმიტრი თავდადებულმა (1289 წ.); მეფე შაჰნავაზმა ტაძარი სათოფ-წაილედ აქცია (1661 წ.), ხოლო მეფე ერეკლე I (ნაზარ-ალი-ხან) გადასცა იგი ყიზილბაშებს ციხითურთ; ერეკლე II გაამწვენა ტაძარი, გარნა 1795 წ. დააზიანეს იგი ყიზილბაშებმა. მის აღმოსაყელეთის კეჲღებზე, გარედან, სწყრია:

მეფემ ერეკლემ ეს ციხე მტერთა წაართო მალაღ;
აიღო ჯუარი ქრისტესი, წინ მიიმძღვარა ფარაღ;
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს სახლის კარაღ;
ღუთის მოყვარესა ხელმწიფეს ესე სჭირს ამის გუარაღო.
ღუთის საღიდებლად, მეოხედ მეფის ერეკლესია.

1795 წელს, ყიზილბაშების შემოსევის ჟამს, დაიკარგა ტაძრის ხატი, რომლის სამაგიერო გამოგზავნა პეტერბურღიღან ბატონიშვიღმა საღომემ, იუღონის მეუღღემ. ეკლესიისავე ეკვეღორში, როგორც ვსთქვით, არის საფღაღი წმ. შუშანიკისა.

2. სიონის ღუთის მშობღის ტაძარი, ღღღა ეკლესიია და სიონად წოდებუღია პალესტინის სიონის მიხეღღით. ეს სიტყვა (სიონი), რომეღღიც ნიშნავს კლღღს, ძვეღღათგანვე შეითღვისეს ქართვეღღებმა და სიონი უწოდღეს აგრეთვე მრავალს ეკლესიიღღს:*) როგორც ზემოთაც ვსთქვით,

*) სიონი სამშვიღღისა (აშენღა 410—434 წ.), სიონი ბოღღნისა (408—410 წ.), სიონი ერწოისა (668—718 წ.), სიონი კვეღასიონისა (ყაზიბეღღთან, დარიაღღის ზეღღბაში), სიონი ატენისა (მის

სიონის საფუძველი ჩაჰყარა მეფე ვახტანგ კორგასალმა, ხოლო მის აშენებას მოუწოდნენ მეფენი დაჩი, გურამი და ადარნასე (619—639 წ.). ძველი მატთანე სიონის შენობის დასრულების შესახებ შენიშნავს, რომ ამ დღეს ეკლესიას აშენებდნენ: მეფე გურამის დროს—ნახევარსა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი, ხოლო ადარნასეს დროს (622—628 წ.)—ნახევარსა აშენებდა ყოველი ერი და ნახევარსა ერთი ვინმე დედა-კაცი, და 628 წელს სიონი განასრულეს მკვიდრთა ქალაქისათა.*) სიონი აგებულიყო აგურით, გარნა თლილის ქვით (ალგეთის ქვა) გაახლებულ იქმნა შემდეგს საუკუნოებში. აი მოკლე ნუსხა სიონის თავგადასავლისა: მე-XIII საუკუნეში სიონის გუმბათი ჩამოაგდო ჯალალ-ედდინ სულთანმა, ტახტად დაიდგა და მასზე მჯდომარე სიამოვნებდა ქართველთა აღწყვეტას ხილვით. მე-XIV საუკ. ტფილისი შემუსრა და სიონი გააოხრა ლანგთემურმა. 1518 წ. შაჰ-ისმაილმა აიღო ტფილისი, დაანგრია მისნი ტაძარნი და სიონის ღვთისმშობელი მტკვარში ჩააგდო. 1795 წ. ალა-მალომედ-ხანმა გადასწვა სიონის კანკელი და აღგზნებულ ცეცხლის ბოლნა შემურა ძველი მხატვრობა; ყიზილბაშებმა ამავე დროს შეიპყრეს ტფილელი მიტროპოლიტი დოსითეოზი და მტკვარში ჩაახრჩეს. სიონს ძველად ჰქონდა

კედელზე დ. ბაქრაძემ ამოკითხა: „თვესა აგვისტოსა ხუთსა დღესა შაბათსა ქსა ოგ (853 წ.) ზედა წელსა სარკინოზისა ტფილისი და ატყვევა ბულამ და შეიპყრა, ამირი სააკა მოკლა და მასვე თვესა აგვისტოსა კვირაიკისა დღესა შაბათსა ვეზირა შეიპყრა კახამ და მე მისი თარხუნი“), სიონი უწერისა, სიონი გარეჯისა (VI საუკ.), სიონი წმინდა ანუ ხინოწმინდა (ქობულეთში), სიონი შილდისა (დაინგრა XI საუკ.), სიონი ჭარისა (ააშენა ლეონ მეფემ 1536 წ.).

*) ე. თყაიშვილი. სამი ქრონიკა. 34, 36, 45.

ერთი ეკვედერი — პეტრე-პავლესი, რომელიც 1804 წ. მთავარმართებლის ციციანოვის სურვილით აღექსანდრე ნეველისად შეჰქმეს, ხოლო, 1818 წ. სალაროდ, მის მაგიერე ექსარხოლმა თეოფილაქტემ სხვა ეკვედერი მიუშენა სიონს სამბრეთის მხრით. სიონის ძველი კანკელი, როგორც საზოგადოდ ყველა ძველი ეკკლესიისა, ქვისა იყო ღ დაბალი. შაჰაბაზის შემდეგ (†1628 წ.) ქვის კანკელის მაგიერგაუკეთეს ხისა, რომელიც, როგორც ესთქვით, გადასწვეს ყიზილბაშებმა 1795 წ. ახლანდელი მისი კანკელი ანდრიატისა (თაბაშირისა) და როგორც კანკელი და ისე ტაძრის ყველა მბატერობა დახატულია თავადის გაგარინის-მიერ. იატაკი სიონისა დაგებულია მარმარილოს ქვით. ძველად სიონს სამრეკლო ჰქონდა ჩრდილოეთის მხრივ და ორ-სართულიანი, აგებული 1495 წ. ზემო სართული მოაგდებინეს ყიზილბაშებმა 1795 წ. ახალი სამრეკლო, აშენებული 1816 წ., დგას სიონის წინ, სამხრეთის მხრით.

სიონს აქვს ძვირფასი და წმინდა საუნჯეებ; მათ შორის ყველაზე შესანიშნავია ა) ნინოს გაზის ჯვარი, რომელიც უკვე ავწერეთ, ბ) ტაძრის ხატი — ღვთისმშობელი; სიონის ძველი ხატი 1522 წელს ყიზილბაშებმა ჩააგდეს მტკვარში, გარნა იგი გამოირიყა წყალმა ნავთლუხს, საიდანაც, სპარსელების წასვლის შემდეგ, ისევ მოიტანეს და სიონშივე დაასვენეს. 1724 წ., ოსმალთა შეღოსევის ეპის, ხსენებული ხატი დაიკარგა. მის მაგიერ ბატონი-შვილმა გიორგივახტანგის (VI-ის) ძემ შესწირა (1762 წ.) სიონს ახალი ხატი ღვთისმშობლისა, მორთული და მოქედილი დიდითა და ძვირფასის თვლებით (200-მდე ლალია 70 ალმასი, 160 იაგუნდი, 90 ზურმუხტი, 70 ფირუზი, 600 მარგალიტი და სხ.); გ) კახეთს ნინოწმინდის საე-

პისკოპოსო ტაძრის სატი წმ. ნინოსა, გადმოტანილი სიონის ტაძარში 1825 წელს. ამ ხატის ქვემო მხარეში ინახება წმ. ნაწილები, იგი მოქედლია ოქროთი და აქვს 37 მწვანე ზურმუხტი, 28 მარგალიტი, 29 წითელი ლალი, რომლისგან ორი ფრიად დიდებია, და ერთი ოთხკუთხე-
ვანი დიდი იაგუნდი. მოქედლობის ზემოთ არის წარ-
წერა, რომლითგანაც სჩანს, რომ ეს ხატი ნინოწმინდის
ტაძრისათვის შეუწირავს მეფე არჩილს; დ) აქვე ინახებოდა
ის ხატი, რომელიც დაიკარგა სპარსთა შემოსევის დროს
1795 წ. ეს ხატო იყო პირი ძველის ხატისა, რომელიც
შაჰაბაზმა სხვა საუნჯეებთან ერთად წაიღო სპარსეთს
(XVI საუკ.), გარნა 1620 წლის უახლოეს ხანს შეიძინა
იგი (ხატი) რუსის ეპარქია სტეფანემ და წაიღო კრასნო-
გოლის მონასტერში (არხანგელის გუბერნია), საცა დაშთა
აქამომდე. ამ ხეტს რუსები „ქარაველთა ხატს“ ეძახიან
ღ მის საოხად აშენებულია ტაძარი მოსკოვს (ნიკიტსკოჲს);
ამას გარდა საყურადღებოა აგრეთვე ძვირფასი ნივთები:
საპატრიარქო გვირგვინი, რომელიც ღირდა 7,000 მან.
და რომლისაგან 1830 წელს გააკეთეს მიტრა; ორი მი-
ტრა ალავერდის ტაძრისა, მოტანილი ტფილისს—ერთი
1818 წელსა და მეორე 1820 წ. (ალავერდის სავისკო-
პოსოს გაუქმების წელიწადია); მიტრა მროველ ეპისკო-
პოსისა; მიტრა მანგლელისა (რუსუდანის დროისა), რო-
მელიც ახლა ინახება მოსკოვის მიძინების ტაძარში; მი-
ტრა სამთავრას მთავარეპისკოპოსისა; ქათალიკოსთა ფოს-
ტლები, რომელსაც იგინი იცვამდნენ წირვის დროს.—
სიონის ტაძარში ჰმარხიან: სიონის მაშენებელი კურატ-
პალატი გურამ († 600 წ.), ადარნასე († 639 წ.), რომლის
დროს დასრულდა ამ ტაძრის შენობა, იოანე მხარგრძელი
თამარ-დედოფლის სპასალარი, მთავარმართებელი პავლე

დომ. ციციანოვი († 8 თებ. 1806 წ.), ი. პ. ლაზარევი, რომელიც მოჰკლა მარიამ დედოფალმა 19 აპრ. 1803 წ. და სხ.

სიონის ეპისკოპოსნი:*) ისაკი (496 წ.), ანტონი თულასძე, მანგლელ ყოფილი (1047 წ.), გრიგორი I (1258 წ.), იოანე I (1413 წ.), იოანე II (1434 წ.), მანგლელ-ტფილელად წოდებული, დავით (1429 წ.), გრიგორი II (1442 წ.), მანგლელ-ტფილელი, ბართლომე (1444 წ.), ქრისანთე (1445 წ.), ნიკოლოზ I (1460 წ.), რომელიც მოხსენებულია პაპის მიერ ბურგუნდის ლერცოგისადმი წარგზავნის წერილში, იოანე III (1462 წ.), აბრამ (1486 წ.), ფრიად განათლებული კაცი, სიმეონ (1507 წ.), იოანე IV (1518 წ.), დომენტი I (1520 წ.), იოანე V (1541 წ.), ტფილელ-მანგლელა, დანიელი (1577 წ.), ბარნაბა (1592 წ.), იოსებ I (1698 წ.), ნიკოლოზ II (1619 წ.), დომენტი II (1690 წ.), დიონოსე (1621 წ.) ელისე საგინაშიელი (1628 წ.), განთქმული მწერალი და ათონის მოსახლად წასული 1640 წ., კირიაკი, ბარნაბა II, იოსებ სააკაძე (1662 წ.), წასული მოსკოვს, რუსთა პატრიარქის ნიკონის გასამართლებლად შეყრილს კრებაზე დასასწრებლად დამოკლული ბაზალეთის ომში 1688 წ., სიმეონ II (1700 წ.), დომენტი III, ორბელიანი (1701 წ.) ტფილელ-ბოლნელი, ფრიად განათლებული მღვდელ-მთავარი, ნიკოლოზ III (1703 წ.), ღვთისმეტყველი, საეკლესიო საგაღიობელთა მწერალი და უმთავრესი მებჭე მეფე ვახტანგ VI-ისა, პავლე (1705 წ.), არსენი I (1713 წ.), ექვთიმე (1718 წ.), ათანასე ამილახვარი (1749 წ.), რომელიც ვახტანგ მეფეს წაჰყვა

*) Древн. Типл. гв. 169.

რუსეთს, აშტარხანს არქიმანდრიტობა მიიღო, 1733 წ. მროველობა, 1752 წ. ისევ რუსეთში წავიდა და 1761 წ. მოსკოვს გააწყო ქართული სტამბა, ქრისტეფორე თუმანი-შვილი (1762 წ.), ამშენებელი ტფილელების სასახლის მარნისა, რომელსაც აწერია: „ჩვენ თუმანიშვილმან თფი-ლეღ მიტროპოლიტმან ქრისტეფორემან ესე ზედაშისა მარანი აღუაშენე. ვისაც ამა მარნიდან ან ზედაშე ან ღვნო მოგართუასთ, ან ეს წერილი აღმოიკითხოთ, ცოდვისა შენდობა გვბოძეთ, თქვენც თქუენის ცოდვისა შენდობა გვბოძოსთ. წელსა ჩლაბ“; ამავე ქრისტეფორემ განაშშენა საეკლესიო ვალობა; მიქელი (1771 წ.), გერმონე (1784 წ.), რომლის დროს მოღვაწეობდა მღვდელ-მოძღვარი და განთქმული მქადაგებელი და მთარგმნელი იოანე ოსეშვილი, ეფრემ (1786 წ.), „სირი, ფსალმუნთა მსტჯნავი“, დოსითეოზი (1787 წ.), დარია დედოფლის მოძღვარი და მტკვარში ჩაბრჩობილი სპარსთა მიერ 12 ენკ. 1795 წ., არსენ II ნაიბაძე, ბატონიშვილის აბდულა-ბეგის შვილი, იგი სასულიერო სამართალში მესცეს 1810 წელს და გადააყენეს. მოკვდა 30 ნოემბ. 1812 წ. და ამ დღიდან მოისპო ტფილელობაც.

3. საყდაჩი წმ. ჯვრისა, აშენებული იმავე დროს, რა დროსაც დაიდვა საფუძველი ქალაქ ტფილისისა, გაო-ზრებულ იქმნა ლანგთემურისაგან. ახალი ტაძარი ძვე-ლის საძირკველზე აგებულია მე-XV საუკუნეში. იგი ძვე-ლადგანვე ითვლება სადგურად იერუსალიმში მყოფ ქარ-თველთა მონასტრების ბერებისა—წმ. ჯვრის მონასტრი-სა (IV—V საუკ.), წმ. მოციქულის იაკობისა, ძმისა უფლისა და წმ. წინასწარმეტყველის ილიასი (განახლე-ბული დადიანის მიერ მე-XIII საუკ.). ამ ტაძარს მეფე სვიმონმა († 1611 წ.) შესწორა სამღებრო სოფ. დირბს

და სხვა მეფეთაგანაც შეწირული ჰქონდა სოფლები, ყმები და ულუფა, ხოლო მისი წინამძღვარი შემოსავალს უგზავნიდა იერუსალიმის ქართველთა ტაძარს, უფლის საფლავის ტაძრად წოდებულს. აზრი ამ შეწირულობათა და თვით სადგურის დაარსება ტფილისში ის იყო, რომ ამ სადგურის მეოხებით საქართველოს ჰქონდა მუდმივი კავშირი პალესტინასთან. წმ. ჯვრის წინამძღვართაგან ცნობილნი: ა) ნიკიფორე (1635 წ.), რომელიც შემდეგ შეიქმნა მთავარეპისკოპოსად კვიპროსის ვიკეოსის მონასტრისა და მოციქულად წარიგზავნა რუსეთის წინაშე მიხეილ თეოდოროვიჩისა და პატრიარქის ფილარეტისა, ბ) პართენი (1678 წ.), რომელიც გაჰყვა რუსეთს არჩილ მეფეს, გ) ათანასე, თანამედროვე ერეკლე II-ისა და შემდეგ პატრიარქი იერულამისა, დ) ბენედიქტე, ბერძენილადმ ქართულად მთარგმნელი წიგნისა „თეადრონ“ და შემდეგ მიტროპოლიტი ბეთლემისა, ე) თადეოზი, ე) იაკობი, ზ) იეროთეოზი, ც) კესარიოსი, თ) დანიელი († 1859 წ.), ი) პროკოპი, განმაახლებელი ეკლესიისა 1861 წელს და სხ. ამავე ტაძარში დასწერეს თვისი მოგზაურობა საქართველოში პატრიარქებმა: ანტოქიისამ დოსითეოსმა (1520 წლის ახლოხანს) და იერუსალიმისამ პასიოსმა (1658 წ.) და დოსითეოსმა 1689 წ.

4. მთაწმინდა არის ფრიად დიდი სათაყვანო ადგილი ქალაქის ყველა მცხოვრებთათვის. მთაწმინდის ტაძარი აღმართულია მთის ფერდობზე და ამ მთასაც ჰქვიან მთაწმინდა. ტაძრიდგან მშვენიერი სახილველია მთელი ქალაქი, იქიდგანვე მოჩანს ზედაზნისა, მახათისა და სამგორის მთები და აგრეთვე მყინვარი. როგორც ზევითაც ვსთქვით, აქ მოღვაწეობდა მამა დავითი (შემდეგ „გარეჯელად“ წოდებული) და მას ჰქონდა მცირე ეკკლესია,

რომელიც მე-IX საუკ. გაადიდეს და მონასტრად აღიარეს, ეს უკანასკნელიც განახლებულ იქმნა 1592 წელს დავით და ნიკოლოზ გაბაშვილთა მიერ. გარნა ესეც მოახრდა და განახლებულ იქმნა 1809 წელს ქვაშვეთის მღვდლის თომა გრიგორიევისაგან. ეს განახლებული ტაძარი კათალიკოს ანტონის ბრძანებით აკურთხა არქიმ. ტრიფილიმ 1810 წელს. 1817 წელს გაუკეთდა ვრცელი გზა. ზოლოს გრიგორიევის მიერ აგებული ტაძარიც დაანგრიეს დამის მაგიერ ააგეს აწინდელი ტაძარი. ერს დიდად სწამს ეს სიწმინდე, რომლის მოსალოცად თავს იყრის ერი ყოველ ხუთშაბათს. დღეობა ტაძრისა მოდის ამალღების სწორზე. ტაძრის ეზო-ყურეში ჰმარხიან: ა) დავით († 1824 წ.), რექტორი თელავის სემინარიისა, მცტად განათლებული მოღვაწე მე-XVIII საუკ. დასასრულისა, ბ) დიმიტრი ყიფიანი, გ) რუსის გამოჩენილი მწერალი გრიბოედოვი, დ) მისი მეუღლე ნინა, ასული ჭავჭავაძისა და სხ. ტაძრის გვერდზედ მცირე მალაროა, რომელშიაც გროვდება მთიდგან ნაყენი წყალი. მთელი მთაწმინდა უტყეო იყო და ტყის გაშენებისთვის მხოლოდ ეხლა ზრუნენენ. მთაწმინდის აღწერას ვასრულებთ ნ. ბარათაშვილის ლექსით:

შემოღამეჲს მთაწმიდასჯედ

„ჰოჲ მთაწმიდავ, მთაჲ წმიდავ, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ აშენონ, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაჰშთენ, ამოს, ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იღუმალობა დაისადგურობს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვიეს თვალთა მაშინ შენს ტურღას სერზედ მდგო-
მარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას
წმიდასა!
და, ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, შენდა აკმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი, კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი, და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი, რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული! ჰე, ცაო, ცაო, ხატობა შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული! აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან!

მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე შენსა მტკრეტელს მავიწყდების საწუთროება!
გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაჰშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა და, ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავენი დელეთა შორის აღმოკვნესოდენ,
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოვიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

ჰსდუმდა ყოველი მუნ არე-მარე; ბინდი გადეკრა ცისა კამარას;
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას.
გინაზავთ სული, ჯერეთ უმანკო, მზურვალედაც ვით მოქანცული?—
მას ჰგაედა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შუქ-მიბინდული!

ამ გვარი იყო მთაწმიდაზედ შემოლამება!
გი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდო!
მზოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი სძლევნით მას შვება!

გი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დაშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მტკუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად!
მწუხრი გულსა—სევდა გულსა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

მთაწმინდა დიდაც რომ „აღუშფოთებს“ სულს ყოველს ქართველს! მთაწმინდა არის მრავალ საუკუნოვანი მოწამე იმისი, თუ ვითარ ბედმან სასტიკმან „სიმრგვლე ცრსა ჩვენთვის რისხვით წამოპგრაგნა“, თუ რაოდენ გზის აოხრდა ტფილისი უღმობელ მტერთაგან, რაოდენი მართალი სული დაიკლა, რაოდენი სისხლი დაიღვარა!

მთაწმინდა ის წმინდა ადგილია, საცა დავით მეფე (1505—1524 წ.), ბერად აღკვეცილი, მოღვაწეობდა და ზენაარს ავედრებდა თავის სამწყსოს, და აქვე აღესრულა და აქვე შთაიფლა.

მთაწმინდა ის ნუგეშის საცემლოა, საცა მეფე ერეკლე II დაბინავდა დროებით და მეცა გლოვასა და მწუხარებას თვისის შვილის სოლომონის გარდაცვალებისა გამო.

მთაწმინდა ის ძლიერი და საპატრონო ადგილია, რომელსაც ვერ მიეკარნენ აღა-მაჰმად-ხანის მეომარნი 1795 წელს და რომლის ძლიერებამ გადაარჩინა უწყალო სიკვდილისაგან 50 მოქალაქენი, აქ 'შეთარებულნი.

მთაწმინდა მთაა წმინდა, მთა ძლიერი და მის საღს კლდეზედ დამყარებულია ბელი ქართველისა!

5. ანჩისხატი აგებულია მტკერის ნაპირა კლდეზედ კათალიკოზის ბაბიჯეს მიერ აღარნასეს დროს (614—639 წ.)—საოხად ღეთისმშობლის მარიამის შობისა. ტაძრის კამარა და გუმბათი დამყარებულია სამს სვეტზედ. დასავლეთის მხრით მიღგმული აქვს სამრეკლო, რომელიც ააშენა (1675 წ.) კათალიკოსმა დომენტიმ, მეფე ქაჯოსროს ძემ. ტაძრის ეზოში სამხრეთის მხრით ქალაქის აოხრებამდე (1795 წ.) იყო სასახლე, საღვური კათალიკოზის ამაღისა. აქვე იყო სასახლე საეკლესიო აზნაურების მაღალაშვილებისა, რომელთაგან აღირჩეოდნენ

ხოლმე კათალიკოზის სახლთ-უხუცესნი. თვით კათალიკოზის სასახლე იყო ეკკლესიის ზღუდის გარეთ; ტაძრის ჩრდილოეთის მხრით. ადგილი ანჩისხატსა და სიონს შორის ეჭირა მეფის სასახლეს. ანჩისხატი, მრავალჯერ გაოხრებული, განაახლა (მე-XVII საუკ. დამლევს) კათალიკოზმა დომენტიმ, რომელმაც მასში დაასვენა მაცხოვრის ხატი, ზოტანილი ტფილისს ანჩის საეპისკოპოსო ტაძრიდამ. მის შემდეგ თვით ამ ტაძარსაც დაერქვა ანჩისხატი.

ანჩის ხატის სიგრძე $1\frac{1}{2}$ ალაბია და სიგანე 1 ალაბი. მაცხოვრის მარცხენა ხელში სახარებაა და მარჯვენათი ილოცება. ქრისტეს სახე და მთელი ხატი მოჭედილია ძვირფასად და ძვირფასის თვლებით. ლუსკუმა ხატისა გადაკრულია ოქროთი დაფერილ ვერცხლის ფოთლებით. ლუსკუმას კარებზედ გამოყვანილია ხატი ხარებისა, შობისა, მოგვთა თაყვანისცემისა და ნათლისღებისა. ამ უკანასკნელ ხატის ზემო სწერია: „სულსა პატრონისა მანდატურთ უხუცესისა ბექისასა განუსვენე, ღმერთო“; მეორე კარებზე აწერია: „სულსა პატრონისა მანდატურთ უხუცესისა და მეუღლისა მისისა მარინასსა განუსვენოს ღმერთმან“. — მაცხოვარი თვისის ფეხით ჰმუსრავს ჯოჯოხეთის კარიბჭეს და გამოჰყავს იქიდგან ადამი და ევა; მაცხოვრის მარჯვენით ჰხატია იოანე ნათლისმცემელი, მარცხენით ქალწული მარიამ, ძირს ქრისტეს საფლაფზე დაყენებული დარაჯი და მალლა (ზემო მხარეს) ამაღლება. ლუსკუმის კარების ბოლოს აწერია: „ძენი მათნი მანდატურთ უხუცესნი სარგის, ყვარყვარე და შალვა აღიდნეს ღმერთმან“ *). ხატის ქვეშ სწერია:

*) ბეჟა და მისნი შვილნი სცხოვრობდნენ მე-XIV საუკუნეში. იგინი ჰხატიან საფარის ტაძრის კედლებზედ.

„ბრძანებითა და ნიეთის ბოძებითა ღვთივ გვირგვინოსანისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისათა მე იოანე ანჩელმან რკნაელმან კელგყავ საშინელისა ამის ხატისა პატივითა მოკედად; მფარველ-მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიქვედა კელითა ბექახითა. ქრისტე შეიწყალე“.

ლუსკუმს ქვეშე აწერია: „ადიდენ ღმერთმან კათოლიკოზი პატრიარქი, რომელმან განაახლა ესე კელთ-უქმნელი: პირველ ედესილგან კონსტანტინეპოლეს წარმოესვენებინათ, და ოდეს ლეონისავრო—¹⁾ და სხვანი ხატო მბრძოლნი გამოჩნდნენ, მას ყამსა მუნილგან წარმოესვენათ და დაესვენათ კლარჯეთის საეპისკოპოსოსა საყდარსა ანჩისასა, ბრძანებითა და ნიეთის ბოძებითა მეფეთ მეფის თამარისათა იოანე ანჩელს პატიოსნად მოკვედა, და ოდეს გათათრდა სამცხე, ²⁾ მიშინ აღსრულიყო ტფილისის ვაჭარი და ეყიდა ფასითა და მოესხენებინა ბიძისა ჩვენისა კათოლიკოზ-პატრიარქის დომენტისათვის ³⁾ და მას ძვირფასად ეყიდნა და დაესვენა საყდარსა საკათალიკოზოსა მეფობასა პაპისა ჩვენისა მეფის ვახტანგისასა; ⁴⁾ მას აქეთ დიდად დაძველებულიყო ხე და მოკედილობა; ჩვენ მეფეთ შარვანდელმან, ყოვლისა საქართველოს პატრიარქმან დომენტი ⁵⁾ კვალად განვაახლეთ და მოვქედეთ გული და კუბო, და შევმატე თვალი და მარგალიტი. ქრისტე ღმერთო, შემინდევე ყოველნი ცოდვანი ჩემნი, სატანჯველისა და ყოველთა მტერთა ხილულთა და უხილავთაგან მიხსენ და შემრაცხე მარჯვენით შენსა და დაიციე მეფე მეფეთა საქართველოს ბაგრატოვანი ვახტანგ ⁶⁾ და მეუღლე მათი დედოფალი რუსუდან, ბაქარ, გიორგი და ასულნი მათნი, ყოველნივე იხსენ განსაცდელისაგან. ამინ. ქწს უოგ.“⁷⁾

ამ ხატის კარები მოუქედინებიათ (1686 წ.) იოთამ

¹⁾ ლეონისავრო 718—741 წ.—²⁾ მე-XVII საუკუნეში.—
³⁾ დომენტი II (1660—1675), რომელმაც ანჩის ხატი და მასთან ყ ხატი სხვა, მოტანილნი კლარჯეთიდან ტფილისის ვაჭრისა ამირჯანისა და მის ძეთა ზურაბისა, მელქუმისა და დავითის მიერ, შეიძინა 2000 მორჩილად.—⁴⁾ მეფობდა 1658—1675 წ.—⁵⁾ დომენტი III (1705—1742 წ.);—⁶⁾ ვახტანგ VI (1703—1724 წ.).—
⁷⁾ 1715 წ.

ამილახვარსა და მის მეუღლეს თამარს, ასულს მეფის ვახტანგ V-ისას, და ძეთა მათთა ანდუყაფარს და ღემეტრეს. კარები მოუქცდია და გაუკეთებია ოქრომჭედელს ბერუკა დოლაძეს.

სამრეკლოს კედელს აწერია: „ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონიშვილმან კათალიკოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო ესე და განვახლე საყდარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფობასა ქართლსა შანაეზისსა, ქნსა ტნიგ“ (1675 წ.).

ტაძრის ზარს აწერია*): „ეს ზარი ბუღდან-ბეგმა ამილახვარის შვილმან ბატონს კათალიკოზს დომენტის (შეესწირე) და კათალიკოზმა ქალაქის ღვთისმშობელს (შესწირა).

6. ლურჯი მონასტერი ვერაზედ საოხად ანდრია პირველ წოდებულისა, აგებული ლურჯის ალგეთის ქვით ძველს დროს. ვახუშტი მას ჰხადის წმ. გიორგის ეკლესიად. ამ საუკუნის დასაწყისს ამ ტაძარში ინახავდნენ თოფის წაქალს. ტაძრის კედლების შიგნითი მხარე მთლათ დახატული იყო. აღმოსავლეთის კედელზე არის შეიღები წარწერა:

„ვინაიდან ჩემებრ ბრალეულთაგან სარწმუნოებითა კეთილთა..... კეთილად..... ქმნილნი..... ამისათვის მეცა შვილი ჭეშმარიტისა ემბაზისა სახელით ოდენ ქრისტიანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლად უშიშო ღვთისა ბრძანებითა უღირსი ბასილი ქართლისა მთავარ-ეპისკოპოს ყოფილი, ძე კეთილ ნაშრომისა იობისა უნდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ გულს მოდგინებით მსასობელი შენი ცეებრსა ამას გიმკობ საყდარ-სართულსა სამოსახლოსა ამას ტაძარსა შენსა ყოვლისა სოფლისა მომანადირებელთა სარწმუნოებასა ზედა მართულსა ათერთმეტ თავად აღრიცხულსა დასსა მოციქულთასა თანამოსაყდრეო დაჰსწრა (?) ანდრია... ხოლო ვაშენებ

*) ყველა ეს წარწერები და საზოგადოდ ტაძრების აღწერა გადმოვიღეთ პ. იოსელიანის წიგნიდან „Древности Тифлиса“.

ნაცვალ საგებლად ჩემთვის და საყვარლისა ძმისა ჩემისა ე.....ჯ ქართლისა ამირთა ამირისა რუისთავისა და შვიდთა მათეულელთა პატრონისა აბულ-ასახისათვის და უპირმშოისა ძმისა ჩემისა შვლისა დავითისათვის ვიდრემდის დაუდგრომელსა ამას და წარმომდინარესა სოფელსა შინა ხოლო..... ვიყუნეთ მშვიდობით დაცულ საძუალეთა ამათ შინა. ქორონიკონსა“.

ამ წაწერის მიხედვით ბროსე ამტკიცებს, რომ ეს ტაძარი აგებულა ან 1505 წელს და 1525 წ. გარნა არც ბროსესა, არც იოსელიანისა და არც მათ მიმდევარდ. ბაქრაძეს, ჩვენის აზრით, საკმაოდ ვერ აუხსნიათ წაწერა. ჩვენ ვიცით, რომ თამარ დედოფლის დროს ტფილისში სცხოვრობდა ამავე ქალაქის მკვიდრთაგანი თავადი აბულასანი, რომელი იყო „მეფეთ მეუისაგან წყალობა—კელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა“ (ქარ. ცხ., გვ. 284). ამ აბულასანს ჰყვანდა ძე გუზანი, რომელიც თამარს აემალლებინა და დაენიშნა გამგედ კლარჯეთისა და შაეშეთისა. გუზანმა ბოლოს უღალატა თამარს და იგი მოკლეს მთიბავებმა (ქ. ც. გვ. 293, 324). ეს აბულასანი, ალბად იყო გაქრისტიანებული ყიზილბაღი ან ოსი. მას კარგად უნდა სცოდნოდა ეს ქვეყნები, რადგან თამარისათვის რომ ირჩევდნენ საქმროს, ამან სთქვა: „მე ვიცი შვლი რუსთა ხელმწიფისა, რომელი ექსორია ქმნილ დეენილი, გარდმოიხვეწა და არს იგი ყიზიყათა მეფისა სვიაჯს ქალაქსა შინა“. ვითარცა თამარი იწოდებოდა მეფედ „შვიდთა სამეფოთა“, „შვლთა თემთა“, „შვიდთა სვეტთა“, ისე მისი ამირა ანუ ამირთ ამირა, რომელიც ჰყოლობდა ქართლიდგან რუისთავამდის (ყარაია), ჰხადის თავის თავს პატრონად „შვიდთა მთეულელთა“, ე. ი. ყიზიყისა, ოსეთისა, ქარსლისა, ჩაჩნისა, დიდოეთისა, ღლიღვისა და მთიულეთისა.

ანდრია პირველწოდებულის ტაძარში ჰმარხია ცნობილი მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, დიდი მტერი ანტონი კათალიკოზისა.

7. კერის ტაძრი საოხად ღვთის მშობლისა აშენებული ძველად და მიწერილი ანდრია პირველწოდებულის ტაძარზედ. მისგან, პ. იოსელიანის თქმით, დარჩენილია ორი კედელი და აგურის ტრაპეზი. ამ ნანგრევებს ყოველწლივ აღდგომის მეორე დღეს მოილოცავენ ხოლმე ერეკლე II-ის ასული ქეთევან, მეუღლე იოანე მუხრანბატონისა.

8. წმ. მარინის ტაძრი ავლაბარში აგებული ძველს დროს და განახლებული 1824 წ. 1849 წელს. წმ. მოწამეს მარინას დიდად პატრუკემენ ქართველნი. მის საოხად ბევრგან აგებულია ტაძარი, მაგ. კახეთში და სხ. მარინას ასრე ამკობს კათალიკოზი ანტონი I.

სპეტ მარგრიტებს, შუბნება ქალწულისა,
ადაშს მტკიცობს გონება შეუხები,
მრჩობლს გუპლს აკუდინებს ყრმა ბრქენი მარინა,
სხუა და სხუათა მცნები ქედს იფარლულებს მახვილს.

9. წმ. ეკატერინესი, რომელიც ააშენა დავით აღმაშენებელმა საღვურად სინას ქართველთა მონასტრისა, აგებულია საოხად წმ. ეკატერინესი. იგი გაოხრებულ იქნა ლანგთემურისაგან, ხოლო აღექსანდრე I ისევ აღადგინა 1430 წ., 1795 წ. ეს ტაძარი დაანგრის ყიზილბაშებმა, ხოლო სინას ბერებმა მის მაგიერ პატარა ეკლესია ააშენეს, შემდეგ 1861 წელს კიდევ განაახლეს. ამ ტაძრის სიგელთაგან სჩანს, რომ მისთვის შეუწირავთ: სიმონ გურიელს 25 მარჩილი ყოველი წლივ (1624 წ.), გიორგი გურიელს (1682 წ.) 40 ყურუში, კახეთის მეფე

ალექსანდრე I 90 ლიტრა აბრეშუმი, იმერეთის მეფე სიმონ I 40 მრჩილი, კაცია დადიანს (1783 წ.) 40 მრჩილი, ერეკლე II (1778 წ.) 50 ყურუში (=37 მან. და 50 კ.) და კიდევ 200 ყურუში, მეფე გიორგი XII (1800 წ.) 50 ლიტრა აბრეშუმი და სოფელი მელრევი ქართლს.

10. კალაუბნის წმ. გიორგი აგებულია უუძველეს დროს და განახლებულია 1850 წ. მღვდლის იოსებ ნამორაძის მეცადინეობით. კალაუბანი იმიტომ ეწოდა ამ ადგილს, რომ აქ, როგორც გადმოგვცემს თქმულება, ლანგთემურმა გაღეწა კალო, რომელზედაც ძნის მაგიერ ყრმები დაალაგებინა.

11. სამების ტაძარი, აგებული ძველის საფუძველზედ (1790 წ.) პეტრე აღნიაშვილის მიერ, განახლებულ იქმნა 1863 წ.

12. კვირა-ცხაკელი წმ. თომასი უუძველესი ტაძარია. დანგრეული ლანგთემურისაგან, განახლებულ იქმნა XVII საუკ. მთავარეპისკოპოსის ქრისტეფორეს მიერ.

13. კარის ეკლესია წმ. გიორგისა, აგებული ძველის წმ. მთავარანგელოზების ტაძრის საფუძველზე. ეს ძველი ტაძარი შემუსრა ლანგთემურმა 1398 წ. 1640 წ. მისის ნაშთისაგან როსტომ მეფემ ააშენა სამი ტაძარი:

14. ალანე ხათლისმცემლისა როსტომის სასახლის წინ.

15. ხარების სამეფო მოედნის შუაგულს და წმ. გიორგისა (კარის ეკლესია), რომელის შენება დაამთავრა ბატონიშვილმა სიმონ ვახტანგისძემ 1710 წ. და მის წინ. მოედნის მხარეს, აიგო სასახლე. ეს სასახლე გაადიდა მეფე გიორგი XII-მან წმ. გიორგის ტაძარი კარის ეკლესი-

სიად შეიქმნა. გიორგი კარდაიცივალა ამავე სასახლეში და მისმა მეუღლემაც აქვე მოჰკლა გენ. ლაზარევი. 1840 წელს ხაზინისაგან ეს სასახლე იყიდა კერძო პირმა, რომელმაც სასახლე გაადიდა და გაამალლა ისე, რომ ახალმა შენობამ სრულიად შეაფიწროვა და დაჩრდილა წმ. ტაძარი. ამ ეკლესიაში არის ფრიად შეენიერი ჰხატი წმ. ნინოსი, მოციქულთა სწორისა და ქართველთა განმანათლებელისა.

16. ქვაშკეთი მთავარ-მოწამის გიორგისა, აგებული ძველი ეკლესიის აღგილას 1754 წელს გივი (შაჰყულიხან) ამილახვრისაგან. ეკლესიის კარების ზემოთ არის წარწერა: ჩუპნ ამილახვარმან გივმან, ძემან ანდუყაფარ ამილახვრისამან, და თანამეცხედრემან ჩუპნმან ორბელის ძის ასულმან ბანგუამ აღუაშენეთ ეკლესია ესე ღუაწლით შემოსილისა მთავარ მოწამის გიორგისა ზღუდით, ბურჯით და სახლით, რათა მეოხ გუყოს ეამსა სიკუდილისასა. ვინც იხილვებთ, შენდობასა გვიბრძანებდეთ. აღევო მეფობასა კეთილმსახურის გვრგვონოსანის თეიმურაზისასა და ძისა მისისა კეთილ-მორწმუნისა მეფისა ირაკლისასა, ხოლო მამათმთავრობასა ანტონი დავითიანისა, განხორციელებითგან სიტყვსა ღუთისასა ჩნდ (1754 წ.).

წარწერა კარის-ბქეზედ: სადიდებლად ღუთისა დროსა სრულიად რომისა იმპერატორის ალექსანდრი პირველისა და ექსარხოსობასა საქართუპლოის და იმერეთის სამღვდელთა ზედა მცხეთის მიტროპოლიტის და ტფილისის ვარლამ ქსნის ერისთვს დავითის ძისა აღშენდა კარისბქე ესე წელსა ქრისტესით ჩყივ ქორონიკონსა ფდ (1816 წ.).

ამ ტაძარში ინახება შესანიშნავი ხატები: ა) შემოწირული ინდო გაბაშვილისაგან 1713 წ., ბ) წმ. გიორგისა, მოტანილი სოფელ ენავეთიდგან, გ) ორი ხატი ღუთისმშობლისა, შემოწირული ზურაბ სახლთ-ხუცესისაგან 1665 წ., დ) ღუთისმშობლის ხატი ბეთანიის მონა-

სტრისა*) -და სხ. ქაშვეთობა მოდის 10 გიორგიბისთვეს.

17 დიდუბის ჯეთის მშობლისა (მისი აღწერა იხ. ზემოთ).

18. ჯეთის მშობლისა საკრებულო ტაძარი ძველის ნანგრევებზე აგებულია (1680 წ.) ელენეს მიერ, რომელიც იყო ასული მეფე ვახტანგ მე-V-სა. ესეც რომ გაიხრდა, ხელახლა კიდევ განაახლა (1795 წ.) ერეკლე II-ეს ასულმა მარაშხმა. ამ ეკლესიის ახლოს იყო სასახლე კათოლიკოსებისა ანჩის ხატთან, რომელშიაც სპარსთა ბატონობის დროს სცხოვრობდნენ მათი ხანები.

19. წმ. ირაკლისა და დარჩას მოსასტერი მეტეხის გორაზედ. ამ მონასტრის უმთავრესი ეკლესია და თვით სასახლეც ააგო ერეკლე II-ეს მეუღლემ დარია დედოფალმა, რომელიც აქვე სცხოვრობდა შემდეგ ერეკლეს გარდაცვალებისა 1803 წლამდის. ხოლო ამ წელიწადს იგი გარდასახლეს რუსეთს, საცა აღესრულა 8 ნოემბ. 1807 წ. ეს სასახლე მისის ეკლესიითურთ შეიძინა ექსარხოსმა თეოფილაქტემ და აქ გამართა სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლები. იონა მიტროპოლიტმა (1822 წ. 29 ოქტ.) ტაძარი აკურთხა მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრად. მონასტრის უმთავრეს ტაძარში ჰმარხიან: ეპისკოპოსი გორისა ნიკიფორე ჯორჯაძე († 1851 წ.), მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი († 1829 წ.), რომელსაც 1815 წლიდან ებარა სამწყსო თელავისა და კავკასიისა, არქიმ. ვეგენი († 1832 წ.), რექტორი სემინარიისა.

20. ტაძარი სახელსა ზედა ყველას ურკუულთა ნუგეშის-მცემელისა თაბორის გორაზედ სვიდაბადს კათოლიკოსების

*) ბეთანიის ტაძარი აგებულია თამარ მეფისაგან.

საზაფხულო სასახლეში. გაოხრებული ტადარი გან ახლა და აკურთხა (1836 წ.) საქართველოს ექსარხოზმა ევგენიმ. 1849 წლიდან გაუქმდა ეკლესია და კათალიკოსების სასახლეც.

21. ტადარი წმ. ჯვრის გამოჩენის სახელობაზედა კუკიაში აგებული 1815 წ. შემდეგ განახლებულ და გადაკეთებულ იქმნა აწინდელ კუკიის წმ. ნიკოლოზის ტაძრად.

22. ტადარი წმ. ბარბარესი ქვემო ნათლუხში, აგებული ძველს დროს, დიდი თაყვანის საცემელოა, დღეობას (4 დეკემბ.) აქ იკრიბება დიდიძალი მლოცველი. წმ. ბარბარეს მოსალოცად აქ მუდამ მოჰყავთ სახადით მორჩენილი ბაეშეები.

23. ტადარი წმ. ბარბარესი ზემო ნათლუხში, აგებული ამ მიმდინარე საუკუნეში.

24. ტადარი ელია წმინდა, მახათის მთაზე. აწ დანგრეული.

ამ საუკუნეში კიდევ აგებულ იქმნა შემდეგი ტაძრები:

25. ალექსანდრე ნეკელის (კუკიაში).

26. წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე, რომელსაც აქვს მშენიერი სასახლე. სამრევლო სკოლისათვის.

27. მალაგნების უბნის ტადარი (კუკიაში).

28. პეტრე-პავლესი ავლაბრის სასაფლაოზე.

29. ხარების (არქიელის კარის ეკლესია).

30. ივერიის ღვთის მშობლის (პირველი გიმნაზიის კარის ეკლესია).

31. წმ. ნინოს ტადარი (ქალების ინსტიტუტის კარის ეკლესია)

32. წმ. ალექსანდრე ნეკელის (მთავარმართებლის კარის ეკლესია).

33. წმ. იოანე ღვთისმეტყველისა (სახულიერო სასწავლებლის კარის ეკკლესია).

34. წმ. ანდრია პირველ წოდებულისა (სემინარიის კარის ეკკლესია), განახლებული 30 ნოემბ. 1862 წ.

35. წმ. ნიკოლოზისა ორთაქალას ახლოს, აგებული დეკანოზის ბასილის მიერ ბერძენთათვის.

36. წმ. ალექსანდრე ნეკელისა (ალექსანდრეს ზღში).

37. სამსკდრო საკრებულო ტაძარი გუნზის მოედანზედ დიდ-მშვენიერად აგებული (ნაკურთხი 21 მაისს 1897 წ. სახელსა ზედა ალექსანდრე ნეველისასა).

38. ქალების 1-გიმნაზიის კარის ეკკლესია.

39. იუნკრების სკოლის კარის ეკკლესია.

40. სამისიონერო ტაძარი (რიყეზედ).

41. ვაჟების 2-ე გემნაზიის კარის ეკკლესია.

3. ტაძარნი სომეხთა

1. კანჭი არის უპირველესი, უუძველესი და საეპისკოპოსო ტაძარი სომეხთა. მისი საფუძველი დაიდვა მე-XVII საუკ. გასულს. შარდენის თქმით ვანჭი ანუ ფაშა-ვანჭი ააშენა ვილაც ოსმალეთიღგან გარდმოხვეწილმა ფაშამ. ეს ცნობა შარდენს გადასცეს თვით აქაურმა სომეხებმა, რომელთაც მაშინ (1673 წ.) ტფილისში ჰყვანდათ თვისი ეპისკოპოსი. ამ ფაშის მიერ აგებულ ტაძრის ნაშესრევზე აგებულ იქმნა (1720 წლ. ახლოს) აწინდელი ტაძარი, რომელიც საბოლოოდ განახლებულ იქმნა 1788 წელს.

2. სურბ-ნიშანი (წმ. ნიში), როგორც სჩანს მისის წარწერისაგან, აგებულია 1701 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც საქართველოს მეფედ (უკეთ ვსთქვათ: გამგედ)

სპარსთა ყენისაგან დანიშნულ იყო ლეონი, მამა ვახტან სჯულმდებლისა.

3. წაღკეკანქ (ყევეილის სავანე) ნავთლოღში*).

4. ასტვაწაწინ (ღვთისმშობელი), იქვე.

5. წიწანავორ ასტვაწაწინ (წითელი სარტყლიანი ღვთისმშობელი) კრწანისში.

6. ლუსავორი (კრიგოლ განმანათლებელი) ავლბარში.

7. კარშირ ავეტრან (წითელი სახარება) იქვე.

8. ენშიაწინ იქვე.

9. ძორახაში სურბგევორქ (ხვეისთავის წმ. გიორგი) იქვე.

10. სურბ მინას (წმ. მინასა) იქვე.

11. სოჯვეკანქ ასტვაწაწინ (ხოჯვეანქის ღვთისმობელი) იქვე.

12. სურბ კარავეტ (წმ. კარავეტი) იქვე.

13. ასტვაწაწინ (ღვთისმშობელი) ჩულურეთში.

14. ასტვაწაწინ (ღვთისმშობელი) კუკიაში.

15. თანდოიან ასტვაწაწინ (თანდოიანთ ღვთისმშობელი) იქვე.

16. სურბსახ (წმ. ჯვარი) ვერახედ.

17. ზრკინანც ასტვაწაწინ (ზვრინანთ ღვთისმშობელი) იქვე.

18. მოღნინინ სურბგევორქ**) (მოღნინ ს წმ. გიორ-

*) სია სომხების ტაძრებისა გადმოგვცა დიდად პატივცემულმა მღვდ. გ. ი. შერმაზანიანცმა, საღმრთო სჯულის მასწავლებელმა ტფილისის რეალურ სასწავლებლისამ, — რისთვისაც მას ვწირავთ უგულითადეს მადლობას.

**) ამის ქვემოთ მოხსენებული ეკლესიები სოლოლაკსა და შუაგულ ქალაქშია.

გი), აშენებ. 1751 წელს

19. ქაშოიანთ ტაძარი.

20. კუსანაც სურბ სტეფანოს (მოლოზნების წმ. სტეფანე).

21. ბეთსემინ ასტეაწაწინ ანუ ფეთხაინი (ბეთლემის ღვთისმშობელი).

22. ქაჩაფინ სურბგევორქ (ქარაფის კლდის წმ. გიორგი).

23. დასტა ხახი. სურბგევორქ (მინდვრის ჯვრის წმ. გიორგი).

24. ტყეშტავაპეტ (მთავარანგელოზი).

25. სურბ სარქის (წმ. სარქისა).

26. ნოჩაშენ, აგებული 1793 წელს.

27. ჯიგრაშენ ავეტიაც (ჯიგრაშენი ხარებისა), 1785 წ.

შენიშნავ. ამ ეკლესიათაგან ვახუშტის დროს 7 ეკლესია თენოდა ქართველებს და, მ.თ შორის; ბეთლემა, რომელსაც სომხებმა უწოდეს ფეთხაინი (ბეთხემი); ეს ტაძარი აგებულია გივი ამილახერისაგან 1740 წ., სურბნიშანი, წმ. ნიკოლოზისა და წმ. მთავარანგელოზისა, რომელსაც სომხებმა უწოდეს ტყეშტავაპეტ (მთავარანგელოზი). ეს ტაძარი უძველეს დროს ბერძნების სალოცავი იყო და ჯერ ისევ გიორგი მე-XII-ის დროსაც იგივე ამ ეკლესიისთვის გადაებოღნენ სომხებს*). ამას გარდა ქართველების კუთვნილება ყოფილა კიდევ წინანაურის ტაძარი (კრწანისში), თაბორი (ავლაბრის გორაზე), თელეთის ტაძარი (სოფ. თელეთში).

*) იხ. Описание древн. Тифлиса, პლ. იოსელიანისა, გვ. 233 და Кавказъ въ древн. памятникахъ христіанства დ. ბაქრაძისა, გვ. 44, საცა მოყვანილია ცნობა შესახებ ვანქისა.

ზ. კათოლიკეთა საყდრები.

კათოლიკეთა სარწმუნოების გავრცელება მოჰყვა რუსუდან დედოფლის მეფობას. მონგოლები რომ შემოესივნენ საქართველოს და დაამარცხეს ქართველნი, მაშინ რუსუდან დედოფალი, უმწეოდ დაშთენილი, იძულებულ იქმნა მიემართა რომის ტახტისადმი და შემწეობა ეთხოვნა პაპ ჰონორი III-ისა და პაპ გრიგორი IX-საგან, და ამასთანავე ამ უკანასკნელს რუსუდანმა შეუთვალა, თუ დამეხმარებით, „მეცა და ჩემი ქვეყანაც რომის ეკკლესიას შევეურთდებით:ო, ე. ი. კათოლიკობას მივიღებთო“¹⁾. პაპმა გრიგორიმ რუსუდანი შეაქო ამ გვარ განზრახვისათვის, დაპირდა დომინიკანელ ბერებს გამოგზავნიო, ხოლო ლაშქრით შემწეობის შესახებ მოსწერა, რომ რადგან ჩემი ტახტი დიდს განსაცდელშიაო ჩაფარდნილი იმპერატორ ფრიდრიხისაგან, ამიტომ ჯერხნობით ვერას შეგეწევიო²⁾. მიუხედავად ამისა, პაპმა გრიგორი IX მაინც გამოგზავნა 7 ბერი რუსუდანისა და მისი ერის მოსაქცევად, გარნა რუსუდანმა უარჰყო მათი მოძღვრება. 1289 წ. პაპ ნიკოლოზ IV ხელახლა გამოგზავნა მღვდლები, რომელნიც ქართველობამ პატივით მიიღო, და ნება დართეს ტფილისში ჰყოლოდათ თვისი ეპისკოპოსი. კათოლიკეების პირველი ეპისკოპოსი ტფილისში იყო იოანე ფლორენტიელი (1329 წ.). მისი სადგური იყო იქ, საცა ეხლა კათოლიკეთა ხარების ტაძარია³⁾. პაპთან მიწერ-მოწერა ჰქონდა აგრეთვე მეფე კონსტანტინე III (1469—1505 წ.). ამ გვარ მიწერ-

¹⁾ იხ. „ივერია“ 1879 წ., № 5, გვ. 195.

²⁾ იქვე.

³⁾ Опис. др. Тифлиса, გვ. 234.

მოწერისა და აქაურ კათოლიკე ბერების ოსტატურ ქა-
დაგება-გარჯისა გამო კათოლიკეთა მოძღვრებამ ფეხი მოი-
კიდა საქართველოში და სახელდობრ ტფილისსა, გორ-
სა, ქუთაისსა, სამეგრელოსა, გურიასა და ახალციხესა.
თუმცა 1600 წლითგან კათოლიკეთ აღარა ჰყვანდათ ეპის-
კოპოსი, არამედ თეატინელი მამები, მაგრამ მაინც მათი
რიცხვი გამრავლდა და უფრო მეტად-კი 1604 წლიდგან.
კათოლიკე ბერები ძლიერ განათლებულნი კაცნი იყე-
ნენ, იცოდნენ ექიმობა და ქართულს ენასაც სწავლობ-
დნენ. ამ ენის შესასწავლად რომის „მოქადაგეთა სკო-
ლაში“ პაპმა დააწესა ქართული ენის კათედრა და პრო-
ფესორად გააძწესა ქართველი—ირბახი, რომელიც „მთელს
წინა აზიაში განთქმული იყო მეცნიერებითა და სადიპლო-
მატო ელჩობით“. ამ სკოლიდგან გამოვიდნენ, მაგ., პა-
ულინი, რომელმაც შეადგინა და დაბეჭდა (1626 წ.)
ქართული ანბანი და მასში ჩაურთო 3,084 ქართული
სიტყვა, მაჯრი, რომელმაც შეადგინა ქართული ენის გრა-
მატიკა ლათინურ ენაზე და დაბეჭდა რომს (1643 წ.).
ეს წიგნი ისრე სწრაფად გავრცელდა, რომ იგი მალე მე-
ორე გამოცენადაც დასტამბა*) (1670 წ.). ამავე ხანებში
რიჯენერანდომ შეადგინა (ქართულის ანბანით) იტალიუ-
რი და თათრული (ადერბეჯანის) ლექსიკონი, რომელიც
1722 წელს შეუქმენია მურადიანთ ტირაკუ იოანეს**).
ამას გარდა ქართულად გადმოთარგმინილ იქმნა გორის
მკვიდრის ტლუკაანთ დავითისაგან რომს დაბეჭდილი
(1733 წ.) წიგნი „საქრისტიანო მოძღვრება“.

ამნაირად გაჩაღებულმა კავშირმა რომსა და საქარ-

*) ეს მეორე გამოცემა მაჯრის გრამატიკისა დაწერილებით
განხილულია ჩვენ-მიერ (ივერია, 1895 წ., № 164).

***) იხ. ჩვენი წერილი. ივერია 1895 წ., № 149.

თველოს შორის კათოლიკეთა მოძღვრება ჩვენში ბევრმა ირწმუნა. მოგზაური პიეტრო დედლავეალღე პაპს ურბანოსს VIII-ეს მოახსენებს (1627 წ.), რომ „პატრი ფრაჯოვან-თადეო წმ. ელისეს კარპელიტანელი ფეხშიშველი საქართველოში იყო, მეფე თეიმურაზმა მას განუცხადა მეგობრობა... როგორც ჩვენებურ ქრისტიან სამღვდელთა პირს, საჯაროდ აწირვინა თავის უმთავრესს ტაძარში, იმ ქვეყნის მიტროპოლიტის თანადასწრებით; მეფეს თვითონაც უნდოდა წირვის მოსმენა, მაგრამ არ ვიცი რამ დაუშალა. გარდა ამისა მეფემ უბოძა და ჩააბარა მას მიწა-ადგილი იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში მას, თუ ისურვებდა, გაეკეთებინა ჩვენი რჯულის მონასტერი და ეკლესია. ერთის სიტყვით, როგორც მეფემ, ისე აღაფერდელ მიტროპოლიტაც, რომელიც ითვლებოდა გონიერ კაცად და რომის საქმის ერთგულ მსახურად, გამოიჩინეს რომის ეკლესიისადმი ისეთი გულკეთილობა, რომ მეტი აღარ შეიძლება“*).

პატრიარქ დიოსითეოზი სწერს**) მეფე შანაოზის ქაშს (1658—1675 წ.) მოკიდა ივერიაში ექიმი ანდრია ხიოსელი და შთააგონა მეფეს მოეწვია იეზუიტნი. სომეხთ წაართევს ორი ტაძარი: ერთი გორში და ერთი ტუილისში და გადასცეს იეზუიტებს. ამ ბერებმა პაპის ტახტს შესძინეს ზოგიერთი სომეხნი, ე. ი. მოაქცაეს ნისლისაგან წყუდიანისადმი. 1688 წელს მე გაეხსენი იეზუიტების წერილები: იგინა სწერდნენ რომაელს, რომ პაპისადმი მოვაქციეთ მეფე და სამღვდელთა უფროსებიო, ხოლო ეს რყუილია“.

*) ივერია 1879 წ. № 3. გვ. 33.

**) მ. სელეზნევი. О религіоз. и полит. состоян. Грузіи до XVII вѣка, გვ. 229; ჩვენი საქართველო, გვ. 359.

ეს არც იმდენად ტყუილი, როგორც გვარწმუნებს მართლ-მადიდებელი პატრიარქი დოსითეოზი. მეფე-კი არა, მისი ახლო ნათესავები და მოგვარეები პაპისადმი მიიქცნენ. ესრეთნი პირნი იყვნენ, მაგ., საბა ორბელიანი, რომელიც იყო დედის ძმისწული გიორგი XI-ისა (1676 — 1688 წ.), ანტონი I კათალიკოზი, ვახტანგ მეფის ძმის იესეს ძე, თვით ისტორიკოსი ვახუშტი ვახტანგის ძე და სხ. ეს ვახუშტი ჯერ ისევ 15—16 წლისა იყო. რომ დაუახლოვდა ტფილისის კათოლიკეთა ბერებს, მას კიდევ შესწამეს გაფრანგება, რის გამო აუკრძალეს მისვლა-მოსვლა ხსენებულ ბერებთან *).

თვით შანაოზ მეფეც მოწყალედ ეპყრობოდა ტფილისის კათოლიკეთა ბერებს, ჰპატიჟობდა მათ, უმასპინძლდებოდა, თავის სასახლის ექიმებად ამწესებდა და სხ. შარდენი ამბობს, რომ მეფე შანაოზმა მიგვიწვია ქორწილში მე და ტფილისის კაპუცინების პატერი რაფაელ პარმელი, მეფის კარის ექიმიო, ქორწილის დასასრულს პრეფექტმა მეფის ბრძანებით იგალობა იტალიურსა და ესპანიურს ენებზე საეკლესიო საგალობელნი და სიმღერანი **).

ამნაირად ვაძლიერდა ჩვენში ფრანგობა, რომელსაც მიემხრო თვით ეკლესიის მამადმთავარი ანტონი I. თეიმურაზ მეფეს არ მოეწონა სარწმუნოების რყევა, დაამხო ანტონი კათალიკოზი და საქართველოდგან განდევნა კათოლიკეთა ბერები (1755 წ.), ხოლო მათი დიდი ეკლესია ტფილისში სახელსა ზედა ხარებისა მართლ-მადიდებელთა ეკლესიას შეჰმატა. კათოლიკეთა ბერები ახლ-

*) იხ. ჩვენი „Известія груз. лѣтоп. и истор. о сѣвер. Кавказѣ и Россіи“ გვ. 88.

**) Опис. древ. Тифл., გვ. 243, 244.

ციხეში წავიდნენ, საიდგანაც იგინი დააბრუნა ერეკლე II (1763 წ.), ხოლო ძველი ეკლესია კი აღარ დაუთმო მათ. კათოლიკეთა ახალი ტაძარი აგებულ იქმნა 1804 წ. და მასთანვე ააშენა სასწავლებელი ყარაგუმბა, ერეკლესი და გიორგი მეფეების მკურნალმა. 1844 წელს რომაელების მოძღვრების მაგიერ კათოლიკეთა ეკლესიას განაგებენ პოლონელთა კსენზები (მღვდლები). ტფილისში მათ აქვთ სამი ეკლესია: ხარებისა, პეტრეპავლესი და სასაფლაოსი სოლოლოკს.

ს) გერმანულთა ტაძრები.

1818 წელს საქართველოში გადმოასახლეს 500 კომლი გერმანელთა. ამათგან ზოგი დასახლდა სოფელ კუკიაში, რომელიც 1824 წ. ქალაქ ტფილისს მიეწერა, და 25 სახლობა ტფილისის მოშორებით, მტკვრის პირას; ამათ სოფელს ჰქვიან „შორეული ახალშენი.“ გერმანელთ ტფილისში აქვთ ერთი მშვენიერი ეკლესია მიხეილის ქუჩაზე (აკურთხეს 1897 წ.) და აგრეთვე ერთიც შორეულს ახალშენში.

თ) ურათა თორა.

ტფილისში ურიებსაც აქვთ თავისი სამლოცველო საყდარი—თორა, რომელსაც სთვლიან კერპობის დროინდელ ნაშთად.

მ. ჯანაშვილი

ა მ ი რ ა ნ ი

(დრამატული პოემა)*

მეზვიდე სურათი.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სანამ უსუპი და ბადარი მობრუნდებოდნენ იმ სოფლებიდან და მოეშველებოდნენ ამირანს, ის თვალგდათხრილი უსიერ მთის კლდე-ღრიანკელებში გაველურებული, ნახევარჯელ მშიერ-მწყურვალ, შიშველ-ტიტველი დაფორთხავს და დასტირის თვის თავს და უბედობას. თან ახლავს მარტოდ-მარტო ერთგული, მრჩენელ-მასაზრდობელი ფინია. უეცრად გულის ყური გაეხსნება და ახლო-მახლო ხის-ტოტზე შემომჯდარი, მზის მიერ მოვლენილი სამი მტრედის ლაპარაკი ესმის. ისინი ამირანზე დავობენ. არჩევენ, თუ რა აუხელოს თვალს ამირანს. ამირანი ისე მოიქცევა, როგორც ესმის. დაიწყებს ფოთლების ჩუჩქნას. მიხვდება ფინია რა არის საქმეო და დაუწყებს ფხოკნას ფოთლებს. მიაგნებს მტრედის ფრთას, ამოისვამს ამირანი თვალში, თვალი აეხილება. გაიჭრის ცერზე ნასკვეულ ბეწვებს ღ წამოვა შინისაკენ, მამობილთან.

*) იხ. «კრებული», № XI 1899 წ.

სცენა I:*) უღაბურ ტყეშია ამირანი შეკრულ-
შებოჭვილი. თავზე ადგია ამირანის მამობილის
ვეზირი.

ამირანი. სად არის ჩემი ფარ-ხმალი?

სადა მყავს ბეღაური მე?

სადა ხარ თავისუფლებავ,

ვიღუბვი უსიყვარლო მე?

ერთი ვინღაცა ვეზირი

სინათლეს მაცლის, უიმე!

თვალის ჩინს მართმევს, მიკარგავს

ტურთა ბუნების მზერასა,

მიკარგავს მზისა სხივების

სალმუნებას და ტრფობასა!

დანის დაქნევით მაწყვეტავს

მუდამ ჰნელოთში კვლობასა.

გაგიწყდა, ქალო, სჯელი,

იტანჯე დღე და ღამესა:

ვერ შეინახავს ტიალი.

საიდუმლოსა რამესა!

(აეღვარებული დანით დასტრიალებს თავზე ამი-
რანს ვეზირი თვლების ამოსაკუჭავად).

სცენა II: ღრიანკელი ალაგი ისევ იმ დაბუ-
რულ მთაში. უკვე თვალეზ-დათხრილია ამირანი
და თან ახლავს ფინია.

ამირანი. ბედის-მწერლებმა გამსუდრეს

თავის უცდლომი რჩევითა:

ღევების მელეტი, უძლევი

შემკოტეს სამი ბეწვითა!

*) ეს სცენა ბადრის და უსუბის საიქიო-ზეცაში წასვლამდე
მომხდარი. აქ ჩავეწერეთ ხრონოლოგიური დარღვევით სურათის
გასაერთიანებლად. ავტ.

თვალე-დათხრილი, უმწეო,
ვეოდავ და ეოზრავ ობლოდა.
დაგსტირი ჩემს თავს დალუპულს
მთიდან მთის გასახმოზადა.
მოფრინავს ყევეი-ყორანი
შავ-კუპრი ფრთების რხეეითა,
თავზე დამჩხავის თვალ-ბედათ
მყრალ ენა-პირის ზეეითა.
ზილი-მოდინან დეეეები
ნებივრად, ქევა-ქეეითა:
მომიხსენებენ ტანჯულნი
ბედის კრულეით და წყეეითა.

სცენა III: მდელი იმავე დაბურულ ტყეში
ბაღნით შემოსილი, გაველურებული ამირანი დ:
ფინია.

ამირანი. ლეიბად მიწა, საბნად ცა
უთეალოს მომნიჭებია.
სიკედელი არსით არ მოდის—
სიციოცხლე მომყირჭებია.
შიშველ-მშიერი, მწყურვალი,
ხელ-ფეხ შეკრული საწყლადა
დამწეარ გულს ობლოდ დავათრეე,
ბარემ წასასვლეღს შავ-წყლადა.
მზე დამეკარგა, ტურფა მზე,
დამეზნა ზზა და კვალთა.
ძირს დამცინიან ავ-სულნი,
მალთა მზე აღბად მწყრალითა.
ვინ მიყო?—კაცმა ვისთეისაც
სიციოცხლე გამიწირთა,
ვისი მტერის და დუშმანის

ამომიფხვრიე ძირია.

ვინ მიყო? — კაცმა, რომელსაც

ვუძლოდი ფარად-ხმალიადა,

რომელიც წელში გაემართე,

ვათავისუფლე ძალადა.

ცასა და მიწას შევესტირი

დღეს უსაჭირო ვინმე მე.

ვინც შარბათითა ვათვრე მე,

მისგან სამსალა ვიგემე.

ბრუ არის ზეცა ჩემთვინა,

დამუწა პირი მიწამა:

არც ღმერთმა, აღარც თვით კაცმა —

არც ერთმა აღარ მიწამა.

იცინეთ ჩემზე, იცინეთ,

ბოროტო-სულო, დევებო!

იცინეთ ქვეყნის ერთ-გულზე

კაცობრიობის მტერებო!

(ფინია ულოკავს ხელ-ფეხს და შეწუწკუნებს).

ამიანა. (ფინიას) ფინიავე ჩემო პატარა,

რად შემრჩენილხარ საწყალსა,

რაზედ მილოკავ ხელ-ფეხსა

დავიწყებულსა, გამწყვალსა?

ჯერ მამობილმა გამწირა,

დამოხარეს ორთავ თვალები,

მერე ცოლებსაც დავეიწყდი —

დაისაკუთრა ქალები.

შენ ერთად-ერთი ერთგული

მშიფრ-მწყურვალსა, განწირულს

შემომწყუწკუნებ, მნუგეშობ,

სიყვარულს მიწევ დიდს, გმირულს.

რას ელი ჩემგან საბრალოვ?
რად არ უშველი შენს თავსა?
არ შეეყრები სხვა პატრონს
უჭირისუფლოს ჩემს მსგავსსა.
ეგ უსასყიდლო, უბრალო
სიყვარულ-ერთგულდება:
ძალს გაუხდია მცნებად, რაც
კაცის ვალდებულება!
კაცმა კი მოვალეობა
დასცა და ფეხ-ქვეშ გათქირა:
თვის მსგავსი აიძულია
და სასიკვდილოდ გასწირა.

(დაუწყებს ფერობას ფინიას თუ არა, შეყუჩდება)

ჩუ! ჩუ! შემოჯდენ მტრედები
და ხელი მიჰყვეს ღულუნსა.
გამეხსნა გულის-ყური მე,
ვუსმენ მათს ენას ღეთიურსა.
ლაპარაკობენ ჩემზედა.
მზე-ქალას მოუვლენია:
გამწყრალი როდი ყოფილა
და გული შეუტკენია.

(გაიძვრავს კისერს და უგდებს გაფაციცებით
ყურს მტრედებს)

განა თუ?! ნეტა თუ მართლა
მზერიტ შამემკოს თვალები!
მაშინ ლოცვებში დაეღლები,
მზის მადლსა ვენაცვალები!

(ფხოკნის დაყრის ფოთლებს. ფინიაც წაბაძავს)



მეჩვე სურათი.

შინაა ს.ი.

თვალეზ-ახელილი ამირანი მოადგება ერთ ქობს. ქობიდან ისმის წივილ-ტირილი. გამოიხმობს ბერ-კაცს და ჰკითხავს: რად სტირიო? — იმიტომ რომ რვა შვილში შვიდი მომიკლეს ომში და ერთიც ღღეს მიყავს მეფის გზირსაო. ვილაცა არაბია და ის ყუყავს მთელ სამხრეთის სამეფოსაო. უსუბმა აუშვა კოშკიდან ეგ არაბი და ანადგურებს მთელს სამეფოს ამირანის მოლალატე მამობილისას. ამირანი შენაცვლება ამ ბერ-კაცის შვილს ომში წასასვლელად, გაიძლოლებს ბერ-კაცს და მიჰყვება მეფის კარზე. ბერ-კაცი იმეორებს ამირანის დარიგებას: არაბს ეს ჩემი შვილი დაგიმორჩილებს, გამოიწვიეო.

სცენა I: ხეებში ქობია. იქ ისმის წივილი და ტირილი. ღობეზე მიდგება ქაჯივით ბალან-მოსილი ამირანი და გამოიხმობს ბერ-კაცს.

ამირანი. რამ აგატირა, ბერ-კაცო?
რად ლამავე თეთრსა წვერებსა?
მითხარი კრიკა შევუკრა
შენსა ორგულსა მტერებსა.

ბერ-კაცი. როგორ რას ვსტირი, ვაჟკაცო!
დავბერდი, სატირალი ვარ.
სმა-ქამა შინდა, რვა შვილში
ერთის ამარა დავდივარ.
ერთსაც ხელიდგან მაცლიან —
მეფე თავს უყრის ჯარებსა.

იქ უკერენ თავსა საკლომად,
სად უკრეს მისსა ძმანებსა.
არაბი არის ვილაცა,
განთქმული ქვეყანაზედა,—
მთელი სამეფო გაწყვიტა,
ბუზს არ იკარებს თავზედა.
სულ წია-წია წაილო
მოვაგრკუზალე მეფემან...
ვერ დაირჩინოს, ვფიცაე მზეს,
თვით ამირანის ხელებმან!

ამირანი. ნუ გეშინია, ბერ-კაცო,
ვათავისუფლებ შენ შეილსა.
მე ჩემს კისერზე ავიღებ
თქვენსა ვალალსა, თქვენს კირსა.
მე შენის შეილის საბადლოდ
წავალ მეფესთან ჯარშია.
ისეთსა სახელს დაგიყრი,
რომ არ ჩაგაგდებ ჯაერშია.
დღეს მხოლოდ მასვი, მაქამე,
ქინქი მომბუდნე ტანზედა,
პირდა-პირ მეფეს მიმგვარე
დილით სასახლის კარზედა.
გამოუცხადე საჯაროდ:
„ეს ბიჭი ჩემი შეილია.
გამოუყვანეთ არაბი,
დაალოს, როგორც ცვილია.
ქვიშა-რიყესა ხელს უქერს,
კამარად გადის წვენია:
ეს ჩემი შეილი ქიდილში
ჯერ არაყის დაუწვენია!“



მეცხრე სურათი.

შინაჯღსა.

ამირანი წარსდგება მეფე-მამობილის წინაშე. ის მას ვერ იცნობს. ამირანი აიძვლებს, რომ დაუჯაბნის არაბს. მეფეს უნდა, რომ ცოცხლად დაუნარჩუნოს. ამირანს შაიყვანებენ სასახლეში და იქ ის ამოირჩევეს თავის იარაღს, შეათამაშებს თავისს ხრმაღს, უსუპის ძმის-წული-სეულს. გამოიწვევენ მაღალის ყივილით არაბს. გამოიხმობს ერთ წამზე გაწენილი არაბი მოპირდაპირეს ძახილით. შეექნებათ შორეული სროლა ისარ-ბოძლისა. თანდათან დაუახლოვდებიან ერთმანერთს და დაეძგერებიან ხელდა-ხელ. ამირანი ჩუმად გაუტყდება არაბს: ამირანი ვარ და ვითომ მოგერიე, წაიქეციო. მაშინ მოიბრუნს მეფე. შენ ვითომდა წამიხვედი, გაგიშვებ და მაშინ შენ იცი, რასაც დამართებო. ასეც იზამენ. არაბი კი ხელში შეიკლავს მეფეს. ამირანის თვალების დამთხრელი ვეზირი ამის მნახველი გაილაღება, მქედლობას აიღებს ხელობად და იფარავს თავს. მოიხმობენ უსუპს და გადაეხვევიან ის და ამირანი ერთმანერთს. ამირანი მაინც არ აპატივებს ყველა ამასთან არაბს. ცოლობილგან გააგდებს. თითონ და უსუპი წაიღებენ თან მზის პირის-ნაბანს და წავლენ ბაღრის საქებრად.

სცენა I: სასახლის წინ უშველებელი მოედანი.
მეფე—ამირანის მამობილი და მისი ვეზირი,—
ამირანის თვალების დამთხრელი.

მეფე. ეინ არის, აბა, მომგვარეთ,
ბედავს არაბის ბრძოლასა?

არაბის ერთი ხმაური
გვიტებს შიშხა და ძრწოლასა.
ხომ ჩამოაღრჩვეს, ვეზირო,
არაბის კოშკის მცველები!
გმირი უსუბი ყოფილა,
იმას გაუხმა ხელები!
იმან დამლუბა, აუშვა
არწივი გალიიდგანა;
ჩემს ჯარსა აქცევს, მოაწეა
ვით რისხვა მალლა ციდგანა.
ვეზირი. მე დავაბრმავე ამირან, —
ეგ მძებნის დღისით, ღამითა;
ბრაზიანივით ძანძალობს,
გული აქეს საესე შხამითა.
ვერ დავამშვიდეთ ვერასფრით,
ვერც მოვიყიდეთ ქრთამითა, —
ჩვენი სისხლის სმა სწყურია
სარიოშით და ჯამითა.
კოშკის მცველები დავაბრჩვეთ,
რა გამოვიდა ამითა!
უსუბმა ისეც ბევრი ჰკლა
თვის აღმასივით ხრმალითა.
ახლა ეს ვილაც ტლანქია
ბაბუ-წვევრია, მხეცია,
კოქამდე ბაღნით მოსილი
რაღაც ველური ბეცია, —
დიდის იმედით იძახის:
მე დაგიტოკავთ არაბსო!
მაგრამ თუ ტყვილად ახელებს,
ხომ ერთიანად დაგვამსო?

გაგვიწყდა ხალხი. ვინ არის?
მეომარები ძვირია:

სულ ტირილია, სადაც კი
ჯარის მომწვევი გზირია.

მეფე. ნუ გადაგვიწყვეტ აგრედაც...
მომგვარე ვილაც მხეცია.
ასეც უქნია არაბსა,
ქინჭივით დაუტრეცია.

(მიჰგვირან ამირანს, რომელსაც თან მოჰყვება
ბერ-კაცი).

ბერ-კაცი. ეს მერვე შვილი მოგართვი,
დაეჯექი ცივსა ქვაზედა:
არვინ იზრუნავს, იფიქრებს
მოხუცებულის თავზედა.
უკანასკნელი ეს იყო.
მხეცია, მაგრამ გმირია.
სად არის ვილაც არაბი,
მიწით აუვსოს პირია?

მეფე. მართლა გრძნობ ღონეს ამდენსა,
არ გეშინია არვისა?
არ გეშინია განთქმულის
თვით არაბისა ლახერისა?

ამირანი. ღონე მაქვს, ძარღვი მიმტკიცებს,
მომრეს მომრევი ბევრია.
რა ეიქო თავი ენითა,—
თვით საქმე ენა—მქვერია!

მეფე. მომწონს ეგ სიტყვა-პასუხი,
ტანიც გიმტკიცებს ძალასა.
მიკვრის, სადიდან გაუჩნდა
ეს ძე ამ მალინდარასა?!

იცოდე, ჯილდოს დიდს მოგცემ,
ვეზირად დაგსვამ ჩემთანა,—
გასწმინდე, ანგარიში მაქვს,
მხოლოდ არაბთან ერთთანა.
უსუპის მერე მე ვიცი:
ფხვიერად ვაქცევ ჯარითა,
გაღებულ პირში მიფუშეებ
ჯარსა რა ღვინოს ღარითა.
აბა, ვეზირო, წაიყვა,
გაკნაქ-შემოსე სუფთადა;
წელს იარაღი შეარტყი,
არაბი ჰკუწოს გუფთადა.

(ვეზირი შეიყვანს ამირანს სასახლეში. მეფე მიუ
ბრუნდება ბერ-კაცს)

ძალლი არ დაჰყეფს შენსა ბედს,
თუ შენს შვილს გაუმარჯვნია,
თუ ის არაბი ურჯულო
ნიყვივით აუყვანია.

ბერ-კაცი. ჯერ მაგის გვერდი არავის
არ დაუდვია მიწაზე.

წვენი გასვლია, როს მუქი
მოუქერია ქვიშაზე.

(გამოდინს ამირან და ვეზირი)

მეფე. ამირანს ერთობ წააგავს,
მაგრამ ის, ვიცი, ბრმა არის,
ან და კიდევაც შექმული
მხეცისგან, რაღა თქმა არის!

ამიჩანი. თავს ამირანად არ ვიქებ,
კი ვიზამ ამირანობასა:
ჩემსა მტერსა და ორგულსა

დაუნანიებ შობასა.

კეზიკი. მაინც და მაინც ირჩია
საქმელი ამირანისა,
მან შესძლო შეთამაშება
ამირანისა ხრმალოსა.

მეფე. აბა, იმელი მექნება,
რომ გამისულრავე არაბსა,
თუ არ მოჰკლავ და დაიჭერ,
მოგცემ, მოითხოვ რასაცა.

ამიჩანი. მაშ, როცა დაესცე პირ-აღმა
და დავებიჯგო მკურღზედა,
მოდო თვით, ჯაჭვით გაბაწრე
და ითამაშე ცერზედა.

მეფე. ახლა მიეცით ნიშანი,
გამოიწვიეთ ჩქარადა:
გული მიჩქარის როგორღაც,
ამტყდარა საწუწკარადა.

(ხმას მისცემენ, გაისმის შორეული ხმა და მოი-
ჭრება არაბი)

ანაბი. გამოდო! ვინ ხარ, რომ მიწვევ?
თავი ვის გაგიწირია?
გამოდო, ბარემ ამოგფხვრა
შენი ხსენება, ძირია!

ამიჩანი. ამაოდ ჰყეფავ, არაბო,
სიბრთხილვე ახლა გპირია.
არ მოგადგება ამიერ
ამ დღისა გასაპირია.
მე გაგეპცევი, მესროლვე
ისარ-ჯირითი-ჯგვარია,
მერე მეც მოგღვე ფეხ-მარდსა,

ქელვა აგიტყდეს ხშირია;
ზედ ბეჭის ფრთაზე ღაგისო
ისარი ხაშმიანია;
კრილობა მოგცე შავ-შაეი
სიღრმიან-განიანია;
გადმოგელიროს ზედ სისხლი
შავ-წიფელ ჯაფლიანია;
დაეცე, სული დაღაფო
გამცემი, ცოდვიანია;
დაჰბეროს ქარმა-ნიაფმა,
ჯაჰყაროს მიწის მთანია;
მოვიდეს ყვაფი-ყვირანი,
ზარი სთქვას ზარიანია...

მეფე. უბედურია ეს ბიჭი, —
ენა აქვს შხამიანია.
ეტყობა, გული რომ ერჩის,
ძალი აქვს ძალიანია;
საქმესა გულით შეუდგა
გზიანი, კვალიანი.
ნეტაფი არბს ცოცხალსა
შეჰკრავდეს მადლიანია!
(დასტყვივლებზე და შეჰქნიან ისარ-ბოდლის
სროლას. თანდა-თან დაუახლოვდებიან ერთ-
მანერთს და შეხელდახელდებიან)

ამირ. (ჩუმად) არაბო, მიცან ამირან!
იყავა უფრო ბრთხილადა.
ვითომ დაგჯაბნე, წამოწეკ
მტრის მზეგრის დასაჩრდილადა.
მაშინ მოირბენს თვით მეფე
შესაკრავ-დასაკირადა;

ვითომ ამიდექ, ხელს გიშვებ,
მას შეხვდი, პირის-პირადა
და, რაც შაგედლოს, ის ჰქენი
პირისა მოსაპირადა.

(ამირანი თითქოს დასცემს არაბს)

მეფე. ვაშა და ვაშა! ეს გმირი
დევია, კაჟან-დევია;
თვით კაჟან-დევსაც ამ გვარი
არა-რა დაუწევია!

(შივარდება არაბს შესაკრავად. არაბი თი-
თქოს წამოუდგება ამირანს, ეცემა მეფეს
და წაუტერს ყელში ხელს)

არაბი. დაიღრჩვი, ფლიდო, ცბიერო,
შენ მაშობილო გლახაო!
შვილობილისა ცოლებზე
შენ არ დააღე ხახაო?
შენ არ დასთხარე დალატით
თვალები ამირანისა?
შენ არ ჩამკეტე ბნელ-კოშკში,
ბუ მიგალობდა ნანასა?
ახლა თვალები წამოგძვრეს,
უშიგი ცოდვილი სულია:
შენი ტანჯვა და წვალება
დღეს ჩემთვის სიხარულია!
ეს ამირანიც წინ გიდგას,
ეს ჩემი სიყვარულია.
დალატი შენით დავმართე,
გავტეხე დაფარულია...
უსუპო, მოდი! ამირანს
ყელზე მოხვიე ხელია.

დამწვარ-დაგული გადარჩა.

დღეს უფრო საყვარელია.

(მოქპროლავს უსუბი. მეფეს შეიკლავს ხელ-
ში არაბი)

კეზირი. (ფაცი-ფუცობს. თავისთვის)

ახლა უშველო უნდა თავს,

აქ რაღაც სასწაულია!

ახლავე მჭედლად უნდ გაეხდე,

შევიქნე დაფარულია. (გაძვრება)

უსუბი. უკვდავების წყალს მოგართმევ,

მზის პირის ნაბანი არი.

ვერ გნახე, შენსკენ მიწვევდა

უცეცხლოდ გული დამწვარი.

ამირანი. ეგ წყალი გამოგვადგება:

საქმე გვაქვს თეთრსა ღვეთანა.

იმისი შებმა ძნელია,

სწორი სჯობია ღმერთთანა!

შენ კი, არაბო, ამირან

მოგცემს ისეთსა საქმესა,

არ გქონდეს მოცალებანი,

არ ტარტალებდე რამესა:

ის ძველი ბინა მონახე,

მარტოდ იყავი სადაცა;

მზის მაჩხუბრობა განაგრძე

და განიქერიტე მარტოცა.

შენ მოინანე შენითვე

ის შენი დანაშაული,

მეფისა მოკვლით მე მაინც

ვერ გამიმთელე გლახ გული,

და ჩემის ტანჯვის გულისთვის

ეს გქონდეს საზღაულადა:

ჩემთან ცოლ-ქმრობა ჩასთვალე

სამუდმოდ დაკარგულადა.

მეათე სურათი.

შ ი ნ ა ს ო ს ი.

შეიყრიან ძმანები თავს. შეემთხვევიან კიდეც ცნობილ ადგილზე თეთრ დევს, რომელიც დატვირთულ ვირებს მოიდენის კოშკისაკენ. ამირანი გამოებასება ამ დევს და გაიგებს, რომ კაცის ხორცს ზიდავს ვირებით. შეუტევს. შეექნებათ კამათი. დევს უნდა სხვაგან გადაუკელიოს. ახლა „მწირველის ტყაპუჭზე“ უთითიანებს, როგორც უწინ მიუთითა არაბ-ქალზე. ის „ტყაპუჭი“ მოგცემს ძალს და ღონეს და მეც მაშინ დაგემორჩილებიო. ამირანი მიუხედება ხრიკს, საღლაც საშიშარ, მიუვალ ალაგას მაგზაფერის და მით თავის შველა უნდაო და აღარ ეშვება. დევიც იძულებულია, დაეჯახოს. შეეტაკებიან ერთმანერთს. ეს გადაისვრის და კოჭამდე ჩაესობა ის მიწაში, ის ამას გადაისვრის და ეს მუხლის კვირისტავამდე გაივლის. ბოლოსაც ამ კოჭლ დევს მოსტეხავს ამირანი მთელ ფეხს და აღრიალებულს განზე გადაისვრის. რისხვისაგან და ტკივილისაგან აყვანილ დევს ამოუვა პირიდან ალი და თვისი ალით თვითონვე დაიწვის. გამოვა მაშინ კოშკიდან გულ-თოიჯი დობილი ამირანისა. ის ითხოვს მამის გვამს, უნდა დასასაფლავებლად. ამირანი არ დაუკავებს. თვითონ-კი თავის ძმებით მკვდრების—თავის დედის, უსუპის ძმისწულის მკვდრებით აღსადგენად მზის პირის ნაბანით შვევა კოშკში.

სცენა I: ისევ თეთრი ღვეის კაშკაის არეში.
ამირანი, ბადრი და უსუპი ელიან თეთრ ღვეს.
გამოჩნდება კიდევ შორს თეთრი ღვეი.

ამიჩანია. სად იყავი, თეთრო ღვეო?

სად დადიხარ ვირებიო?

ანლაცა განძს ეზიდები

გულ-დასმით, ჰაპან-წყვეტიო.

თეთრი ღვეი. შენ რა ჰქენი, ამირანო,

გადურჩი არაბ-ქალასა?

თუ გადურჩი, რად დაშორდი

იმ ტურფა, მაყვალ-თვალასა?

ამიჩანია. ჯერ შენ მომიგე: რას ზიდავ?

პირველი კითხვა ჩემია.

თეთრი ღვეი. კაცის ხორცს ვზიდავ, გაიგე,

თუ-კი ხელ-მოსაცემია.

ამიჩანია. შენ კაცის ხორცს ვინ შეგაქმევს,

აგრე ვინ წაგხსნის აღვირსა?

რომ მამიროშე, სთქვი, თვარა

სულ მთლად დაგამტვრევ თავ-პირსა:

ერთი—მისთვის რომ კაცსა სჭამ,

მეორე—ღედა მიწვალე,

მესამეც—გმირი უსუპის

ძმისწული არ შეიწყალე.

შენ მოიცალე ჩემთვისა,

მე შენთვის ახლა მიცლია:

ან შენ და ან მე—სხვა ღვეი

მიწაზე გამომიცლია!

თეთრი ღვეი. ფრთხილად ამირან! მე სხვა ვარ

თვითონ შენც გაგიგონია.

რაშია ჩემი ძალ-ღონე

ვერ მიგიხედება გონია.

ამირანი. მე მინდა ერთი დაგცადო:
ან გაგისწორებ კოჭლ ფეხსა,
ან თავზე დაგიტკაცუნებ
თოხმახივითა ოც მუხსა.

თეთრი დევი. ლამაზ ხუმრობას აპირებ;
ჯერ ტუჩები გაქვს რძიანი.
წადი, „მწირველის ტყაპუჭი“
იშოვნე, თუ ხარ ჭკვიანი.
ტყაპუჭი გაგამედგარებს,
გაგიორკეცებს ღონესა.
მოდე და მაშინ გაგივლი
ხათრ-რიდით შორი-შორესა.

ამირანი. სხვაგან ნუ მიხვევ, ნუ მიმკვლევ,
დავიბუღრაოთ მე და შენ.
სულ ერთიანად არ მოგკლავ,—
გაძაღლებულ სულს შეგარჩენ.

თეთრი მდევი. არ ხუმრობს, ვაჟო! გამოდი.
მწარედ გიტირებ დედასა.
დღეს დაგაყენებ ისეთსა,
დაკაწყველინებ ბედასა.

(წესდახებენ და ეცემიან ერთმანერთს. ეს კოჭამ-
დი ჩაასობს, ის ამას მუხლამდის. ბოლოსაც მო-
ტეხავს ამირანი მთელ ფეხს დევს და რისხვითა
და წუხილით აყვანილ ბაყბაყს მოშორებით გან-
ზე გადისვრის. ის დაიდრიალებს, ამოუშვებს ჰი-
რიდგან ალის შადრევანს და თვითონვე დაიწვის).

უსუბი და ბადრი (ერთად).
დანაცრდა მტერი ქვეყნისა
და მხსნელიც ამირანია!

ამირან ძღვეა-მოსილი
თვითონ ღვთაების მგვანია.

ზადრი (აღტაცებით) იხაროს კაცთა ჯილაგმა
იხაროს მკვდარმა, ცოცხალმა!
ამოიხოცა ქვეყნიდან
ფეხი ავ-სულა მოდგამა!
(გამოვა კოშკიდან გულ-თოიჯი ქალი)

გულ-თოიჯი ქალი. თქვენ მამაჩემი მოკალით
მიბოძეთ მისი გვამი მე.
თუ რომ აწ ჩემგან იმრავლოს
დევის ჯილაგმა,—ქამი მე!
ეგ გვამი ნაცრად ქცეული,
ამ კოკში დასაკრძალია
და ეგ დაკრძალვა მშობელის,
ვით შეილის, ჩემი ვალია.

ამიჩანი. შენ, გულ-თოიჯო დობილო,
ნახევრად ჩემი დედის ხარ.
შენი რჩევი და აზრით ჩვენს
მდგომარეობაში შედიხარ.
წაიღე შენი მშობელი,
იტირე მარტო-ხელადა;
საიქიოდან მაგივრად
მოგგვრით ჩვენ დედის ხელადა,
წავიდეთ, ჩემო ძმანებო,
მის ძვლები ვნახოთ კოშკშია;
ვნახოთ ძმის-წული უსუბის
კუბოში საშავდლოშია.
დავასხათ მალღა ნაბანი
მზისა ცხოველი პირისა;
დავკოცნოთ სახე ცოცხალი

მოკეთების ძვირისა!
ბოლოსაც არის შევგროვდეთ—
გვინახავს ბევრი ჭირია!
და უწყის მზემან მალაღმან,
ბედნიერება გეჭირია!

მეთერთმეტე სურათი.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

მეტი რაღა აკლია ამირანს აწი, როცა გააცოცხლა თვისი ძვირფასი დედა და უსუბის ძმისწული, თუ არა თვისი მამობილის სამფლობელოს მმართველობის გაწესრიგება. აი, სწორედ ამ დროს მოატანს სამჭედურის ახლოს გავლისას ამირანი მჭედელი—ვეზირის ქალთა-მზის მშვენიერებას თვალებს და შეუყვარდება. ის უნდა წაართვას მალულ-ვეზირს. ეს მალულობა მისი იცის ხომ თვით ამირანმაც. „მწირველის ტყაბუჭზედ“ გააგზავნის მის ქმარს ამირანი და იმედოცა აქვს, რომ იქ მოკვდება და მისი, უკვე წართმეული, ქალთა-მზე მას დარჩება.

სცენა I. სამჭედურის მახლობლად ხეების ჩრდილში მიდის ქალთა-მზე, მჭედელი—ვეზირის ცოლი. შორი-ახლად გამოდევს ამირანი და მიმავალს გააყოლებს თვალებს.

ამირანი. ავერ, ქალთა-მზე მისრბოლავს,
ანათებს არე-მარესა.
სითბოსა სტაცებს მხურვალ მზეს,

სიღინჯეს ბადრსა მთვარესა.
გაფუფუნებით ღრუბელსა
თეთრსა წააგავს, მსუბუქსა
და მისი წმინდა, ტკბილი ხმა
აქრობს ბუღბუღლის რუკრუკსა.
წავიდა, მაგრამ თვალ-წინ სდგას
თვის ჩამოსხმული ტანითა:
წელში წერწეტი, მკერდ-ფართე—
არ დაიხატვის კალმითა!
ნეტა მას, ვინცა მის ბაგეს
დაღლილმა სული იბრუნოს;
ნეტა მას, ვინცა იმისთვის
ტრფობით, ალერსით იბრუნოს!
(მღელვარებს)

მიჰქრის და მოჰქრის ოცნება;
გუნება ლალი ხარია:
ცა ქუდად, მიწა ქალამნად
მაქვსა და გამიხარია!
ნუ თუ ჩემს ნდომას ფარფატი
ფრთები მოეფცქენას, ეტრუსოს?
ნუ თუ, რაც გინდა, ვერა ვჰქნა,
სურვილი გულში მეხუთოს?
რას ვუბოდიშებ ბილწ ვეზირს
მქედლად გადაქმნილს, ქვე-მძრომსა?
მე ჩემმა ძალამ გულისამ
არ გაჰადიდა, შემომოსა?
მაშ ჩემს გვირგვინსა მსქვირვალე
თვალი რად უნდა აკლდესა,
როდესაც იგი აყვავებს
ჩემის თვალების დამოხრელსა?

ვის ვერადები? ვის ვხ:თრობ?
სისხლი მაქვს ასაკაფავი:
ვეზირი თავსა იმაღავს
ჩემის მზერისა მპარავი.
მას თვალის ჩინსა უქებენ —
ქალთა-მზეს გაშუქებულსა;
მე ის მაკლოა, ის მინდა —
სიკვდილი ვეზირს წყეულსა!
დაგვირგვინებას ჩემსას ის
ქალთა-მზე შეაყვავებსა;
„მწირველის ტყაპუქს“ მივუსევ
მის ქმარს, იქ დაჰყრის მგლეგბსა.

მეთორმეტე სურათი.

მ ი ნ ს ა ს ს ი.

გმირმა ძმანებმა და უსუბის ძმის-წულმა მეფედ ერთ-
ხმად ამირანი აირჩიეს. ბადრი და უსუბი ვეზირებად მო-
ისვა გვერდით ამირანმა. როცა დიდი დღესასწაულია და
დედამ აუხსნა ამირანს, რომ არაბის ხელით დახრჩობი-
ლი მეფე იყო ბაბუა მისი, რომ ეს მალინდარა ბერ-კაცი
მისი მამაა, მოვა და ტყაპუქს მოატანს მქედელი—ვეზი-
რი. თან მოჰყვება ადევნებული მწირველიც. ბრძანება
აუსრულა მქედელმა და ითხოვეს ქალთა-მზის უკანვე და-
ბრუნებას. ახლა-კი ამგვრეული ამირანი მას წაასიანებს
მწირველზე. დაეძგერება მქედელი მწირველს. მწირველი
იყვირებს, რომ ამ მისი გაუპატიურებით შეურაცხყოფას

აყენებენ თვით მზე-ღმერთს და ამირანს, „მადინდარას შეილოო“, დაუძახებს. თან ბრაზ-მოკრეული, თან ტყაპუჭის მოსხმით ას წილად გაღონიერებული მზესაც აღარ მოირიდებს და დააწეწიებს ხალხს მწირველს.

სცენა I. სასახლეში დარბაზი. ამირანი, ბადრი, უსუპი, უსუპის ძმის-წული, ბადრის დედა, დედა ამირანისა, გულ-თოიჯი ქალწული, ბერ-კაცი, ქალთა-მზე, ხალხი და სხვ.

ამიჯანი. როდესაც დიდის წვალეებით
გადაგვიწყვა ავ-სული
როდესაც ქვეყნად კაცისა
უშიშრობაა დაცული,
კაცი თავს დაუპატრონდა
და არის თავისუფალი;
როცა ტყე-ველი გავწმინდეთ
აქამდე გადაუვალი,
ზესკნელ-ქვესკნელი მოვლახეთ,
ქვეყანას დაუახლოვეთ,
გავაფართოვეთ მჭვრეტლობა,
ღმერთს და კაცს ვასიამოვნეთ;
როდესაც თვითან კაცისა
გადავიტანეთ დეენანი
და ჯეროვანად მოვთოკეთ
ქალთა ტარტალა ენანი;
როდესაც კაცი ჩაგრული
ავსწიეთ, წამოვაყენეთ
და წუთი-სოფლის ცხოვრების
გემო საამო გავკემეთ,
დავთრგუნეთ მტრობა, ლალატი,

კაცნი სულ შვეისულ-ხორცეთ;
როცა შური და ქვეძრომა
ქვეყნად ავგავეთ, ავხოცეთ
და ჩამოვაგდეთ მშვიდლობა
და შრომა სანატრელია,
ძმობა, ერთობა, გატანა,
გულის შეტკენა მწველია, —
ჩვენც განვისვენებთ მშვიდლობით,
სამი ძმა, ერთი სულია,
რომ ვსწოვოთ ჩვენი ნალვაწის
სიტკბო და სიხარულია.
მათ თუნდ უნცროსი დამსახეს
მამობილის წინ მეფედა,
მე ვეზირობა უბოძე,
მოვისვი ორთავ გვერდზედა.
ებრწყინავთ და ვხარობთ ქვეყნისა
ნეტარსა ბედნიერობაში!
აწცა ვეცდებით, რომ სული
დავლიოთ ხალხის ძმობაში.

ხალხსა. ჭირიმე შენი, ამირან!
უსუბ და ბადრის ჭირიმე!
სულ თქვენით ვსუნთქავ ვდაგულობ,
აქამდე მიწა მწირი მე!

ბერ-კაცა. მადლი აცხია თქვენს მარჯვენს:
ხალხისთვის ოფლი უღვრია,
ხალხის მტერის და ორგულის
კბილები ღერ-ღერ უძვრია.
მტერი, მოყვარე, შინ, გარედ
გულსა გვაგლეჯდა უენოს,
თქვენ წაგვესარჩლეთ, მზე-ქალამ

თქვენს გამზრდელ ძუძუს უშველოს!
ვინ წარმოიდგენს სიზმრადაც
თქვენს ნაღვაწ-ნაოქმარებსა?
აღრე უცოდნი რიცხვისა
წვეთებს დაუთვლის ღვარებსა,
აღრე ბრმა ვინმე მზე-ქალას
დაუთვლის ბალნის ღერებსა,
ან დაიჭირავს ცის-სარტყლის
ფერად-ფერადსა ფერებსა!
თქვენი ნაღვაწი საზღაპრო
საოცარ-საგმირონია
და მისმა ძალმა უებრომ
სულამდი ჩაგვირონია.
შვილთა შვილამდი გადავ:
თქვენი უკვდავი სახელი.
არაკად მოეჩვენებათ,—
დღეს ვერ იჯერებს მნახველი!
მერმის თაობის კურთხევა
თქვენზე თანდათან იდინებს:
მოვლიან გმირთა სამარეს
დაალაგებენ გვირგვინებს.
რამდენი გული მძინარე
აღტყინდება და იგმირებს
ქვეყნის მსახურის სანაცვლოდ
ურიცხვსა გადაიბირებს.
ბედნიერია ქვეყანა
უკვდავი იგი ხალხია,
რომელს უბადავს გმირები,
თვის გულშივ დაუმარხია.

ქიჩანის დედა. დრო არის, შვილო, აიხსნას

საიდუმლები. ესეცა:
ბაბუის ტახტზე აღიხარ,
ხარ ტახტის ღირსი მეფეცა.

ამიჩანს (შეოცებით). ნუ თუ!
ამიჩანის დედა. მართალი მიაჩნებ,

როგორც ის, უტყუარია,
რომ ეს ბერ-კაცი მამაა
და შვილთან მოუბარია.

ამიჩანს. ეს რა გავიგე? რა მესმის?
არ ვენდო თვალს და ყურებსა?
ბაბუის მოკვლა გულს ხუთავს,
მამის ხსნა მასალმუნებსა.

(შემოვა მკედელი, მოაქვს ტყაპუტი და თან მო-
ჰყვება მწირველიც).

მკედელი, მომეცი ჩემი ქალთა-მზე,
რაც მითხარ, მისრულებია.
ვით ცოლის ერთგულებისთვის,
არც შენთვის მიმტყუნებია.

ამიჩანს. როგორ მოხერხდა!? რა ჰქენი,
შენ საძაგელო მკედელო?!

მკედელი. არ ხერხდებოდა, რაც ვქენი,
არაბთან რომ არ შემეველო.

რა გაიგონა ჩემზედა
გმირთ-გმირის გადაკიდება,
შურით აენტო შენზედა—
დაგიწყო ლანძღვა-გინება.
ადგა და თვის წილ მე დამსვა
მზის თვალის გასაშტყრებლად.
ვერ ვუღალატე დანაპირს
და გავიღუდე მთლად ცრემლად.

მე ვერ ვიხელოთ ტყაპუქი,
მყის მომირბინა იმანა.
რომ მეტი ჯინი ვერ გიქნა,
ძალიან ბევრი ინანა.
მწირველი უკან გამომყვა,
ვერ ეთხოვება ტყაპუქსა.
უმისოდ აღარც ღონე აქვს
და ველარც იშლის ფათხურსა.

ამირ. თუ გინდა, შენი ქალთა-მზე
რომ დაგიბრუნო უკანა,
ეგე მწირველი დამიცი—
ხელ სუსტი, ყაპო-სუქანა!

(მჭედელი დაურიდებლად ეცემა მწირველს,
რა რომ ტყაპუქს ამირანს გარდასცემს. ამი-
რანი მოისხავს ტყაპუქს ბეჭებზე)

მწირველი. მზე-ქალას მოსამსახურე
აბუჩად აღებულია,
უძლეველობისა მისისა
სათბურიც წართმეულია!
მზე-ღმერთს იღებენ სამასხროდ,
ეს მაზე დაცინილია.
ამის მომქმედი ამირან
თვით „მალინდარას“ შვილია!

ამიწანი. (განრისხებული)

როგორ თუ ბედავს ზრახვასა
ვილაცა მზისა მწირველი?
ჩემის სახელის, დიდების
მოღალატეა პირველი!
ჰკათ მაგას! მტვერად აქციეთ!
ცივ-ცივ აყყავარ ტყაპუქსა—
ერთი ასადა ღონეს მგვრის:—
ვინ მეტყვის თვით მზის მსახურსა?
(ეცემიან მწირველს და წია-წია წაიღებ-წა-
მოიღებენ)

მეცამეტე სურათი.

შ ა ნ ა ა ზ ს ა .

მზე-ქალა გაჯავრდება. სიზმარში აცნობებს მქედელ—
ვეზირს, თუ რა და რა უნდა დაემზადებინა ამირანის
დასაჯაქვავად. იცოდა, რასაკვირველია, რომ ერთჯერვე
ამტყდარი სიყვარული ქალთა-მზესი მას აღარ მოასვენებდა.
მქედელსაც შიშის ქარები უელის, ვაი თუ მიხვდა ამი-
რანი, მე ვინ ვარო. ამირანმა ეს კიდევ იცის. ერთჯერ-
ვე ატრუეებული ამირანი მოდის სამქედურის წინ, სადაც
აღრე ენახა ქალთა-მზე, რომელიც ტყაპუქის მოტანისა-
თანავე დაუბრუნა მქედელს. პირი არ გატეხა. ამირანი
გულს ებრძვის. მისი სიტყვებიდან სამქედურში დამალუ-
ლი მქედელი გაიგებს, რომ ის იცნობს მქედელში ფარულ
ვეზირს. მაშ რაღაცა უნდა იღონოს. ამ დროს მზე სხი-
ვებს გამოაპარებს ხეებში, დაადგავს ამ შუქ-მოვლევარე
ფებს ამირანს შუბლზე და დავლას დასცემს... წაქცეულ
ამირანს საჩქაროზე მიაჯაქვავს მქედელი რკინის პალოე-
ბზე. როცა გამოფხიზლდება ამირანი, აღრიალდება, მოი-
ხმობს მიმალულ მქედელს და მოაყოლებს სიმართლეს,
თუ რა მოხდა მის თავზე. მქედელი დაამატებს, რომ
მან არ აიშვას, ამისთვის უნდა უზვერონ და წელიწადში
ერთჯერ გრდემლზე უროს დაშვებით უნდა უმაგრონ
პალოები. ჰურსჭუნისას მიატანიებენ ხოლმე მის საქმელად.
მზე-ქალა მთელ გორას დაამხობს თავზე და ამირანი მა-
ღაროში მოემწყვდევა.

სცენა I: სამკედურის წინ ეზო-ხეები.
სამკედურში მოსჩანს მკედელი. სამკედურის
წინ გამზადებულია პალოები და ჯაჭვები
რკინისა.

მკედელი. სიზმარი ვნახე: მზის შუქი
შამომფენოდა თავზედა
და სირინოზის ხმაური
მესმოდა ნეტარ ჰანგზედა:
გაქედე ბორკილ-ჯაჭვების
მაგარ-მაგარი რგოლები,
უშველებელი ურო-რამ
და საყურმაყო სოლები;
მად მოვადგება ამირან,
ის გულ-ზევიადი, კარზედა;
მე დაელას დავსცემ, დასობილ
პალოს მიაბი წამზედა.
თავ-ზევით გორას დავამხო
ჩემი სახელის მძრახველსა;
ცას და ქვეყანას მოვაფენ,
თუ მზე ვარ, შენსა სახელსა.
თუ არა, სითბოს მოგისპობ,
დაგიქრობ ცეცხლსა-ალებსა:
უსაქმურს დავსვაე ცივ-ქვაზე,
დაგიმსებ ორთავ თვალებსა.
რაც რომ მიბრძანა ღეთაებამ,
მივყევ მე მისსა ნებასა.
ველი ამირან გმირისა
შებმასა-შეჭიდებასა.
მან გააუქმა უსუპის
ძმის-წულის ხრმლითა ყველასი,

ვისაც კი ჩენის ხელობის
ხელს ქონდა მასთან ძგერაში.
ამირანი. (სამჭედურის წინ შემოდის და
იარება)

წინაზე ვნახე ამ ხის ქვეშ,
ვით მოჩვენება ეილოდა
და მცხონებელი ნათელი
სახეზე გადმოდიოდა.

მჭედელა. (რაკი თვალს მოჰკრავს, მიიმა-
ლება და უგდებს ყურს)

ეს დიდი ძერა-ბოტია
დედალზე შემოჩვეული.
ხატანგი მტკიცე მიგია,
რომ შიგ გავაბა რწყეული.

ამირანი. იქნებ გონია ამის ქმარს,
მე მით მიმსებდეს თვალეზსა,
რომ ვეზირობა დამალა,

ჰყლიტავს რკინას და რვალეზსა?

მჭედ. (თავისთვის) უიმე! არ კი ცოდნია!
წასულა ჩემი სიცოცხლე
ისე როგორაც ტალახი,
ისე როგორაც მყრალი თხლე!

ამირანი. ეს რა ჯაჭვ-პალოვებია?!

ეს კი მიმაგრებს ხელებსა,
როგორც ცერები დანებდენ
კეფაზე მოთხრის ბეწვებსა.

(მზის ელვარე შუქის კალი გამოიშვირებს
ხის ტოტებიდან და შუბლზე მიებჯინება
ამირანს. ამირანი წაბარბაცდება, დაეცემა
და დავიწყდება. მივარდება საჩქაროზე მჭე-
დელი და მიახვ-მოახვევს ამირანს ჯაჭვებს,
მიჭედ-მოჭედავს და პალოზე დაამაგრებს)

მჭედელი დიდება დიდსა მზე-ქალას!

აპირან დაჯაბნულია.

მწირველის შურის ძიება

ახლა ამოკაფულია.

თავზე დაადგა მზემ ფეხი,

ის მოელვარე, მძლავრია

და თავის შეურაცხ-ყოფის

ამოიყარა ჯავრია.

დალოცვილ იყოს მის მადლი,

გადამაშორა ხათასა:

ჩემი ქალთა-მზეს გულისთვის

მათრევედა როგორც სალთასა.

ადრე თუ გვიან რაღაცა

ჩამკლავდა, ჩამაძაღლებდა;

თვის თვალის დათხრას ვეზირსა

მალულსა დაამწარებდა.

და აწი რომ არ აიშვას,

უნდა ეზრუნაედუ ამასა,

თვარა არ იუკადრესებს.

თვით ჩემი ხორცის ქამასა.

ამიჩანია. (მოვა გონს)

ეს რა მომეღლია? რა არი?

ვინ შემეკრა, დამაბორკილა?

კაცთა ჯილაგის ღონისა

აღბათის არა ყოფილა.

(დაიდრიალებს და დაიმძვრევა, მაგრამ ამაოდ)

ვინ ხარ, რომ მად იმალები

დასაქცევ სამჭედურშია?

მოდი, ამხსენი, თუ ჯობდეს,

ხათრიც ნულა გაქვს გულშია;

თუ არა, თავი თუ ვიხსენ
როდესმე ამირანამა,
მაშინ ჩემს თავსა ვფიცავ, რომ
გულში გაგივლოს დანამა.
(გამოვა ერთის მხრით სამკედლურიდგან მკე-
დელი, მეორე მხრით ქალთა-მზე)
შენა ხარ, ავო ვეჭირო,
გადაშობილო მკედლადა?!
შენ არ ხარ, თვალი დამთხარე
უკაცურ-უბრალოვლადა?
გულ-თოიჯობას ნუ მიწყებ,
მითხარი სიტყვა მთელი მე:
პირ-შავო რკინის მკედელო,
ვინ შემობორკა ხელი მე?

მჭკდელი. მაშინ დაგთხარე თვალები,
ბრძანება იყო მეფისა,
ნება არ მქონდა, უარი
მეყო მე აღსრულებისა;
ამ ჟამად მისრულებია
ბრძანება მზისა ღმერთისა.
თავზე მოიცივი ქვეყანა,
ხელობა შავის ბედისა!
მართალი არი, მოჰყინე
მადლი შენისა მაჯისა,
მაგრამ იმავ დროს უარ-ყავ
დიდება ღვთისა მადლისა.
გადიდ-გულდი და თავს იქით
აღარ იწამე აღარა
და მეტად შაიშურიე
ეს ჩემი ბედი პატარა.

მე სიზმრით მამცნო მზე-ქალამ,
რაც მოხდა, რაცა მიქნია:
გმირთ-გმირი, მეფეთ-მეფეი
ღვთისა მტყვედ გადამიქნია!
მაგრამ რომ თავი ვერ იხსნა,
ჩვენ მოგიჩნდებით ორადა;
მეწელიწადში ერთჯერ გრდემლს
უროს დაუშვებ სწორადა.
დაუშვებ, პალოს ვამაგრებ
გამდგარი შორის შორადა
და ჩემი ქალი ქალთა-მზე
პურს გიცხობს დაბმულს ქორადა.
ფინია იმ პურს მოგიტანს,
შენი ერთგული ძაღლია.
რაც უნდა იყოს, შენახვა
პურობილის მაინც მადლია.



მეთოთხმეტე სურათი.

შ ი ნ ა ა რ ს ი .

გამოდის ურიცხვი ხანი მას აქეთ, რაც დატყვევე-
ბულია ამირანი. ერთჯერ მიწა ინძრა და მალაროს პირი
ჩამოიქცა. გამოჩნდა ამირანი და მის ბობლინზე მოვიდა
აქ მწყემსი. მწყემსი ჩია კაცუნაა, ამირინი იალბუზის
ხელაა. უკვირთ ერთმანერთი. მიხვდება მწყემსი, რომ ეს
ამირანია. სალამს მისცემს და პურს მიაწოდებს. ამირანი
პურს ხელს მოუჭერს და სისხლი გამოკამარავდება. გული

შემოეყრება ამირანს: ხალხს სისხლის, ცოდვის პურის ქამა ჰქონებიაო, ჩვენ დროს კი მადლის პურის-ქამა იყო და თავის ძველებურ პურს გამოადენს რძეს. ჰკითხავს მწყემსს ძველსა და ახალ ამბებს. მწყემსი უამბობს, რომ ამირანის, უსუპის, ბაღარის და სხვ. ამბაეი ზღაპრებად გადაქცეულა; ზოგი გმირები კიდევ დაეიწყებულან, რომ მზე და მთვარე ახლა ღმერთებად აღარ სწამსთ, არამედ დღისა და ღამის მოსამსახურე მანათობლებად; მოუყვება მზის დაბნელების არაკს. უწინდელი დოყი ქონებია მთვარეს მზის. მთვარის დაჩემება მზეს დაეიწყებია და წამოწვევია გზაში. მთვარეს ეგ დოყი გახსენებია და გადაუყლაპავს და დის, მზეს, ძმა-მთვარისთვის გულ-ბოყვი დაუწევას და ისევ წამოუგდია პირიდგან. ამირანი აღიდებს ძველი ღვთაებათა. მწყემსს ეს ყუათში არ მოსდის და ეუბნება, რომ მზე—მზეა და ღმერთი კი ღმერთიო. მოუყვება აგრეთვე მას, რომ სწავლამ და ფულმა დაიფლო მთელი ქვეყანა, რომ ხალხია ახლა გმირი, ის გმირი, როგორც უწინ ყოფილა ამირანი და სხვ. ერთი კაცი. ამირანს გული აენტება, როცა გაიგებს ხალხის უბედურ მდგომარეობას და უნდა იხსნას თავი, მოეშველოს მას თუ ამოღებული ხრმლით აღარა, ჩაგონებით მაინც, თვალის ახელით და წაქეზებით მაინც. ამისთვის სთხოვს მწყემსს, რომ შორი ახლოს დაგდებული მისი ხრმალი მოუთრიოს. დაკუწავს ჯაჭვებს. მწყემსი ხრმალს ძერას ვერ უშვრება. გაგზავნის სამატზე შინ და დააბარებს, რომ ქალს არ გამოუტყდეს, რად უნდა სამატი. სწორედ ამ დროს შეამჩნევს ცაზე ასულ სასწორს (შვიდ ვარსკვლავს) და გაკვირვებული იკითხავს: უწინ ძირს, დედამიწის ახლოს იყო ეგ სასწორი, ახლა ეგრე მადლა რამ აიყვანაო? მწყემსი მოუყვება, რომ ერთ კაცს მეორესი

ფული მართებია, აღარ მიუცია და შესაფიციავად სასწორ-
თან მიუყვანია. ამ კაცს ფული გახერეტილ საბიჯგ-ჯოხში
ჩაუდგია და მიუბარებია მოდევესთვის ფიცის დროს.—
გფიცავ სასწორ-სამართალს, რომ შენი ფული შენს ხელ-
შავე იყოსო (მოცემული მქონდესო) შეუფიცავს. ეს ხრა-
კი წყენია სასწორს და ამაღლებულა, წასულა ამ ქვეყნი-
დგან. ამირანი ატყობს, რომ პირი და უღვაში გაფუჭე-
ბია ხალხს და გადაახლება ეკირვება. ამიტომ უფრო
უნდა ახლა თავის აშვება. მწყემსი წავა შინ. დარჩება
მარტოდ თუ არა, შამოფრინდება კინკრაქა ჩიტი და
პალოზე დაჯდება. აბეზარ-მოსული ამირანი აქავე დაგდე-
ბულ უროს წაატანს ხელს, მოუქნევს ჩიტს, ჩიტი აფრინ-
დება, უფრო პალოს მოხვდება და აფამფალეებული პალო
ისევ დამაგრდება. მხოლოდ მაშინ მიხვდება ამირანი,
რომ ეს მაცდური სული იყო. ამასობაში მწყემსიც მია-
ტანს, მაგრამ უკან მოჰკივის მისი ცოლიც: რად გინდა
ეს სამატი მთაში, თავს ხომ არ იხრჩობო? ეს გაიგონა
მზემ. გაიგო, რომ ამირანის ხსნა ხერხდება და შეიქნება
მიწის ძვრა. ხაროს პირი აეჭრა და გაიცა ხმა ამირა-
ნისა: თუ კი თავს ვუშველე ათ კაცს დავნიშნავ ერთ
ქალზე, დანარჩენს სულს შევუწუხებო.

სცენა I: კავკასიონის მწვანით მოსილნი
ტრიაშელი ქედი (ბრუტ-საბძელა). ხერელის
პირია ავსებული ლოდებით. ისმის შიგნი-
დგან ღრიალი და ბობღინი. ნძრევაა მიწის
და ლოდები გადმოინგრევა. გამოჩნდება
ამირანი ბალნით მოსილი, დაჯაჭვეული.
შორი-ახლოს ამოდებული, დაჯანგული
უშველებელი ხრმალი გდია. შემოდის
მწყემსი.

ამირანი. ვინა ხარ, ჩიო კაცუნა?
ვისი, რა ნაშიერი ხარ?
ისე დამდნარხარ ცვილივით,
ნეტავი თუ მშიერი ხარ?
მწყემსი. მიკვირს, შენსავით ბუმბერაზს
როდის ჰბადავდა ქვეყანა!?
თავი მიგიგავს მთელ გორას,
იალბუზს ტანი ვერანა;
ჯანდარის სისხიად გრცემენ
ძალუმი მაჯის ძარღვები
და აღუვებულ მზესავით
გიბრიალებენ თვალები.
მე შენის ხმითა ვკანკალებ,
ცის გრუხუნით გაისმის,
მტრის ორგულის გულ-მკერდში
შხამ-ისარივით გაიცმის.
ვინა ხარ? რა ცხოველი ხარ?
ეკუთენი რომელ დროებსა?
მაუწყებს ნეტა მაგ ენა
ძველი ამბებს შენაგროვებსა?
გშია? გწყურია? მიბრძანე,
შემოგველები თავზედა,
თუ კაცობრიობისათვის
გული არ გიწვევს ავზედა,
თუ ავი სული არა ხარ
ავად ტანჯული, დაბმული,
თუ შენივ ბოროტებითა
თვალები არ გაქვს აბმული.
ამირანი. მაგემე ჰური ნაღვეწსა
მე კაცობრიობისთვისა,

რომელი კიდევ გავმხდარვარ
საგანი თვით მზის რისხვისა.
თვით მზე შევიდა შურშია,
— სხვას რაზე ეხადი მიზეზად! —
რომ ხალხი ერთად ერთს მძლიდა
თავის ღვთაებად, იმედად.

განრისხდა, შემკრა, მაწამეს,
ხალხს სუდრავს შიშში, კრძალვაში;
ხალხიც კრთის, დილას ნიავზე
თრთოლავს ვით ტოტი აღვისი.
იგრგვინოს, ზეცამ, იელვოს,
მზემ პირით ყაროს ცეცხლები:
ვინც საბრალოა, კელელი
დავრჩე მე მისი, ვეცდები.

მწეემსი. ამირანი ხარ, არ ვსცდები,
ვფიცავ მზესა და მთვარესა.
ღვთის რისხვაშიაც უყვარხარ
შენსა სამშობლო მხარესა!

(ამოიღებს ბლის კანის პარკიდან პურს და
მიართმევს)

დახემსდი, გულო ტანჯულო,
მოგართმევ ქვეყნის საღამსა!

ამირანი (ჩაართმევს პურს)

ჩემო პატარა მოსალმევ,
ეს ვერ მომიკლავს აღამსა.

(მოუჭერს მუჭს და სისხლი გამოკამარავ-
დება პურისაგან)

ეგ სისხლის პური ყოფილა.
ცოდვის გქონიათ სმა-ქამა!
ეგ არის ჩემსა ტანჯვაზე

მდულარე წყლისა გადასხმა
(მოუტერს ახლა ხელს თავის ძველებურ
პურს; პურიდგან რძე გადმოიღვრება)

ჩემს ძველს დროებში რძის პურის
ქამა გვქონდა და ხალისი.
მთელს წელიწადში ყველა დღე
იყო პირველი მაისი!

მადლი ზედ ეცხო ლუკმასა,
ბარაქა ქონდა შრომასა...

ვფიცავ, სულ არ აქვს მსგავსება
ძველთან თვით ახალ მოდგმასა!
რად იქნებიან გმირები?

ვინ ასტეხს ხალხის ღრიალსა?
ვინ აუტეხავს ხალხის მტერს
გულის წვას, გულის ტრიალსა?

მწუქმისა. სად არის გმირი? ვინ არის?

დრო მათ არ სწყალობს, ეტყობა.
აქ და იქ კიდევ ხანდის-ხან
თითო-ოროლა ერჭობა.

შორიდან რომ მათ შეხედო,
გგონიან დიდი გმირები;
ახლოს კი — ხელში გრჩებიან
ყურ მოთათლული ვირები!

ახლა სულ სხვა დრო დაგვიდგა:
ცხოვრება დასკვანჯულია;
თითო-ოროლას ნაღვაწი
ცვარივით დაკარგულია.

ახლა უფრო ერცლად გეჭირდება
ერთ-სულობა და შეგგუფვა,
თუ რომ რამ დიდი საქმისა

გვინდა დაძაფვა, შემუხვა.
თითო-ორი პირს ხვდება
გმირობა წაქეზებისა.
ხალხია გმირი. ის გმირი
თქვენს დროში თითო ყოფილა,
მაღალ-მაღალი ფიქრისთვის,
დიდი საქმისთვის შობილა.

ამირანი. დიად, მაგ ჩია-კაცუნებს
თითოს რა ეთქმის გმირობის,
თუნდ არ აკლიათ დახატვა
თელ-წარბის, მოყვანილობის?

მწეემსი. რომ დაბამული მაცვია,
ბამბებით ვივსებ მხარ-ბეჭსა,
შენ ნუ გგონია, რომ მნახველს
არ ვუყენებდე თვალებსა,

ამირანი. აღრე, ჩანს, შენსვე თვალს
იმსებ...

მითხარ: მზე მთვარე რას შვება,
ან საიქიოს, ვიცოდე,
ნეტავ ჩემს თავზე რა ხდება?
სად არის ბადრი, უსუბი,
ძმის-წული უსუბისაა?..
სად არის ჩემი დედ-მამა,
ქალ-წული ბაყბაყისაა?

მწეემსი. ეგ ყოვლისფერი ამბავი
სიზმარად დაიარება.

უსუბ, ბადრი და მისი ძე
გმირებად აღიარება.
გმირთა გმირია ამირან
და ჩვენთვის დაჯაქვეულია;

მაგრამ ხსენებაც ბაყბაყის
ასულის დაკარგულია.
აგრეთვე ცოტა რამ ვიცით
შენი დედ-მამის ახლა კი;
მაგრამ რომ ქვეყნად სუნთქავდეს
ან ერთი—არის არაკი.

მზე-მთვარის რაღა გაიმბო!
ამბობენ უცხო რამესა:

შინა-ყმობასა უწევენ
მზე დღეს და მთვარე ღამესა!

ამირ. როგორ თუ?! მხეცო რას როშავ?
შინა-ყმადა ხდის ღმერთებსა?
თუ გაიგონა მზე ქალამ,
ცხვირს და პირს გაგიერთებსა.

მწყემსი. მაგაზე გეტყვი ამბავსა,
გეტყვი და რა სათქმელია!
მზე დაბნელდა და მთვარეს
სინათლე გამოელღია.

ძველი კაცები გაერთხვენ,
სული განაბეს ლოცვითა:
მთვარემ მზე გადაგვიყლაპა,
კუჭი გაიძლო ცოდვითა!
ეს ძველი შუღლის ბრალთა,
მოხვლოდათ წადევებაო,
მაგრამ თუ ძა დას შენთქავდა,
გვიჭირდა დაჯერებაო.

ამირანი (შეძრწუნებული)

დიდება მთვარეს! შეყლაპა,
აბა, ძმამ ღმერთი დაია?

მწყემსი. რავა თუ ღმერთი? რას ამბობ?

ეგ ჩემი გამოცდია?
ღმერთი ღმერთია და მზე-მზე.
მე ვამბობ მონაქორებსა:
მზემ დასწვა, მთვარემ წააგლო,
დადიან შორი-შორესა.

ამიჩანი. (შემკრთალი)

წააგლო განა?! ეგ არის!
მზე დიდად-დიდი ღმერთია:
თვითვონ მკვდრებს აღდგენს სა-
მისი ნაბანას წვეთია. [მართ
ვაი-შენ, დევო ბაყბაყო!
ორ გზის მაცდინე შავადა:
ჯერ გადამკიდე კაცზედა,
მერე მზე-ქალას ავადა.
ორივე შემთხვევაშია
პირადოვნებას ვეყმე მე
და მით ორჯერვე სამსალა
მაკვლუნებელი ვაგემე.
მაშინ ვიყავი გმირთ-გმირა,
როს დავქროლაფდი აზატად,
როს ბედნიერობა სხვისი მე
მქონდა სასაქმოდ, სანატრად.
როს საკუთარი გულის თქმა
გულს შეესია ვნებადა,
ტრფობა და გაბატონება
მაჩნდა სიამოვნებადა,
მაშინ დაიქცა ჩემს თავზე
წყრომა ცისა და ქვეყნისა,
მაშინ მომადგა წვა-დაგვა
გამოუთქმელი ენისა!

მწყემსი. ტყვილა ადაბლებ შენ შენს
მზეს კი აღიდებ ღმერთადა [თავს,
ხალხს წამებულადა წამხარ,
ამირან, ერთი ერთადა!
შენში ქომაგი დაერდომილს
და დამდაბლებულს ეგულვის
და დატანჯული რომა ხარ,
თვის სული შენთან ეხუთვის.
მიტხარი, მოიხმარიე
ჩემი ხელი და გულია.
რითი გიშეელო, რომ ხალხი
კვლავ ანუგეშო კრულია?
შენს მოლოდინში იმასა
აკერ ამოდის სულია!

ამირანი. (უთითებს ხმალზე)
აქ მომითრიე ეც ხმალი,
დავკვეთ ბორკილებს, ჯაჭვებსა.
გავალ და ხალხსა წავიყვან,
ავაწვთენიებ ხრმალებსა.
ნიაფ-ღვარივით წავლეკავ
ხალხის მცარცვავს და მკამლებსა;
ავლაგმავ უსამართლობას;
დავკლავ ძალ-მომრეობასა;
ჩემის ხელებით 'შევუკრავ
ტურფა თაიგულს ძმობასა;
მშვიდობასა და შრომასა!
აეუფრიალებ დროშასა!

(მწყემსი ებლაუჯება ხრმალს, მაგრამ ძვრას
ვერ უშვრება)

მწიქმსა. ახლა სხვა დროში შევსულ-
ვართ.

რას იზამ სიმხნით, ხრმალითა?
სულ-ყველა სწავლას იძახის
და ფულს განთქმულებს ძალითა.
შორით თოფს ესვრიან, შენს
შუბს, ხრმალს,
შეგაშეშებენ ხელშია;
აღყას მოვარტყმენ—შიმშილით
ფერდსა გაუყრი ფერდშია!

ამირ, ხალხს იქით ძალა ვერ წაევა,
მას იქით იარაღები.
მე უნდ ვარჩინო თვით ხალხის
გახსნილი იარაგები.
გზა-კვალის უნდა ჩვენება
და აღლვება გულისა;
სულში ჩასახვა მიზანის
და მისი სიყვარულისა;
შეეჯგუფო, შევაკავშირო
უხრწნელად სამუდამოდა.
დაუსაბამო დროიდან
ურთიერთობა ღამოდა.
სად არის იგი მთა წმინდა,
ნეტარებასა უბანი,
კაცი ვერ შედის ვერას გზით
გულსა და სულ დაუბანი?
სადაც პირადი ყოველი
დაკარგულ-წაწყმედილია,
სადაც ერთობა, ტოლობა
და სიყვარული ტკბილია?

განქრეს ბარემლაც ვე სისხლის
პურის მოყვანა, ჰამაცა;
უსჯულოებაა, მოწამე
არის მის მიწაც და ცაცა;
მოისპოს კაცზე კაცისა
გაბატონება, ძალობა;
გაწყალდეს შური და ჯიპრი
და მათი ავაზაკობა.
მე ჩაუბერავე სულსა ხალხს,
თვის თავსა შევაგნებინებ
და აღელვებულ მის ტალღას
ნამდვილ გზას გავაგნებინებ.
აღელვებული ტალღაცა
იქუხებს, გადადინდება,
ქვეყნის ჰალებს და ფერდობს
სარწყავად მოეფინება.
ალორძინდება ბუნება
ოფლით ნაბანი ტურჟადა.
მოვა და მოვა ნამყოფი
ბარაქით სამურადა.

(კიდევ ცდის მწყემსი, ნძრევას ვერ უზამს
ხრმალს)

ულონო კაცი გაწევი,
ხრმალსა უტაცე შენ ვადა,
მე ფეხში ხელსა წაგატან,
რომ მოვაწიო ხელადა.

(გაწევა მწყემსი, ამირანი კი გამოაწევს)

მწყემსი (იყვირებს)

ვაიმე, გავწყდი! ნუ მომკლავ
შენის სულისა სამადლოდ!

ამიჩანია, (გაუშვებს ხელს)

წადი, სამატი მოიტა,
მოიტა, შეილო, საჩქაროდ:
გული აღელდა მოხუცის
ქვეყნის გულისთვის საღვაწოდ;
აღულდა, მძიმედ ატოკდა
საბედნიეროდ—საშავდლოთ!..
ორივე ერთია, როს მიზანს
ვერ იპყრობ სისხლ-უღვრელადა.
ვერ აისრულებ საწადელს,
თვის მსგავსის დაუკვლელადა!
როდის იქნება, ეგ ბრძოლა
გადიქცეს შრომად, ტრფობადა,
რომ მგელი ცხვართან ბალახსა
სძოვდეს ძმად, თანასწორადა?
წადი და ასე ეცადე,
არ ამცნო იგი არვისა;
ყველაზე უფრო ფრთხილადა,
ყურს და ენასა ქალისსა.

(მოატანს ცაზე თვალს ვარსკვლავების «სას-
წორს»)

ეს რასა ეხედავ? რას ნიშნავს
„სასწორი“ მაღლა ცაზედა,
როცა ის იყო ჩემს დროში
სულ ახლოს ქვეყანაზედა?

მწეემსო. მაგის ქორებიც დადიან:
ვითამ ერთ კაცსა ძველათა
მეორე კაცის ფულები
—რამდენიც იყო—ემართა.
მოვახზე თვისსა მოვალეს

სთხოვდა და სთხოვდა ფულებსა
მაგრამ მოვალე არცა კი
აპარტყუნებდა ყურებსა.
რომ მიეძალა, მიუგო:
ნეტა რა მმართველს შენიო?
მემართა, გადაგიხადე—
აწი, რაც გინდა, ქენიო.
— „სასწორ და სამართალზედა“
წამოდი, შამომფიცეო
და მაშინ ფულის მოცემა
იქნება სწორი, მტკიცეო.
წავიდენ. წინა წაუდგენ
„სასწორ სამართლის“ მართლადა.
ჯოხნი მოვახშეს მისცა და
კიდევც შეჭფიცა მაგრადა:
ვფიცავ „სასწორ ღ სამართალს“,
რაც მქონდა, შენსვე ხელშია
და თურმე ფული გახვრეტილ
ამა წინ-საბიჯგ ხეშია!
„სასწორ-სამართალს“ ეწყინა,
აეიდა მაშინ ცაშია.
უპირულობა გამრავლდა
იმის შემდგომად ხალხშია.

მირანი. არ სხმია ხალხსა საბრალოს
არც წვერი, აღარც უღვაში—
ზნეობა მისი უეჭვოდ
უნდ გაეტაროს ქურაში.
(მწყემსი წავა)

ბევრი ამბავი გავიგე

ახალი, გინდა ძველია:
გადაახლება უნდა ხალხს,
ამირან სანატორელია.

(უმოჯდება ჭანჭრაქა-ჩიტი პალოზე)
შენ, ჩიტო, ჩიტო-ჭინჭრაქა,
რაზედ შვერი ჯავრს და ბნედასა?
უროს დაგიშვებ, დაგაქყლევტ
პლოს, გიტოებს დედასა!

(დაუშვებს უროს პალოზე. ჩიტი გაფრინ-
დება, პალო დაესობა)

ოჰ, ავი-სულის მახე ხარ,
შენ. ბილწო ჩიტო, ჭინჭრაქავ!

მევ მასჯევეინებ ჩემსა თავს
და გულს მით უფრო მიხრაკავ.
რალა იმ წამში მიჩნდები,
როს ვაფ მუშევებ პალოსა?

მით ვახანგრძლივებ, ტიალო,
თავისუფლებს ალოსა.

ვკრავ უროს, პალოს ვამაგრებ,
ვქაჩავ ბორკილებს, ჯაჭვებსა
ისე ძალუმად, რომ მოსდის
სისხლი ფრჩხილებს და თვალებსა.

(ისმის შორეული ყვირილი. იმძრევა კვლავ
მიწა და ჩამოინგრევა ხაროს პირზე ლო-
დები. ხაროს კარი აიჭარბა. მოდის მწყე-
მსი, სამატი მოაქვს)

მწყემსი. ნუ მომდევ, ქალო უგნურო!
წადი, დაეგდე სახლშია.

ქალის სმა. საღ მიკაქეს კაცო სამატი

სამწყვესურშია, მთაშია?

(მწყემსი დაინახავს აკავებულს კარს ხაროსას და შეშინდება, შეკრთება)

ამიჩანია. (ხმა შიგნიდან)

თუ რომ ვიხსენი თავი მე,
ათ კაცზე გავცემ ერთ ქალას;
დანარჩენს დედას ვუტირებ—
ენას ჩაფუგდებ ტარტალას!

სევასტი გაჩეჩილაძე

(დასასრული)



ისტორია

ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა.

1625 – 1900

ევროპაში, გუტენბერგისაგან შემოღებულ სტამბის იარაღის მოგონების ცნობები, ერთიან მალე მოიფინა, ახლად დაბეჭდულ წიგნების ცნობები მთელს ევროპას ელვასავე მოედო, ეს ცნობები ბალაკანის კუნძულზე მცხოვრებ სლავიანებმაც კარგად შეიტყეს. ჩვენშიაც გაიგეს, რომ ევროპაში სასტამბო იარაღი და წიგნის ბეჭდვაც მოუკონიათო. წიგნის ბეჭდვის ამბები მრავალთ სჯეროდათ, მრავალთათვის დაუჯერებელი იყო. ჩვენს დაუჯერებლობას მალე მოეწვინა უებარი წამალი, ევროპის კათოლიკე სარწმუნოების მალიარებელთ მამათაგან ამის ცნობები საქართველოშიაც მალე მოიფინა, დაუჯერებელი ამბავი დასაჯერებელ ჰქცევს მით უფრო, რადგანაც მაშინ ტფილისში, კათოლიკის სარწმუნოების მალიარებელთ ეპისკოპოსის კათედრაც არსებობდა და კათედრაზე მათი ეპისკოპოსნი განაგებდნენ. ამ მოძღვართ მეოხებით სტამბის ცნობებს გარდა სხვაც ბევრი რამ საყურადღებო ცნობები გავრცელდა საქართველოში.

ქართველთ თუმცა აღრიდგანვე შეიტყეს, რომ ევროპაში წიგნის საბეჭდი შემოიღესო, მაგრამ მათგან სარგე-

ბლობის ოცნება კი ჰაზრათაც არ მოსდიოდათ. გუტენ-
ბერგმა 1455 წ. გამართა თავი, პირველი სტამბა, ამის
შემდეგ მალე სლავანთ ტომებმაც იწყეს დამართვა. ამ
დღად საქქეს სომხებმაც დროით შიამქცი ს ყურადღება,
ამათ 1557 წ. ვენეციაში, გაპართეს სომხური სტამბა,
ამის ამბავმაც მოაწია საქართველოში, ამანაც არა მცი-
რელი მნიშვნელობა იქონია ქართველებზე. 1564 წ. რუ-
სებმა გამართეს მოსკოვს პირველი რუსული სტამბა. ეს
ამბავიც მალე შეიტყვეს ქართველთა, მიეცნენ სტამბის
ნატერას, მაგრამ მოხერხება კი ერთობ უძნელდებოდათ.
საქართველოში სტამბის გახსნის ნატერას და საქქეებს ის
გარეშეც უფრო აფერხებდა, რადგანაც როდესაც ეს
შესაწინავე საქქე ევროპაში გაბრწყინდა, სწორედ იმ
დროს, საქართველოსთვის კი დადგა შავი და ბნელი
დღეები, იმ დროს იწყეს ჩვენს თავზე მუჯუღმან მტრებმა
ნაჯარდობა და პარპაში, აქ სტამბის გახსნისთვის აღარა-
ვის სცალოდა. ამ დროს საქართველო განცალკევდა ნა-
წილ-ნაწილ, დაიყო შტოებათ, სახეფოებათ, ჩვენდა სა-
უბედუროდ, გარეშე მტერთ გარდა, თავით ქართველთაც
იწყეს ერთმანერთში მტრობა და ბრძოლა, ხშირად მთა-
ვარი მთავარს ებრძოდა, სახლიშვილი სახლიშვილს, ხეობა
ხეობას, მთა მთასა, ბარი ბარს, ქართლი კახეთს, იმერე-
თი თვის საშთავროებს და ყველა ესენი კი ერთმანერთს.
ყველა ამებით კარგათ სარგებლობდა ჩვენს გარშემო
მყოფ მაჰმადიანები. მათი მახვილი სასტაკათ გვესვებოდა
გარს, შინაურ მტრობას მაინცა და მაინც დიდი შესა-
მჩნევი ზარალი არ მოჰქონდა, რაც იყო და რამაც მო-
გვილო ბოლო, ეს იყო გარეშე მტერთაგან მოწოლილი
ძალა. გარეშე მტრებთა ბრძოლით ქართველთ ისე გაუ-
ხდათ საქქე, რომ სტამბის გახსნა კი არა და სიცოცხლის
მფარველობაც კი უჭირდებოდათ.

მრავალნი ჰკვირობდნენ და ჰკვირობენ კიდევ, რომ საქართველოში, სტამბის არსებობის ცნობებმა ერთობ გვიან მოადწიათ, ქართველებმა სტამბა ერთობ გვიან გახსნესო. ვინც ჩვენს წარსულს დააკვირდება, იმას ეს საკვირვლად არ დაუშთება თუ საქმეს დავაკვირდებით და შევადარებთ ქართული სტამბის და წიგნის ბეჭდვის საქმეს რუსებისა და სომხებისაგან დახსნულ სტამბებთან რიცხვს, ეს მაინცა და მაინც შორი-შორს არ გამოვა, სულ 65 წლის განსხვავებას შეადგენს, პირველი ქართული სტამბა 1625 წ. რომში იქმნა გამართული, 1626 წ. ქართული ანბანის წიგნაკაც გამოიცა. ასე და ამ გეგარათ, ჩვენ ვხედავთ, რომ გუტენბერგმა ევროპაში 1455 წ. გახსნა პირველი სტამბა, სომხებმა 1557 წ. ვენეციას, რუსებმა 1564 წ. მოსკოვს და ქართულ სტამბა ქართველთ ლათინის წეს-რიგის პატრებმა 1625 წ. გახსნეს რომში. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ქართველთ შორის სტამბ-ს გახსნის საჭიროება XVI საუკ. დამლევსვე გამოითქვა, ეს გამოთქმა პირველად ლათინის წეს-რიგის პატრებსაგან დაიძრა, ამას ნატვრა მათ ქართველთ დიდებულთა და მეფეებსაც მოახსენეს. მათი მოხსენება ყველას ესიამოვნა, XVII საუკ. დამდეგს, რომში მათგან მიწერ-მოწერაც გაიმართა, ჰაპს ავედრებდნენ საქართვეოს მფარველობას, რომში ქართული სტამბის დაარსებას და წიგნების ბეჭდვას. ასეთს ნატვრას არამც თუ უცხო ქვეყნათა „ჰაპაგანდოს“ ძმები და ძალები აღდგნენ, არამედ ყველა იმ დროის სხვადასხვა ორდენის ძმანი და მამანიც, ყველას დიდი სიბრალული ჰქონდა აზიაში ქრისტიანობის მფარველ საქართველოსი. ნამეტურ პატივით უმჯერდნენ ჰაპი და მისი კარდინალები.

ერთის ლათინის წეს-რიგის პატრისაგან ასეთი ცნობა

არის წარდგენილი პაპის წინაშე ქართველებს შესახებ: „მთელს აზრს სამეფოებთ შორის ქრისტიან მეფენი და ერნი მძლავრის მუსულმანებისაგან დაეცნენ, დაეცა თვით ვიზანტია, მაგრამ საქრისტიანო საქართველო, რომელიც შეე ზღვის და კასპის ზღვის შუა სძევს და რომელ ქვეყნის ხალხნიც განთქმულნი არიან ქრისტიანობის მფარველობით, დღევანდლამდე შეინახეს თავიანთი საკუთარი მეფობა, მთელს აზრის დაცემულ ქრისტიანებს ესენი შეცლიან, ამათ მეტი მათ მფარველი, პატრონი არავინა ჰყავსთ. აზიაში ქართველთ დიდი ამაგი, დიდი შრომა მიუძღვით ქრისტიანობის მფარველობისთვის, კავკასიის ერთ შორის სადმე თუ ქრისტიანობა ბრწყინავს, სადმე თუ მისი შუქი ანათებს, ამ შუქის სინათლის მიმცენი ქართველები არიან. ასეთ ღირსეულ, ასეთ თავდადებულ ერთათვის საჭიროა სტამბის გახსნა, წიგნების ბეჭდვა და თქვენის უწყინდესობის მფარველობა; რადგანაც მათ შორის არა მცირედნი სცხობობენ ისეთნიც, რომელნიც ჩვენს სარწმუნოებას აღიარებენ“. ასეთი ცნობებით აღესილი წერილები მისიონერს მარიოს მაჯის, სტეფანე პაულინს და ნიკოფორე ირპახსაც ხშირად უგზავნიათ პაპის წინაშე და დიდათ ცდილან ქართული სტამბის გახსნას, აქათს ასეთს დიდს ნატვრას თვით მათივე საქმის ფაქტები გამოაჩენენ. ამათზე ბევრათ წინეთ-კი სხვა მისიონერებსაც უსაუბრია და უშრომნიათ რომის წინაშე ქართული სტამბის გახსნის საჭიროებისათვის.

მხნე მქადაგებელთ მეოხებით რომის უმაღლეს სამღვდლოების წინაშე ძრვიელ უადვილესად დაიბადა პაპრი ქართული სტამბის გახსნის შესახებ, ბევრის საუბრის და კამათის შემდეგ უკვე გადაწყდა ქართული სტამბის გახსნის კითხვა და ყველა ხარჯი იკისრა პაპის გამგეო-

ბამ. ამ საქმეს დიღათ ხელს უწყობდენ ზემოთ ხსენებული პირები: მარიოსი, სტეფანე და ნიკიფორე. ამათ შეადგინეს ქართული ანბანი, მათის თაედარიგითვე ჩამოასხეს ქართული ასოების ყალიბები, ამათის ზედამხედველობით დაარსდა სტამბა, ამათვე შეადგინეს და დასწერეს ყველა ის წიგნები, რაც-კი საჭიროდ დაინახეს დასაბეჭდათ. 1625 წ. უკვე გამოცხადდა ცნობა, რომ პაპის „უცხო სამქადაგებლო ძმობის“ თავოსნობით და პაპის მფარველობით რომში ქართული სტამბა ფუძნდებოა. ამ დროს პაულინი, მარიოსი და ნიკიფორე რომში იქმნენ მიწვეულნი, მათ მალე მოაწყეს სტამბა, მის გამგეობა თვით იკისრეს და 1629 წ. უკვე ქართულ იტალიურ წიგნიც დაბეჭდეს. პირველად რომში დაიბეჭდა ქართული ანბანი—ლოცვებით, ეს ლოცვები საქართველოს კათოლიკეთათვის იყო საჭირო, რადგანაც ლათინის ბერებს ძრიელ უჭირდებოდათ მრევლისთვის ანბანის და ნამეტურ ლოცვების გადაწერ-გადმოწერა. იმ დღიდან ვიდრე 1800 წლამდე, რომში ქართული წიგნების ბეჭდვა არ მოსპობილა. ანბანსა და ლოცვებს მოჰყვა „ქართულ იტალიურ სლავარი“ შედგენილი სტეფანე პაულინისაგან ნიკიფორე ირბახის დახმარებით და დაბეჭდილი 1629 წ. რომსვე. აი თვით წიგნის სათაურიც, რომელიც მოგვყავს შეუცვლელად.

Diftionario giorgiano
e Italiano. Composto da Stefano Paolini con-
l'aiurio del M. R. P. D. Niceforo Jrbachi.
Giorgiano, Monaco di S. Bafilio.
ad vso de' Missionarii
della Sagra Congregatione de Propaganda fide.

გამოცემა In. Roma,

Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. fide.

CICDC XXIX=1629

Con licenza de' superiori.

ამ სათაურის მეორე გვერდზედ მოხსენება არს დაბეჭდილი თვით წიგნის შესახებ. მეხუთე გვერდზედ წინასიტყვაობა იწყება, რომელიც შედგენილია „პროპაგანდოს“ ძეგლისადან, რომ ეს „ქართულ-იტალიური სლავიკი“ აუკრძალთ სსსრკ-სათ აუკრძალთ. წიგნის დასაწყისი ასე იწყება:— „Alfabeto Giorgiano“. ამას მისდევს ქართული ანბანი, ანბანის შემდეგ სიტყვები იწყება, სიტყვებზე მიწერილია ქართული ასოები თ ეს სიტყვები, რომელიც თავის წერტილებითვე მოგვყავს აქ:— „:ლქსი: აბრ-გა: ფანსი:“ ქართულ ასოებს გვერდით ლათინური ანბანი აქვს დაბეჭდილი, იგი ხსნის ქართულ სიტყვებსაც, გვერდზედ ლათინური სიტყვებიც აქვს მიბეჭდილი. ამ სიტყვების შემდეგ ქართული ასოები ლათინურის ასოებითაც არის დაბეჭდილი, რომ მისიონერებს გაადვილებოდათ ქართული ენის შესწავლა. წიგნი შეიცავს 128 გვ. თითო გვერდზედ დაბეჭდილია 18—19 სიტყვა, ყველა ქართულ სიტყვას თავის თარგმანიც აქვს. თავის დროის კვალით ეს წიგნი საკმარის კარგს ქალაქზედა დაბეჭდილი, ასეთი ქალაქი მაშინ-კი არა და XVIII საუკ. იშვიათი იყო საქართველოში. „სლავიკი“ მოჰყვა ქართულ-იტალიურ გრამატიკის შედგენა, რომელ გრამატიკის ბოლოს ქალდეური, არაბული და ებრაული ასოებიც არის მოთავსებული. გრამატიკას შედარებითი კილო აქვს მიცემული. უნდა ესთქვათ, რომ იმ დროის კვალით ეს შრომა ჩვენ ერთობ დიდს სამეცნიერო შრომათ მიგვაჩნია,

დიდს შრომას გარეშე, ამ წიგნის დაბეჭდვა მაშინ დიდს ფულს. დიდს ხარჯსაც მოითხოვდა, რადგანაც იგი ვრცელი ტომია. ეს „ქართულ იტალიური გრამატიკა“ მისიონერს ნიკიფორე ირბახს შეუდგენია და გამოუციათ მხოლოდ 1670 წ. რომს, ვინ გამოასცა, თვით ენერგიულმა მისიონერმა ნიკიფორემ, თუ სხვამ?—ეს არ სჩანს, ვინ იცის იქმნება იგი ამ დროსაც კოცხალი იყო. აი თვით ამ წიგნის სათაურიც, რომელიც წიგნიდამ შეუცვლელად მოგვყავს აქ:

Syntagma fon hingvarim orientalium quae in georgiae regionibus au'diuntur Liber primus Complectans Georgianae, feu Ibericae vulgaris linguae Institutiones gramaticas Authore D. Francisco-Maria Maggio, clerico regulari, Panormitano.
Romae,

Ex Typographia sacrae Congratinis de Propaganda Fide M. D. C. LXX 1670 წ. Superiorum permissu.

ამ შრომიდამ ნათლად სჩანს, რომ ნიკიფორე ირბახი დიდი შრომის და ენერგიის მისიონერი უნდა ყოფილიყოს. წიგნის გვერდთა რიცხვი შეიცავს 400 გვერდს, დაბეჭდილია საწერ მთელ თაბხან ქალაქდზედ. ამ წიგნებს გარდა ხსენებულ პირებს სხვა წიგნებიც უბეჭდავთ, მაგრამ ჩვენ ამ წიგნების არაფერი ვიცით. 1733 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრმა ტულუკაანთ დავითამ „საქრისტიანო მოძღვრება“ რომის ქართველ კათოლიკეთათვის, შემდეგ ეს „საქრისტიანო მოძღვრება“ მეორეთ 1793 წ. იქმნა გამოცემული და მესამედ 1800 წ. ძესამე გამოცე-

მაში მღვდელს ახალციხელ ბაღინაშვილსაც მიუღია მონაწილეობა. 1741 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრმა ტულუკაანი დავითამ პატარა „საქრისტიანო მოძღვრება“ მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის. დაიბეჭდა წმიდა რომის ქალაქს, სასწავლოს შინა, რომელსაც ქართულათ ჰქვიათ „პროპაგანდა ფაღ“ მთავრობასა ბენედიქტე XII რომის პაპისა 1741 წელს. გამოცემის ხარჯი პაპის ყოფილა. ქართული ასოების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ იგინი კარგათ ჰხატევენ ქართულ ანბანის სახეს თავის მოქარგულობით. ასოების ზომა დღევანდელის ასოების მეთექვსმეტე ნომერს უდრის. უნდა შევნიშნათ, რომ „სლავარში“ ნახპარია ძველი ქართული მართლ წერის ნიშნები, სამ-სამი წერტილი ჯვარედინათ, რის ხმარებაც XVI საუკ. საქართველოში მხედრულს ხელთ-ნაწერებში წინ წავიდა. ქართულის გრამატიკიდან კა ეს გამოდევნილია, აქ ნახპარია მართლ წერის ყველა საგრამატიკო ნიშნები. ასე რომ ამის მზერით კაცი განცვიფრდება, პირველად ლათინის ბერებმა შემოიტანეს ეს ნიშნები ჩვენში, პირველად ამათ იხმარეს ქართულს წიგნებში. XVII საუკუნეში-კი არა და ამ ნიშნების ხმარება ქართველებმა თვით XVIII საუკუნეშიაც არ იცოდენ. ამ გრამატიკაში ნიშნებიც საოცარის სიფრთხილით არის ნახპარი, არსად კაცა მათ უადგილობას ვერ შენიშნავს, ყველკან რიგზე არიან დანიშნულნი.

უნდა ვსთქვათ, რომ ქართველ ერის ისტორიაში, პირველ ქართულ სტამბის გახსნა 1709 წ. კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ 1625 წ. რომში, როცა პაპი ურბანუს მერვე საქართველოს მფარველი გახდა, როცა საქართველოში მათი მქადაგებლები გაჩნდნენ. ჩვენ, 1626 წ.

უნდა ვიანგარიშოთ ქართული სტამბის გახსნ-სთვის. რიგია, რომ ასეთ დღეს საგანს, ძვირფას მხარეს ჩვენის ისტორიისას, სრული ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ოდესმე რომში პირველ ქართულ სტამბის დაარსების სახსოვრად ვიდღესასწაულოთ კიდევ, მთელს ევროპას ვამცნიოთ, რომ პირველი ქართული სტამბა როდის და სად გაიხსნა, ამასთანავე აინუსხოს ისტორია იმ განწყობილების, პატივისცემის და სიბრალულის, რაც კი ჩვენს მეფეებს და პაპებს შორის ყოფილა დამკვიდრებული. ამ ისტორიისათვის რომში ძრიერ ბევრი მასალები აღმოჩნდება, ამ მასალებიდან კარგათ გამოსჩნდება, თუ რომის ტახტმა რა განძრახვით გახსნა რომში ქართული სტამბა.

რომის სტამბის და წიგნების ბეჭდვის ცნობებმა საქართველოშიაც მალე მოაღწიეს, ჯერ ქართველთ დაბეჭდილი წიგნები არც კი ენახათ თვალით, რომ სიტყვით ესმოდათ: რომში, პატრებს ქართული წიგნები დაუბეჭდიათ. ეს თქმულება მალე გამართლდა, ლათინის პატრებმა ქართულად დაბეჭდილი წიგნები მალე შემოიტანეს საქართველოში, ეს ნაბეჭდი წიგნები ოთხსაეკუთხივ მოჰტინეს, ყველა ქართველი განკვირვებულ იყო ასეთის საოცარის საქმისაგან, მრავალთ იწყეს თვალის გახილება და ირგვლივ ფხიზლათ მზერა. იმ დროის ქართველთ ხშირად უსაუბრიათ სტამბის და წიგნის ბეჭდვის საჭიროებაზე, მაგრამ მოხერხებით კი ვერ მოუხერხებიათ, შინაურს და გარეულს მტრობას და გარემოებას ხელი შეუშლია მათთვის, ხოლო რაც შეეხება სტამბის გახსნის საჭიროებას და ცნობებს, ეს საქართველოში უპირველესად რომიდან შთამოდგრილა, ასე რომ ჩვენი სტამბების ისტორიის სიდიადე რომიდან იწყება და ამ მნიშვნელოვან დიად საქმის წარმომადგენლებათ მარიოს მაჯი, ნიკოლოზ

ირბახი და სტეფანე პაულინი იგულისხმებიან, ესენი არიან ჩვენი წარმომადგენელნი, ამ მოძღვართ შოქვედება და სახელები ანათებენ ჩვენის ბექედეს ისტორიაში. ოდესმე თუ ქართულს ან ევროპიულს ენებზე დაიწერა ქართული ბექედის ისტორია, იქ ეს პირები მაშინ უპირველეს ადგილს დაიკავენ.

ამ მქადაგებელ მოძღვრებათა შესახებაც ვიტყვით მცირედ რამეს: ზემოხსენებულ მოძღვარ მისიონერებში გარდანიკიფორე ირბახის ყველანი ტომით იტალიელნი იყვნენ, იგინი ეკუთვნოდნენ პაპის „სუბსტანცია სემქადაგებელთა კომპანია“, რომელსაც მათებურათ „პროპაგანდა ფიდე“ ეწოდება. ესენი აღრიდგანვე იყვნენ აზიის ქვეყნებში ნავალი, შემდგომ მოგზაურობის იგინი დაემკვიდრნენ საქართველოში. აქ მათ კარგა ხანს იცხოვრეს. გაიცნეს საქართველოს კუთხეები, ხალხი, ენა, ისტორია სხვა-და-სხვა პირობები და ბოლოს ამ ხალხისთვის ცდა დაღწეას მიეცნენ, უკანასკნელ მათის მეოხებით რომში ქართული სტამბაც გაიხსნა. ამ სახელოვან მისიონერების ცხოვრების წელნი 1650 წლებამდე სჩანს, შემდეგ კი ისობა მათი სახელის მოხსენება. საქართველოში მათი მოსვლა შეეხება 1615 — 1617 წლებზე არა უგვიანეს. სტამბის გახსნის შემდეგ ესენი მიხმობილნი იქმნენ რომში. რომში მისულთ ქართველთ ერს მარტოთ სტამბის გახსნა და წიგნების ბექედვა არ აკმარეს. ამათ მოხსენება მიართვეს პაპს და ითხოვეს „პროპაგანდაში“ ქართული ენის კათედრის დაარსება და საყოველთაოდ იქ ქართული ენის მცოდნე პროფესორის ყოლა. პაპი თანხმა გახდა ამის და მალე იქმნა უმაღლეს სასულერო სასწავლებელში ქართული ენის კათედრის დაარსება, მასზე პროფესორათ დადგენილ იქმნენ თვით ეს მოძღვარნიც, რის მეოხებით რომილამ ესენი

საქართველოში ევლარ დაბრუნდნენ. იქ დარჩნენ, იქ მოღვაწეობდნენ ჩვენის გეარის სასარგებლოთ, ჩვენის წარსულის მამა-პაპათ ძეთ გონების განსანათლავათ. ქართულენის პროფესორებთ რიცხვი რომში თვით მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდისაც კი არ მოსპობილა. უკანასკნელ დროს, ე. ი. 1800 წ. რომში, პაპის „უცხო ქვეყანათა საქადაგებელთ“ ენის კათედრით უფროსად ახალციხელი მღვდელი გრიგოლ ბალინაშვილი იყო, რომელიც აგრეთვე სომხურ ენის პროფესორათ იგულისხმებოდა.

საშუალ საუკუნოებიდამ, ევროპაში, კათოლიკის სარწმუნოებისათვის იწყება ათასწორი სარწმუნოებრივი ბრძოლა და კამათი. სასტიკს კაშათს რეფორმაციებიც მოჰყვა. იმ დროს, კათოლიკის ეკლესია დიდს განსაცდელში იყო, მას დიდი გასაჭირი აღდა, მაგრამ რომსამ გაქარვების დროსაც კი არ დაუვიწყრია საქართველო და ქართველი ხალხი, აღმოსავლეთს ხალხებთ შორის საკმარისი ზედამხედველობა ჰქონიათ ქართველობაზე მიპყრობილი, ქართველთ სასარგებლოთ იგინი ფულსაც საკმარისად ხარჯავდნენ. ეს დიდათ საყურადღებოა და მასთანვე პატივ საცემი. ეს ისტორიული მშვენება ჩვენის ისტორიისა მომავალში იქამდის დიდებით და სხივოსნობით შეიმოსა, რომ ქართული წიგნების საბჭქდი სტამბები რომის სტამბის მიბაძვით ვენეციას, ფრანკს და კონსტანტინეპოლსაც იქმნენ დაარსებული, სადაც ქართველთ კათოლიკის ბერებისაგან აღიბეჭდნენ მრავალი სასარგებლო ქართული წიგნები. უნდა ითქვას მოკლეთ, რომ თვით XVIII საუკ. ვახტანგ მეფისაგან გახსნილს სტამბის წინამორბედათაც ზემო ხსენებულ რომის სტამბა უნდა ჩაითვალოს.

ქართველ სამღვდელოებას პატრების მოქმედება

თვალ წინ სარკესაებ დაუდგათ და XVII საუკუნის ბოლოს, რაღაც ბედზედ, ვალახიაში ყოფილა ერთი ქართველი ეპისკოპოსი, რომელსაც კარგათ შეუსწავლია სლავიანთ წიგნების ბექდვის საქმე, ამას მსწრაფ მიუქცევია ყურადღება ქართულს ენაზე წიგნების ბექდვის შემოღებისთვის. მას დიდი ნატვრა მისცემია საქართველოში ქართული სტამბის დაარსებისთვის, ამიტომ ამ მღვდელ მთავარს საქართველოში მიწერ-მოწერა გაუმართავს და რჩევა, რომ დროა, თფილისში, ქართული საბეჭდო სტამბა დაეაარსათო. ამის თანხმანი მალე გამხდარან ქართველთა დიდებულნი და წერილიც მიუწერიათ, რომ ძრიელ კარგი იქნება, თუკი ქართველები ამას მოვახერხებთო. ამ განძრახვის მეთაურათ ვახ. მეფეს სთვლიან, მაგრამ ეს არ არის სწორი, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ შემოხსენებულ ეპისკოპოსს და ვახტანგ მეფეზე ბევრათ ადრე სტამბის გახსნის შესახებ საუბარი არჩილ მეორესაც ჰქონია, რომელიც მოსკოვში კარგა ხანს სცხოვრებდა, გარემოებამ ამას არ მისცა შემთხვევა სტამბის გახსნის, მისი საქმეები მრავალნაირათ დაიხვანჯა, მხოლოდ შემდეგ დროს, — ამის ნატვრა ვახტანგ მეფე შეასრულა ზემოხსენებულ ეპისკოპოსის ღწვიით და ქადაგებით.

ბევრის მიწერ-მოწერის შემდეგ, ზემოხსენებულ ეპისკოპოსს ვალახიაში ჩამოუსხმევენებია ქართლი ასოები, ამ ასოების ნიმუშები საქართველოში გამოუგზავნია, შემოუთვლია: „ნახეთ ეს ასოები და თუ მოგეწონებათ, მაშინ დასთანხმდით და თქვენც მიიღეთ, თუ არ მოგეწონებათ, მაშინ უარი სთქვითო“. ასოების მიღებისათანავე ქართველთ დიდათ მოეწონათ, ამათ ეპისკოპოსს თანხმობის წერილი მისწერეს, დაავალეს შრომის მიღება, ყველა იარაღის მოპოვება, მკოდნე ოსტატების და ყველა მათ სა-

ქართველოში გამოგზავნა და სტამბის დაარსება. ქართველები სკოპოზსაც დიდად ცხამოვნა ესეთი ნატურა, მეფის ვახტანგის ბრძანება უმაღლესი შეასრულა, მალე იწოდნა ოსტატი კაცები, მოიპოვა ყველა სასტამბო იარაღი, ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, ყალიბებს მოჰყვა თვით ასოების ჩამოსხმაც და უკანასკნელ მეფის ვახტანგის და ლეონ ირანთა მსაჯულის ხარჯით საქართველოშიაც გამოგზავნილი. ოსტატებთ შორის ოთხი კაცი ყოფილა ხელოსანი, ერთი მბეჭდავი და სამიც ამომწყობი, ერთი ამათვანი მიხაილი უფროსი ყოფილა. ჩვენის ჰაზრით ეს რიცხვი უნდა შეეხებოდეს 1707 წ. არა უგვიანეს, რადგანაც 1709 წ. თფილისში უკვე გამოიცნენ ქართული წიგნები. ვიდრე სტამბა დაარსდებოდა, მინამდის თფილისში დაფუძნებულ იქმნა ქართველთ მწიგნობართ გუნდი, რომელ ბრძენთაც მუშაკობა იწყეს ქართულ სამღრთო წერილის განხილვის, ბერძულს დედნებთან შედარების და საბეჭდათ მომზადების. ვახუშტი და ვახტანგი-კი ისტორიულ, გეოგრაფიულ და სხვადასხვა მასალების შეკრებას მიეცნენ. ამათ თავიანთი შრომა შემდეგ წიგნებში რუსეთში დააქთავრეს. ერთი ამ მშრომელთაგანი ნიკოლოზ მღვდელ-მონაზონი, ორბელიანი ყოფილა. 1709 წ. გამოცემულს „საქმე მოციქულთა“-ს ბოლოა აი რა გვარი შენიშვნა არის მიწერილი: — „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილ მოაწმუნე მეფის არჩილის და სასულგანის მეფის გიორგისა და ბატონის ლეკანისა ღვთის მოყვარე, განათლებული კახტანგი, გულ მოიდგინა და მოიღო სტამბა კალსეთით, რომელ არ ოდეს ყოფილიყო საქართველოში, ხელით წერაში ჩვენი სამღრთონი წერილნი განრეყნადიყო, და მე, დედის ძმისწულსა ამა მონაზონს ნიკოლოზს (ორბელიანს) მიბრ-

ძანა წიგნების გასწორება და განხილვა. დიდას ჭირითა, ბერძენთ სამოციქულოთ შემწობითა, სიტყვა და ასო მეტ ნაკლები გაკმართე და ესე სამიეუელი არც ერთ ენაში არ იყო, სიადილისა და ადრე ჰოკნისათვის ახლა მე გაჩაკეთე და ოუ გულის ხმა ყოფ, დიად ადვილია და ამის სწავლება საძიებლისთვის, — იქ იმე, კინც ჩემი ნაშრომი წიგნები ნახათ, ღკთის სიყვარულისათვის, შენდობას მამრძინებდეთ, მე დიდათ შემეწევის და თქვენ უზრუნველ იქნებით“. ამავე წელს დაიბეჭდენ „დაუჯღომელი“ 1000 ც. პატარა ლოცვანი 1000 ც. 1710 წ. გამოიცა „ქაშნი“ 450 გვ. ბოლოს მოხსენებულთა: — „ქაშნი, აწ ახლად დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა, ქაშსა ამაღლებულისა და სასკლოკანისა მეფისა, უფლისა ქახოსისა, წარსაგებელითა და საფასითა ბატონიშვილის უფლისა კახტანგისა, გამძართა სელითა ნიკოლოზ მღვდელმონაზონის ორბელიშვილისათა და მახელი სტეფანეს ძას ოგარი კლასელისა ხელითა“. სხვა წიგნებზედაც ესევე ნიკოლოზ მღვდელმონაზონი აწერს, რომ მე გაემართეთ. ზოგი წიგნები სხვებს გაუმართავთ, მეათურობაკი ამას სტერია. შემდეგ ეს მღვდელმონაზონი თბილელათ იქმნა აჰყვანილი. 1709—1713 წლებადე თფილისში დაიბეჭდენ შემდეგი სასულიერო შინაარსის წიგნები: ზოგი ორჯერ სამჯერაც გამოიცენ: კონდაკი 500 ც., ზატკი 500 ც., ქაშნი, მეორეთ 500 ც. სამოციქულო მეორეთ, დავითნი, სახარება მეორეთ, ვრცელი ლოცვანი, მცირე ლოცვანი მხედრულათ, ტიბიკონი, კურთხევანი, პარაკლიტონი, სადღესასწაულო, მარხვანი, ძილის პირნი და ზოგიც სხვა წვრილი საეკლესიო წიგნები, ზოგი მხედრულის ასოებით და ზოგი ხუცურათ. ზოგიერთს გამოცემებს პირველს ფურცელზედა, ზოგს ბოლოს, საქართველოს სამეფო გერბი აზის,

ზოგზე დახატულია მეფე ლეონ ირანთა მსაჯული, მამა ეახტანგ მეფისა, რომელიც სპარსეთში სცხოვრებდა, იქ მთელის ირანის მსაჯულათ ირიცხებოდა, დიდი შესანიშნავი ქვიანი კაცი იყო. იგი შეერთებულ იქმნა შეას სარწმუნოებასთან, მაგრამ საიდუმლოთ-კი კათოლიკობას აღიარებდა, ზიარებას სპარსეთში მყოფ ლათინის ბერებისაგან იღებდა. ამან განუზიარა მოგზაურს მისიონერს იეზუიტს პოლონელს კრუსინსკის, რომ მე კათოლიკის სარწმუნოებას ვაღიარებ ჩუმათაო. ასეთი დიდებული მეფენი ქართველით ხშირათ არ გვყოლია. ეს მეფე საქართველოს სამეფოს საქმეების გამო სპარსეთში სცხოვრებდა, შაჰის დავალებით მუსლიმანობას აღიარებდა, მაგრამ გულით-კი ნამდვილი ქრისტიანი, ქართველი იყო. ეს მეფე სპარსეთიდან დიდათ ეხმარებოდა საქართველოს, როსტომ მეფისაგებ, სპარსეთიდან ეს საქართველოს დიდს მფარველობას უწევდა, თვით სტამბის გახსნასაც ეს დიდის სიამოვნებით მიჰკვებებია, სპარსეთიდან დიდი დახმარება მიუცია ამ საქმისთვის, ყველაზე მეტათ მას სიამოვნებია, რადგანაც სპარსეთში მყოფ ლათინის პატრებისაგან მას კარგად სცოდნია მნიშვნელობა სტამბის გახსნის და წიგნების ბეჭდვის, მისის დახმარების, პატრონობის და საქართველოს მფარველობის სამახსოვროდ, ეახტანგ მეფესაც ლეონ ირანთა მსაჯულის სახე წიგნებში მოუქცევია, ლეონ ირანთა მსაჯული სკამზედ ზის, ხელში ქრისტიანულის ჯვრით გაკეთებული ყაპარჯენი უჭირავს, გვერდზედ დახატულია ბაგრატიონების გვირგვინი, ირველივ ხუცური წარწერა აქვს.

იმ დროის ქართველთა, სამღრთო წერილს გარდა საერო მწერლობასაც მიაქციეს ყურადღება, სამართლიენ მოვალეობის აღსრულებას მოჰკიდეს ხელი და „ვეფ-

ხის ტყაოსნის“ ბეჭდვაც განიძრახეს. შეუდგნენ „ვეფხის ტყაოსნის“ გამოცემის სამზადისს და 1711 წ. უკვე დაიწყეს ბეჭდვა ისე, რომ 1712 წ. „ვეფხის ტყაოსანი“ ცალკე წიგნათ გამოიცა. ამ ძვირფას საუნჯის გამოცემას ზოგი სასულიერო პირნი წინ აღუდგნენ. „ვეფხის ტყაოსნის“ ჰაზრებს სამეფაოთ სთარგმნიდნენ. ამიტომ ამ წიგნის შინაარსის გასაცნობად ვახტანგ მეფე ახსნა დასწერა, რუსთველის ჰაზრებს შეძაობა მოაშორა. ამის ახსნა „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლოშია მოთავსებული. თვით „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლოს დაბეჭდილია ორი ტაეპი, რომელიც მიუწერ და მიუბეჭდიათ იმ დროის მწიგნობართ ქართველთ.

„ვეფხის ტყაოსნის“ პირველს გვერდზედ მოყვანილია შემდეგი: „ვეფხის ტყაოსანი“ აწ ახლად დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა, უამსა ამაღლებულისა საქართველოს მწყობრებისასა, უფლისა კახტანგისა, შრომითა და წარსაგებულებითა მისივე მწყობრებისათა, გამძროთა ხელითა სელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა, ქალაქ თფილისს, ქრისტეს აქეთ 1712 წ. დასაბამითგან კიდრე აქამომდე 7220“. მეორე გვერდზედ მოთავსებულია ლექსი პატივად ბაგრატიონთ შთაშობაელობის შესახებ. მესამე გვერდზედ მოთავსებულია შემდეგი:— „მადიდებელი წმიდისა სამებისა მე გვერტობით, ძირ მოდგმობით დაკითხანძან, მის ძემან სახელ განთქმულის მეფის კახტანგისამან, ძმისწულმან ჭებულის არჩილისამან და დიდათ პატროსნის ლეკანისამან, მწყობრელმან საქართველოსამან, კახტანგ — მოკიყვანე მესტამბე კლასეთით და გაკაკეთე სტამბა სახსრად სულთა წინათქმულთა მეუეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურგელისასულისა თუთასათვის, სალხინებულად სულისა ჩემისა და ჩერქეზის ბატონისასულისა დედოფლისა რუსუდანიასა და ქე-

თა და ასულისა ჩვენთა აღსაზრდელათ“. მეოთხე გვერდზედ დახატულ და?ეჭილია სურათი ვახტანგ მეფისა. „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ ტაევის შემდეგ მოთავსებულია შემდეგი ორა ტაევი, რომელიც მოგვყავს აქვე, რადგანაც ამ ტაეპს მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენის სტამბის დაარსების ისტორიასთან:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში, პირველ ნაწერი ხელისა, უგბილთა ფრიად სისწაგლად, გონიერთ გულთა თმენისა, მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ მჭმხელისა, და ნაღაწი მისის მლოცველის, მესტამბე მიქაელისა“.
დაესრულა ესე წიგნი, ქორონეონს უნსა სიძულსა; ვეკლავსა უხაროდა, რიტონსა და სძა უსულსა, სიმღრთთა და საეროცა, კისიცა აქვს სიძენა გულსა, და უსწაგულსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ვალახიილამ საქართველოში მოსული მესტამბე მიქაელი, უნგრეთელი ყოფილა, ხოლო ვალახიაში მყოფი და აქედამ თავის ხელოვნებით საქართველოში მოსულა. ამ მესტამბის და მის ამხანაგებთ ცხოვრების ცნობები ჩვენთვის დეფარულ არს, ისე ვიცით, ესენი საყოველთაოდ საქართველოში დაშენილან, ამათ აქ, საქართველოში, ქართველთ ძეთათვის შეუსწავლებიათ ქართული ასოების ხაზვა, ყალიბების ამოქრა, ასოების ჩამოსხმა, ამოწყობა, ბეჭდვა, შავი საბეჭდი წამლის კეთება, თვით რკინა-ხის დაზგების მომზადებაც. ერთის სიტყვით სრული ხელობის ცოდნა სასტამბო საქმეების. სანაქებოთ ითვლება მათი ოსტატობა წითელ და შავ წამლით ქართული წიგნების ბეჭდვის ხელოვნობაში. რაც შეეხება ზემოთ მოხსენებულ კარის დეკანოზის შვი-

ლის მიქაელის ხსენებას-კი, ეს ჩვენ სულ სხვა პარატი-გეაჩნია, სხვა მოღვაწეთ, კარის დეკანოზათ ჩვენ უნდა სახეში ვიქონიოთ ქართველთ მეფეთა კარის ეკლესიის მოძღვარი, მაშასადამე ეს მიქეელი ქართველი კაცი, ქართველი მესტამბე უნდა იქმნეს, იქნება მან თავის ცოდნა უნგრეთ-ვალახიელ მესტამბე მიქელ სტეფანეს ძისაგან შეისწავლა.

უნდა ვსთქვათ, რომ უნგრეთ-ვალახიელ მიქელ სტეფანეს ძემ მოჰფინა ჩვენში სტამბის ხელოსნობის ოსტატობა, ამ ხელობის ოსტატ ქართველნი ამან მოამზადა. მისი ასეთი შრომა ქართველ მეფეებთაგანაც დიდათ პატივცემულ და ღვაწლ დებულ იქმნა, მიქაელი აზნაურის შვილობით იქმნა დაჯილდოებული 1710 წლებსვე ვახტანგ მეფესაგან, იგი უნგრეთ ვალახაში აღარ დაბრუნდა, საქართველოში დასახლდა და აქვე გარდაიცვალა. XVIII საუკუნის ნახევარს, ამისაგან დაზრდილ მესტამბეებმა საქართველოში უკვე თავი იჩინეს. ესენი არიან ასოთ-ამომწყობი: რომანოზ რაზმაძე, ჩუბინიძე დავითი მღვდელი, მარტყოფელი მღვდელი კეყერაშვილი, გიორგი პაიჭაძე, რომანოზ ზუბაშვილი, ანუ ზოგთაგან ზუბალაშვილათ წოდებული და რამდენიმეც სხვა ასოთ-ამწყობნი და მპეკდავნი, პირველ ხარისხის ოსტატნი, თორემ მეორე ხარისხის ხელოსანთ სახელებს ჩვენ აქ არ ვასახელებთ. უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი სტამბეების მოღვაწეთ ისტორიის ცნობები ერთობ ღარიბია.

ჩვენდა საუბედუროთ, ქართველთ კეთილ დასაწყისს, არ მიეცა დიდი ხნის დრო, 1712 წ. ვახტანგ მეფე სპარსეთში მიიხმეს, ამის მაშაც იქ იყო, მაგრამ საქმე ისე მოეწყო, რომ ესეც უნდა უსათუოთ წასულიყო, 1713 წ. უკვე წავიდა. ვახტანგ მეფის განსვლამ საკმარისად შეა-

ფერხა სტამბის საქმე, ამ სტამბაში, საერთო „ვეფხისტყაოსანს“ გარდა აღარაფერი დაბეჭდილა, თუ იბეჭდებოდა რამ სასულიერო წიგნები. 1717 წ. კვალად დაიბეჭდა „ქამნი“ 1720 წ. „კურთხევა ეკკლესიისა და ოდიკისა“ და ორი სამიც სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები. ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ამ სტამბაში 1722 გამოიცა „იათა“ ანუ ცის ქმნულება, ე. ი „კოსმოგრაფია“ სპარსულიდან ნათარგმნი თვით ვახტანგ მეფისაგან, ამ წიგნთან ერთად სხვა წიგნებიც იბეჭდებოდნენ, მაგრამ მათ აღსრულება ვერ მიეცენ, ორი წლის განმავლობაში ვახ. მეფეს რამდენ გზისმე მიეცა შემთხვევა სპარს-ოსმალებთან ომებისა, ერთ წელს განჯაზე სამჯერ იყო. სტამბის საქმის მართვის დრო აღარ ჰქონდათ. 1723 წ. ლეკთა და ოსმალთ თფილისი დაიპყრეს. ქართველთა სტამბის იარაღი მიწაში დაფლეს, დამალეს, სტამბა მოიშალა სრულიად. 1724 წ. ვახტანგ მეფე თავის სახლობით, დიდის ძალის თავად-აზნაურობით, სამღვდელთა, ძვირფასის ნივთებით, ოქრო-ვერცხლით და ძველის ქართულის წიგნებით რუსეთში გადასახლდნენ. ქართლი უპატრონო დასტოვეს. ამ გარემოებამ დიდი მესხი დაარტყა ქართლს. ქართლის უპატრონო ხალხი მაინც სულით არ დაეცნენ, მიეცენ ღწვას და უკანასკნელ თფილისიდან ოსმალნი განაძევეს, ლეკნი მოსპეს, თფილისი გაანთავისუფლეს.

ოსმალთა განდევნის შემდეგ ქართლის ტახტზედ თეიმურაზ მეორე ავიდა, ამის მეფობის დროს სტამბაც განახლდა. საჩქაროთ მოძებნეს სასტამბო იარაღები, ყველაფერი მოაწყვეს და მალე განცხადდა სტამბის დაარსების ცნობა. განახლებულ სტამბის გამგებლათ იგივე პირები იქნენ დაწინდულნი, ვინც ვახტანგ მეფის დროს განაგებდნენ. ამ

დროს ქართველთაგან სტამბის შეგირდებიც განამჩაეღეს. მეფის თეიმურაზის ბრძანებით განახლდა ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა, მის მეფობაში რამდენიმე წიგნი გამოიცა. თეიმურაზ მეფის შემდეგ გამეფდა ძე მისი ირაკლი 11-რე, ამის მეფობის დროსაც შესაუერათ წავადა სტამბის საქმე, ხელმეორედ დაიბეჭდვენ საეკლესიო წიგნები. საერთო გამოიცენ ლოცვები ქართულად ანბანებით. ამ დროებში დაიხოცნენ ყველა ის ოსტატნი, რომელნიც ვახტანგ მეფის სტამბის დროიდან განაგებდენ, ამიტომ მათ მაგიერ სხვა ხელოსნები გამოვიდენ, სტამბის უფროს ზედამხედველათ დანიშნულ იქმნა მესტამბე, მარტყოფელი მღვდელი დავით კეჭრაშილი.

ამ დროს სტამბა, მეტეხის ეკლესიის გალავანში იყო მოთავსებული, სადაც XVII საუკ. როსტომ მეფე სახლობდა, ღღეს იმ ალაგას საპატიმროა გამართული. 1750 წლებში, სტამბის და წიგნების ბეჭდვის საქმე ისე წავიდა, რომ წიგნების საბეჭდათ ცენზურაც იქმნა დანიშნული. ამ წლების შემდეგიდამ ლოცვის წიგნებში ქართველთა მეფეთა სახელების მოხსენების ბეჭდვაც შემოიღეს; მაგალითებრ: მეფის ირაკლის დროს, დაბეჭდულს „დაუჯდომელში“ მოხსენებულია მეფე, დედოფალი და მეფის ძენიც. 1784 წ. თფილისში გამოიცა „კურთხევანი“ პირველ ფურცელზე აი რა წარწერა აქვს მიბეჭდილი: — „სადიდებულად... დროს: ყოკლად უბრწუნებალესისა, უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოკლისა საქართველოსა და კეთილ მოაწმუნისა დედოფლისა დარეკანს, ჯადიანის ასულისა და კეთილ მოაწმუნეთა მეფის ძეთა და ასულთასა, კურთხეკითა უნეტარესისა და უწმიდესისა მეფის ძის ანტონი, პატრიარქისა ყოკლისა საქართველოსა, ჩვენის უწმიდესის სინოდისათა, დაიბეჭდა წიგნი

ესე, საქმეთა კურთხევისა, სამეფოსა ქალაქსა თფილისს, პალატსა სამეფოსა, წყლსა დასახამითგან სოფლისა კახუბ, ხოლო განხორციელებიდან სიტყვისა მღვთისა ჩღჰდ. თქესა თებერვალსა რიცხვსა ა“. მეორე გვერდზედ დაბეჭდილია ბაგრატიონების გერბი. ამ ცნობაში საყურადღებოა ის, რომ ანტონ კათალიკოზი რუსეთის უწმინდესის სინოდის წევრათ არის მოხსენებული. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ოდესმე და ცნობები გაირკვეს კარგათ. ამის მნიშვნელობის ჩვენ არა ვიცით რა.

როგორც გამოვარკვეეთ, წიგნები ყოველთვის სამეფოს საფასით უბეჭდავსთ. მხოლოდ 1793 წ. მღვდელ ქრისტეფორე კეცერაშვილს, თავის ხარჯით რამდენიმე წიგნი დაუბეჭდია. მაგალითებრ აი რას სწერენ:— „ღრმამატივის კანონსა ზედა განმარტებითა პრობის (!) მარტოთა მისის უწმიდესობის მონისა, არხიმანდრიტს ტრიფილესითა, ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა, მებრძანა უკეთილმისხურვისა და უმაღლესისა ხელმწიფისა ყოვლისა საქართველოსა, ირაკლი მეორისა, მე, მისსა მონსა, მისის უმაღლესობის კარის მღვდელს, მარტყოფელსა ქრისტეფორე კეცერაშვილსა განუგება და ზედამხედველობა სტამბისა, რომლისა სურვილი ფრად მაქნდა და დაბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა: მხედრული „დაუჯდომელი“ 700 ც. „კიტის სიბრძნე“ გაიოს ნაწილიშვილის თარგმანი 700 ცალი ლაგვანი 1000 ც. სახარება 1000 ც. კვლად სახარება 1000 ც. და მარხვანი 1000 ც. შეწევითა ყოვლად წმიდისა სულისათა ესე ყოველნი ზემოხსენებულნი წიგნნი დაბეჭდავს ხარჯითა ჩემითა, აღსამაღლებლად და განსამდიერებლად უფლისა ჩემის, მეფის ირაკლისა, და საოხად ცოდვილისა სულისა ჩემისა, რომელიცა კმოქნეობ მხილველთაგან შენდობისა“. აქ უნდა ვსთქვათ, რომ დავით მღვდელი

კეჟერაშვილი და ქრისტეფორე მღვდელი კეჟერაშვილი ჩვენ მამა და შვილად მივაჩნია. შვილს მაშინაგან უნდა ესწავლა სტამბის მართვა და ხელობა.

საუბედუროთ ვერც ამ სტამბას წაუვიდა საქმე ბედნიერათ, 1795 წ. პრისხანე ხვედრმა მასაც მოუსოთავისი ცელი. სტამბის სტანოკების და საჭირო იარაღის ზოკი ავლაბარში, მიწაში დაფლეს, ზოგი გორისაკენ წაიღეს და იქით შეინახეს. მტრის განსვლის შემდეგ, დავით კეჟერაშვილს მეფისაგან ებრძანა სტამბის მოხერხება, განწყობა ხელ ახლავ, იგი შეუდგა იარაღის მოკრებას, მალე მოკრიბა და 1796 წ. ამ სტამბაში რამდენიმე ვრცელი სასულიერო შინაარსის წიგნებიც გამოიცენ. 1798 წ. მეფე ერეკლე გარდაიცვალა, გამეფდა ძე მისი გიორგი XII-ე. სტამბის მფარველობა მეფის გამგეობის ქვეშ გადავიდა, მეფემ მასვე დ. კეჟერაშვილს მიანდო ზედამხედველობა. ამის მეფობაშიაც რამდენიმე გამოცემა იქმნა, ლოცვის წიგნები იბეჭდებოდა, სამეფო დავთრები, საჭირო განცხადებები ფურცლებათ, გაზეთის მსგავსად, ესეთი ფურცლები ბეჭდვა ერეკლეს დროსაც ყოფილა, მაგრამ მათ ჩვენ დრომდის ვერ მოაღწიეს. 1798 წ. ამ სტამბაში დაბეჭდილა რალაც გაზეთის მსგავსი ფურცლები, რომელ ფურცლებზედაც მოთავსებული ყოფილა მეფე ერეკლეს გლოვა და გიორგის ქება ლექსად, ამავს გარდა სხვა-და-სხვა ცნობებიც ყოფილა მოთავსებული. ძველ კაცებთაგან ამბათ არის დაშთენილი, რომ ასეთი ნაბეჭდი ფურცლების დრო და დრო გამოდიოდნო. ამ ფურცლებს ბატონიშვილებს და დიდკაცობაში არიგებდნო, მცირე რიცხვი-კი უბეჭდაეთ. სხვა-და-სხვა საჭირო განცხადებათა ბეჭდვა რომ მაშინაც ყოფილა, ამას ამტკიცებს შემდეგი მაგალითი: XVIII საუკუნის დასაწყისს,

რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა დამსახურებული გა-
ბრიელ მაიორი. გაბრიელ მაიორს განათლება რუსეთში
მიეღო, იქვე ემსახურნა, სამსახურს გათავების შემდეგ
თფილისში გადმოსახლებულა, სამშობლოში. საქართვე-
ლოს ღედა ქალაქ თფილისსა და თელავს პირველად აქან
გამართა ქართული წარმოდგენები. ამ წარმოდგენების-
თვის მას ბილეთები სტამბაში დაუბეჭდია. ერთმა ბილეთ-
მა ჩვენ დრომდისაც მოაღწია, ზედ ასე აწერია:— „შაჟრი
ოღი, გაბრიელ მაიორი“ ე. ი. ბილეთი ორი შაური. ეს
გაბრიელ მაიორი ქართველი იყო, დიდი ერთგული მე-
ფისა, 1795 წ. უბელურს ომში მან ეაქცაყურათ იბრძო-
ლა, მიტომ იგი ცხარე ბრძოლის დროს დაკუწულ იქმ-
ნა ნაჭერ-ნაჭერ სპარსთაგან. რაც შეეხება ამის წარმო-
დგენების შესახებ ცნობებს ამას ჩვენ სხვაგან დაწერო.
1799 წ. ხსენებულ სტამბაში ბეჭდვა დაწყებინა დავით
ბატონიშვილმა, თავისაგან შედგენილის „ნარკვევის“,
რომელიც 1800 წ. ცალკე წიგნით გამოვიდა, ეს „ნარ-
კვევი“ არის შემოკლებული ისტორია სხვა-და-სხვა ტომ-
თა. შიგვე დაკავშირებულთა საქართველოს ისტორიაც.
1800 წ. რამდენ ნაირიმე განცხადებები, სამეფო დავთ-
რები, ლექსები და სიტყვები დაიბეჭდენ. მეფე გიორგის
სიკვდილის შემდეგ, საქართველო რუსეთს ჩაბარდა, სტამ-
ბის საქმეც უკუდა წავიდა, ამიტომ 1801 წლის ნახევარს
სტამბა გაუქმდა. მის ყურისგდება არავის უნდოდა. ყვე-
ლა თავისკენ იწეოდა, ბატონიშვილებსაც გადასახლება
უხდებოდათ, სტამბის მართვისთვის აღარავის სცალოდა.
ანტონ კათალიკოზმა დაუწყო სტამბას მფარველობა, ესეც
დროებითი იყო, ამის მფარველობის დროს ამ სტამბაში
არა დაბეჭდილა რა. 1804 წ. სტამბის იარაღი და ყო-
ველისფერი მოწყობილება რუსეთის მთავარ-მართველს

გარდაეცა. მთავარ-მართებელმა სტამბას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, მისთვის რუსეთიდან გამოიწერა ზოგიერთი საჭირო რამ იაზღები, ქალაღი, მასთან რუსული ასუებიც და 1805 წ. ვახსნილ იქმნა ძველი სტამბა. 1805 წლის შემდეგიდამ ამ სტამბაში ქართული წიგნის ბევრი აღარაფერი დაბაქდილა რა. იბეჭდებოდენ მხოლოდ ქართული ლოცვის და ანბანის წიგნები, მასთან რუსეთის განცხადებები, საქართველოს მთავარ-მართებლებთა ბრძანებანი, განკარგულებანი და სხვა-და-სხვა დარიგებანი, ყველა ესენი მარტოთ ქართულს ენაზედ იბეჭდებოდენ. 1810 წ. ამ სტამბაში გამოიცა ქართული გრამატიკა. მასთან რუსულ-ქართულის „რახლავორის“ წიგნი, ლოცვანი ანბანითურთ, 1811 წ. დაიბეჭდა ვარლამ არხივისკოპოსისაგან შედგენილი საქართველოს სამღვდლოების, ბერების, ეკკლესიების, მონასტრების, მათის მამულების და სხვა-და-სხვა საქმეთა აღწერანი, რომელიც წარდგენილ იქმნა საქართველოს მთავარ-მართებელთან, მთავარ-მართებელმა ეს აღწერა და მოსაზრება რუსეთის უწმინდესს სინოდს გაუგზავნა და უმაღლეს მთავრობასაც.

ეს აღწერა ჩვენ ვნახეთ, მასში აწერილია იმ დროის საქართველოს ეკკლესიების და მონასტრების რიცხვი, მღვდლების, მთავრების, დიაკვნების, არქიმანდრიტების, ეპისკოპოზების, ბერების, მონასტრების, მამულების და მათი შესავალ-გასავლის, თან დართული აქვს რჩევა, რომ თუ მთავრობა აქ რამე ცვლილებას დაინახავს საქიროთ, მაშინ კათოლიკოზობა გაუქმდეს და მის მაგიერ განწესდეს ეგზარხოსი, როგორც ეს ბოლგარიაში არისო. საქართველოში მყოფ ეპისკოპოზებს დაენიშნოს ამდენ-ამდენი ჯამაგირიო. ცვლილება ამ არხივისკოპოსის წეს-

დების თანხმად მოხდა, პირველ ეგზარხოსათაჲ ესევე იქმნა დაწინულო, ხოლო ანტონ II კათალიკოზი რუსეთს გადაიყვანეს, სადაც იცხოვრა და გარდაიცვალა. 1814 წ. ამ სტამბაში გამოიცა ქართული სახარება მხედრულათ, მცირე ხნის შედეგადამ სტამბა გაფართოვდა, ახალი ასოები შეიძინეს და ამ სტამბაში 1817 წ. ქართული გაზეთიც გამოიცა. დღევანდელი კავკასიის მთავარ-მართველის სტამბის დრო 1707 წ. მისწვდება, ეს სტამბა იქიდან არის გადმოკეთებული. ცხადია, რომ დღევანდელ სტამბის საწყობში ბევრა რამ ძველი ნითები და იარღები იქმნება დაშთენილი, როგორც ვახტანგ მეფის სტამბის დროის.

ამ სტამბას, 1829 წ. მოემატა მეორე სტამბა, კერძოდ ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების დასაბეჭდათ. მეორე სტამბა გახსნილი იქმინა სოლომონ დოდაშვილისაგან, ბერის ივანე ხელაშვილის საფასით, რომელ ბერიც ბატონიშვილებს გადაჰყვა რუსეთში და იქ სცხოვრებდა. აქედამ ჩვენ მიუბრუნდებით ისევ XVIII სუკუნეს და ავწერთ იმ სტამბებთა ცნობებს, რაცა-კი ხსენებულს საუკუნეში რუსეთში დაიხსნა, მერე საქართველოში დახსნილებს შევეხებით.

ვახტანგ მეფას შვილები მწიგნობარნი იყვნენ, ესენი რუსეთში მოსვენებით სცხოვრობდენ, მათ ძრიალ ეთანაღრებოდათ გული საქართველოს შესახებ. ბაქარა და ვახუშტიმ განიძრახეს ქართული სტამბის დაარსება. ამისთვის მათ აიღეს ნება-რთვა, ჩამოასხმევინეს ქართული ასოების ყალიბები, ასოები და 1734 წ. სტამბა გახსნეს მოსკოვის ახლოს, სოფ. „ესესვიატკოვში“ სადაც იწყეს საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა და მცირე დროის განმავლობაში რამდენიმე ნაირი წიგნიც აღბეჭდეს.

ამავე დროს, რუსეთის ეკლესიის წინაშე მსახურებდა იოსებ სამეხელი, ეპისკოპოსი, კაცი მწიგნობარი, სამღრთო წერილის კარგათ მცოდნე. მაღალის ენერგიით დაჯილდოვებული, მას დიდი სიყვარული ჰქონდა საქართველოს და ქართულის მწიგნობრობის, მას დიდათ ენატრებოდა, რომ საქართველოშიაც აღორძინებულიყო საკირო წიგნების ბეჭდვის ოსტატობა იმ კვალათვე, როგორც ეს მის დროს რუსეთში იყო. ამის ნატვრა აღრიდანვე ჰქონდა, მიტომ იგი შეუდგა სამზადისს, რასაც ჯამაგირს იღებდა, იქიდან მონარჩენს ქართულის სტამბისთვის ინახავდა. ამ საქმისთვის დიდათ იშრომა და უკანასკნელ მოახერხა მოსკოვში გადასვლა, იქ ვახტანგ მეფის შეილებთან დაახლოვება და სტამბის გახსნაზე ცდა. ამ საქმეში ბატონი-შვილებმაც განუზიარეს თანაგრძობა. ბაქარ ბატონი-შვილისაგან ჩამოსხმულ ყალიბებით ჩამოასხმევინა ქართული საკირო ასოები, შეიძინა ორი სტანოკი და 1735 წ. მოსკოვში, ბაქარ ბატონი-შვილის სახლში, უწმინდესის სინოდის ლოცვა-კურთხევით, გახსნა ქართული სტამბა, სტამბაში მოთავსებული იყო ხუცური და მხედრული ასოები.

ვიდრე სტამბას გახსნიდა, მინამ იოსებ სამეხელს წიგნების ბეჭდვის გეგმა შეედგინა. პირველ საბეჭდ წიგნად „დაბადება“ დაენიშნა. ამ აზრისავე იყო ბაქარი და ვახუშტიც. როგორც იოსებ სამეხელს ესწორებინა ქართული „დაბადება“ რუსულ და ბერძნულ „დაბადებასთან“ ისევე ვახუშტის და ბაქარს ემუშაკნათ „დაბადების“ შესწორებაზე. შემდეგ ამათ ორივე შრომა ერთად შეაერთეს. იოსებ სამეხელმა საქმე ისე მოაწყო, რომ ბაქარის მიერ დაფუძნებულ სტამბაც თავის სტამბას შეუერთა და ამ სტამბაში მათ იწყეს ქართულ-ხუცურ და მხედრულ

წიგნების ბეჭდვა. სტამბის ზედამხედველებათ ანუ მუშაკებათ დანიშნულ იქნენ: ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი და მღვდელი ფილიპე. ეს ფილიპე იმერელი იყო, მოსკოვში მსახურებდა მღვდლად, 1750 წ დაქვრივებულია, იოსებ სამებელოან უმსახურნია, შემდეგ საქართველოში მოსულა, ანტონ პრველს ეპისკოპოზათ უკურთხებია, ხოფის კათედრაზე დაუნიშნავს, ოსმალთ ახრების მეოხებით ეს კათედრა გაუქმდა, ფილიპეც რუსეთში გარდასახლდა, იქ გარდაიცვალა. ამ სტამბაშივე მოღვაწეობდა დავით მღვდელი. ზედა-მხედველათ დანიშნულ იქმნა ვახტანგ მეფის მდივნათ ყოფილი მელიქსედეკ აბელისშვილი კავკასიძე. სტამბის გახსნაში თავის საფასით დიდათ ეხმარებოდა ხუცეს-მონაზონი ქრისტეფორე გურამისშვილი.

1735 წ. დაარსებულს სტამბაში, წიგნების ბეჭდვა მხოლოდ 1736 წ. დაიწყო. ხუცეს-მონაზონ ქრისტეფორე გურამიშვილმა თავის შრომათ გამოსცა შემდეგი წიგნები: მარხვანი, ზატიკი და ანბანის წიგნი. ეს მღვდელი ქრისტეფორე გურამიშვილი ყოფილა მარჯვენა ხელი იოსებ სამებელისა. ამ სტამბის დაარსების ისტორიას აი რაგვარ მოგვითხრობს თვით დამაარსებელთვე კადამი:— „ოდეს იპურობდა და განაკება კეთილად გამკებელი, კეთილ-მორწმუნე და თვით მპურობელი სრულიად რუსეთისა დიდი ხელმწიფე იმპერატორიცა ანა იოანესა, მას უამსა იგულისმოდებინა უოკლად სანატრელმან არქიეპისკოპოსმან კლადუკისმან და ანსიმანდრიტმან ურეკისამან, კართა მდიკან მწიგნობართ უხუცესის ქოულის თამაზის ძემან, სამეხელმან იოსებ და მიბრძანა მე, უოკლად უღირსსა გურამისშვილს მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს, სტამბის გაკეთება და გაკაკეთებინა დიდის გულის მოდგინებით და წარკე-

ბითა საფასითა მისითა, და დაიბეჭდა დაკითხი, ზატეკი და სახარება.“ ამ ცნობიდან სჩანს, რომ ქართული სტამბის დაარსების ნატვრა ქართველთ გარდა ორს უცხო ტომის სასულიერო პირთაც დიდად სურვებიათ. ამათ შემდეგ ამავე სტამბაში გამოუცია სხვა-და-სხვა წიგნები ქრისტიანთა გურამისშვილს. იმავე დროს, კახეთის მეფის არჩილის ასულის კარის დეკანოზს გიორგი ღამბარაშვილს დაუბეჭდია „მარხვანი“. ამის გასწორებაზე ამათაც დიდად უმუშავენიათ. ამაზე აი რას სწერს თვით დამბეჭდი:— „ძალიათ ღვთისათა, ვიშრომეთ და ვიღვაწეთ წმინდისა ამის „მარხვანისა“ მე, უღიკსმან ქრისტიანთა, კახეთის მეფის არჩილის კარის დეკანოზმან გიორგი ღამბარაშვილმა და სხვითა ვიკონ მოწმობითა და შეწყენითა მოკიდეთ რუსული „მარხვანი“ და ოთხი ჩვენის ენისა, და როგორც რუსულ „ტიბიკონს“ და რიგი უჩნდა ისე იმ რუსულ „მარხვანზე“ გასწორეთ და ისე შეკვრებეთ ნუსხითა“. შემდეგ მოთხრობილია, რომ რაც ჩვენში აკლდა იმას რუსულთა გიორგი ღამბარაშვილი სთარგმნიდა და მით ვავსებდითო, ასეთი შევსებულად ბეჭდეთო. ჩვენ, თფილისში, დაბეჭდილი „მარხვანიც“ გვეკავაო. ეს მარხვანი მეორეთაც დაბეჭდეს 1741 წ. ამავე წელს იოსებ საბებელმა დააწყებინა ბეჭდვა ქართულის „დაბადებისა“ ერცელის ზომის, ამის შემუშავებაზე დიდი შრომა მიუძღვისთ ვახუშტის, ბაქარს და ნამეტურ იოსებ სამებელს, გამოსაცემი ხარჯი თვით ამისი იყო. ეს „დაბადება“ დამთავრდა და გამოიცა 1743 წ. გამოცემის ბოლოში ვახუშტის წერილი აქვს მოთავსებული, იგი მოგვითხრობს „დაბადების“ გასწორების, შეცდომების სწორების და ბეჭდვის ისტორიას. „დაბადების“ შემდეგ ზოგიც სხვა წიგნები გამოიკენ განმეორებით. ყველა ამ წიგნებს სწრაფათ გზავნიდნენ საქართველოში და აერცე-

ლებდნენ სამღვდლოებაში. ამაობაში მოახლოვდა 1750 წლები, იოსებ სამებელი საქართველოში აპირებდა გადმოსვლას და თან სტამბის გადმოტანასაც, მაგრამ ეს მას ვერ მოუხდა, იგი გარდაიცვალა 1750 წ. და ყოველივე მისი აზრები ჩაფუშულ იქნა. უნდა ვსთქვათ, რომ იოსებ სამებელს რომ თფილისში თავის სტამბა გადმოეტანა, მაშინ აქ ძრიელ ბევრი წიგნები დაიბეჭდებოდნენ. იგი სტამბა მდიდარი იყო და მეორე თვით იოსები და მისი მომხრენიც გამოცდილნი იყვნენ წიგნების ბეჭდვაში. საეკლესიო წიგნებს გარდა იგინი უსათუოდ საერო წიგნების ბეჭდვასაც დაიწყებდნენ. თფილისში მაშინ ეს მეორე ქართული სტამბა იქნებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

იოსებ სამებელი თავადის შვილთაგანი იყო, გვარად ქობულაშვილი, თავის დროს კვალათ საკმარისად განათლებული, მკოდნე რუსულის, სლავიანურის და ბერძნულის ენების. იოსებ სამებელის სტამბა დარჩა მოსკოვს სამუდამოთ. მის ზედამხედველობა ბაქარ ბატონიშვილს და რამდენიმეც სხვა მღვდელ-მთავრებს ებარათ. იოსებ სამებელის სიკვდილის შემდეგ იქ შესწყდა წიგნების ბეჭდვა. 1755 წ. ტფილისიდან განდევნეს რუსეთს ანტონ საქართველოს კათალიკოზი. ეს მივიდა რუსეთის კარი სადმი, უკანასკნელ იგი დანიშნულ იქმნა ვლადიმერის და იეროპოლის ეპისკოპოსათ. ამან იმეცადინა და 1759 წ. იოსებ სამებელის სტამბა ვლადიმერს გადაატვინა, დაძინებული სტამბა იქ გააღვიძა, იქ გამართა და 1760 წ. წიგნების ბეჭდვაც დაიწყო. სხვათა შორის გამოსცა „კლდე საწმუნებებისა“ ვახუშტის ნათარგმნი. „თვენი“ მეორეთ. ქართულ-რუსულ-ლათინურ-ბერძნულ ანბანი და ზოგიც სხვა წიგნები. ანტონის საქართველოში დაბრუნების შე-

მდეგ ეს სტამბა დახურულ იქმნა. ანტონის სტამბის გარდა 1761 წ. მოსკოვში მეორე სტამბა გახსნა ტფილელ მიტროპოლიტ ათანასე ამილახვარმა. ეს ათანასე 1759 წ. მეფე ერეკლესაგან რუსეთში ელჩათ იქმნა გაგზავნილი, ეს თანამომხრე იყო ვახტანგის ოჯახის და წინააღმდეგი ერეკლესა, ამიტომ რუსეთიდან აღარ დაბრუნდა, რუსის ქვეშევრდომობა მიიღო. მეფე ერეკლემ რუსის მთავრობას ორჯელ სთხოვა ამ მიტროპოლიტის დაბრუნება, მაგრამ საქმე ვერ მოხერხდა. ამან თავის სტამბაში გამოოსცა შემდეგი წიგნები: სამოციქულო, დავითნი, ლოცვანი, ჟამნი, დაუჯღოპელი და 1767 წ. „პარაკლისი“ და ანბანის წიგნები. ანტონ კათალიკოზის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვლადიმერის სტამბაც ამ ათანასემ შეიძინა, მოსკოვს გადაატანინა და თავის სტამბას შეუერთა. ამისვე დროს დაიბეჭდნენ რამდენიმე საერო ლექსნი და იამბიკოები ბაქარ ბატონისშვილისა. ათანასე მიტროპოლიტი გარდაიცვალა 1774 წ. და დასაულავდა დონის მონასტერს. ამის შემდეგ სტამბა კარგა ხანს აოხებობდა, იქ სხვა-და-სხვა წვრილი სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა. უკანასკნელ ყველა ეს სასტამბო იარაღები და ნივთები მოსკოვის ჟწმინდესის სინოდის საკუთრებად გახდა, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა მოსკოვს გადიტანეს, ეს ძველი სტამბა განაახლეს და იქ დაიწყეს ბეჭდვა. მოსკოვში ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა გაგრძელდა 1860 წლებამდის. ამ დროთა სტამბის მმართველთ მოღვაწეობა იქამდის უფერულია, რომ მასზე საუბარი ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია.

XVIII საუკუნის ნახევრიდან, რუსეთში, ქართველთ საზღვდლოებამ ერთობ ხშირათ იწყეს გამგზავრება, ხსე-

ნებულ საუკუნის მესამე ნახევრამდის, ქართველთა ბინას მოსკოვი შეადგენდა, შექდევ კი მათ პეტერბურგშიაც იჩინეს თავი, ნამე ზურ ეკატერინა იმპერატრიცა მეორეს დროიდან. სხვათა მრავალთა შორის, პეტერბურგში იმ დროს, სცხოვრებდა ქართველი ეპისკოპოსი, გრიგოლ ხარქაშელი. ამანაც იღვაწა და 1786 წ. პეტერბურგში გახსნა ქართული სტამბა, სადაც სხვათა შორის 1789 წ. დაბეჭდა ქართული სახარება. სხვა წიგნების ბეჭდვაც ჰქონია ამ ეპისკოპოსს დაწყობილი, მაგრამ დამთავრება ველარ შესძლებია. მის შემდეგ ეს სტამბა მართიანა ვარლამ არხიევასკოპოზმა, საქართველში პირველ ქართველ ეგზარხოსათ ყაფილმა, სტამბა განაახლა და განავრცო. აქ დაბეჭდა მან ქართული „თენი“ სახარებას ახსნა და ზოგიც სხვა წიგნები. 1815 წ. იქვე დაიბეჭდა ლექსად: „ქეთევან დედოფლის წამება“. შედგენილი დიმიტრი ბაგრატიონისა, 1812 წ. რუსთა ლაშქრის მხედარ მთავრის ბაგრატიონის ძის. ვარლამ ეგზარხოსად ყოფილი პეტერბურგის ქართული სტამბის გახსნის საქმეს ასეთის ჩახრუხაულს ლექსს კილოთი შეამკობს:

„ღვთის შეწევნითა, ზესთა ზენითა,
მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული,
ქსნის ერისთვისა, დავითის ძისა,
ვარლამ ღვაწლი კმა გამართული.
ვინ იყო ძველად, ახტალის მწყემსლად,
აწ რუსთ სინოდის წევრათ შართული,
გიძღენსთ ივერთა, ამერ-იმერთა,
წიკნს დღესასწაულ მბეჭდველი სრული,
მასთან იონა, ვინ არ იონა,
შრომის მოყვარე ცენზორობითა;
მიტროპოლიტმან გამშინჯ-გამჭვრეტმან,
გედეთნის ძემ ძველ გვარობითა

ნიკიფორითა მკითხეს სწორითა,
იგულს მოდგინეს საკმარობითა,
კეთილ შობილმან პაიჭაძემან,
მესტამბემ ყოვლით სახმარობითა.

ამ სტამბის გახსნით იწყება საფუძველი პეტერბურგში ქართულის სტამბის გაძლიერებისა, თვით სამეცნიერო აკადემიის სტამბის ნიადაგის განმტკიცებაც ამას მიეწერება, რომელ სამეცნიერო აკადემიის სტამბაშიაც ბროსემ და ჩუბინაშვილმა გამოსცეს 1840—1863 წლებამდე „ქართლის ცხოვრება“ ვახუშტის გეოგრაფია, ქართულ-რუსულ-ფრანგული სლავარი, ქრისტომატიები, როანე შეთელის „საპასეჟო ცხრილი“ „ვეფხისტყაოსანი“ რამდენჯერმე, „სიბრძნე სიკრთუე“ ქართული გრამატიკები, „ჩონგური“ ლექსთა კრება კ. ლორთქიფანიძისაგან 1865 წ. და 1869 წ. „კაცია ადამიანი“ ილ. ჭავჭავაძისა და რამდენიმეც სხვა წიგნები. უნდა ვსთქვათ, რომ მოსკოვის ქართული ასოები და პეტერბურგისა ერთმანერთისაგან დიდათ განირჩევიან. პეტერბურგის უფრო მოსაწონია, მის ყალიბები XIX საუკუნეშია შედგენილი და მოსკოვისა კი ძველათ. დღევანდელ ჩვენ აკადემიურ ასოების ყალიბებს ნათესავობა 1712 წ. თბილისში გამოცემულს „ვეფხისტყაოსნის“ ასოების ყალიბებთან აქვს. მოსკოვის კი მეტათ განკერძოებულის თვისებისა არის, მათ რამდენიმე ქართველთ სასულიერო წოდების პირთა სახის ბეჭედი ატყვია. ეს უფრო რთული სამზერ საკითხია, პეტერბურგის კი მეტათ მარტივი, კონტა, ნამეტურ წვნიკი ასობია. პეტერბურგის სტამბაში პაიჭაძეს შემდეგ მეტათ მცდელი ხელოსანი ყოფილა მესტამბე ტაბიძე, რუსეთში მყოფ ყველა ბატონიშვილების მომსწრე. რაც-კი პეტერბურგს ან მოსკოვს XIX საუკუნეში ხუცური და მხედ-

რული წიგნები დაბეჭდა, სულ ამ ამომწყობლის ამომწყობილი ყოფილა. 1841 წ. გამოცემულს „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოზე მარი ბროსესაგან მიბეჭდილია შემდეგი ტყეპი, სადაც მოიხსენებენ ტაბიძეს ასე:

„სეიჟონ მესტამბე ტაბიძე, ბეჭდვაზე იყო მკვლელია,

დავბეჭდეთ წიგნი აწ ახლად, განახლდა ძველის-ძველია“.

და სხვანი. ზემოხსენებულ სტამბებს გარდა რუსეთში, კრემენჩუგსაც გამოიცა ქართული წიგნები. აქ ვიტყვი ამხვეც მკირედ.

XVIII საუკ. ბოლოს, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ხანა უკვე ახლოვდებოდა. ამისთვის გამართული იყო მიწერ-მოწერა. ორივე მხარეში საჭირონი იყვნენ რუსულ-ქართულ ენების კარგად მკოდნე პირები. ერთი ასეთაგანია ვაიოს ნაცვლიშვილი, მოწათე ანტონ კათალიკოზისა, რომელმაც სწავლა მოსკოვის აკადემიაში დაამთავრა 1768 წ. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და 1781 წ. თელავის სემინარიის რექტორი იქმნა დანიშნული, ამ დროს იგი არქიმანდრიტად იყო. მკირე ხნის შემდეგ რუსეთის მთავრობის დავალებით მან რექტორობას თავი გაანება და რუსეთში გადასახლდა, იქ ეს დიდის პატივით მიიღეს, დანიშნულ იყო უცხო ქვეყანათა კოლეგიის ნაწილში ქართული ენის მთარგმნელათ. შემდეგ გარემოებამ კრემენჩუგს გასტყორცნა. იქ ეს ამოღად არ ღაშთა, იქაურს ერთს სტამბაში მოაბოვებინა ქართული ასოები და 1793 წ. გამოიცა 1) „ქართული გრამატიკა“, 2) 1798 წ. „საციკრო ლოცვანი“, 3) „მცნება ვასილის ბერძენთ მეფისა“ და რამდენიმეც სხვა წერილი წიგნები. წერილ წიგნებისამ ჩვენ დრომდის ვერ მოაღწიეს. მიზეზი წიგნებთა მკირე რიცხვის ბეჭდვა უნდა ჩაითვალოს. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების

შემდეგ, გაიოს ნაცვლიშვილი ეპისკოპოსის ხარისხით მიზღოვას და ყიზლარის კათედრაზე გადმოიყვანეს. ცხვე განაგებდა ოსეთის სამქადაკებლო კომისიის საქმესაც. აქ, ეპისკოპოსობის დროს, ყიზლარშიაც გაუხსნია ქართული სტამბა და ორი თუ სამი წიგნი დაუბეჭდია, ამ წიგნების მოკრევა ეკითხებოდა იშვიათია. პ. უპიკაშვილის სიტყვიერ, სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცაქში ინახება მხოლოდ ორი წიგნაკი. სხვაგან არსად არაფერი დაშთენილა. ამ სტამბის ისტორია ჩვენთვის უცნობაა არის დაშთენილი, თუმცა გაიოსის ცხოვრების შესახებ ნიკოლოზ მთვარელიშვილისაგან საკმარისად საფუძვლიანი მონოგრაფია გვაქვს ქართულს მწერლობაში.

რუსეთის სტამბების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ზემოხსენებულს სტამბებს გარდა პეტერბურგს და მოსკოვს სხვა-და-სხვა უცხო ტოპოგრაფიულ სტამბებშიაც მოიპოვებოდა ქართული ასოები, სადაც ქართულს წიგნებს თუმცა არა ხშირად, მაგრამ ხანდისხან მაინც ბეჭდავენ. ასეთი იყო ფირალოვის, მეფე გეორგის მდივანთ ყოფილის, ქართული გამოცემანი და ზოგიც სხვა მწიგნობართ ქართველთა, მაგრამ ამ სტამბებთა ცნობებს ჩვენ არ ვცხვებით, რადგანაც მათს არსებობას ჩვენის ისტორიის მასალებთან დაღი რამ კავშირი მაინცა და მაინც არა აქვსთ, ამიტომ აქ ამით ვათაყვებთ საუბარს და გადავდივართ XVIII საუკ. იმერეთის სტამბის აღწერაზე. 1709 წ. თფილისში გახსნილი სტამბა და ქართული წიგნების საქმე მთელს საქართველოში ელვასავებ მოიჟინა. იგი მრავალთათვის გახდა სარკეთ და საყურადღებოთ, ნამეტურ ყურადღება მიაქცავს ბერძენ-იმერთა. დაბეჭდილი წიგნების რიცხვი უცბათ იყლაპებოდა. რაც თფილისს 1709—1713 წლ. წიგნები გამოიცენ, იგი მარტოთ იმერეთის ერს არ ჰყო-

ფნიდა. მიტოპ მოხდა ხსენებულ წიგნების მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე გამოცემაც-კი საქართველოს გარეშე მოსკოვს და პეტერბურგსაც. წიგნების დღა მოთხოვნილება იხმოდა, წიგნები-კი მცირე იყო, ერის თხოვნას ვერ აკმაყოფილებდენ მბეჭდავნი, ქალაქის სიძვირის გამო ყოველთვის ცოტას ბეჭდავდენ. ასეთმა ვარემოებაში იმერთ დიდებულთა და მცარებულთ შორის უადვილესათ გამოარკვია ჰაზრი და ნატვრა იმერეთში სტამბის დაარსების და წიგნების ბეჭდვის, ამისთვის იმერთა თფილისში გამართეს მიწერ-მოწერა. იგინი თფილისის სტამბის გაკეთს სთხოვდენ საქმის მოწყობაში მხოლოდ ხელის შეწყობას. თუ რამ სტამბის იარაღი გაქვსთ მეტო, შეგველოეთ და დაგვიტმეთო. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, საბეჭდი სტანოკი რუსეთიდან მოიღანეს, ხუცური და ხედრული ასოები-კი თფილისში ჩამოასხმევინეს. ბევრის შრომის შექდეგ, 1785 წლებში, ქ. ქუთაისს გაიხსნა უკვე პირველი ქართული სტამბა. სტამბა მოაწყო თფილისიდან წასულმა რომანოზ ზუბაშვილმა, სტამბის კარგმა ხელოსანმა, ვალახიდან მოსულ ოსტატებთაგან განსწავლულმა. ამ ხელოსანმა ამოწყობაც იცოდა და ბეჭდვაც. სტამბის მართვის საქმეში დიდის ენერგიით აღმოსწინდა გენათის არქიმანდრიტი ზაქარია. ხელოსნობაში, ზუბაშვილის მარჯვენა ხელი ეს არქიმანდრიტი ყოფილა, ამასვე უსწორება წიგნები დასაბეჭდათ, კორექტორიც ეს ყოფილა. მხნე ოსტატმა სტამბის გახსნის უმაღლ რამდენსამე იმერთ ახალგაზრდებს აწყობა და ბეჭდვა შეასწავლა. მალე ამოწყობა და ბეჭდვაც დაიწყეს, 1787 წელს უკვე გამოიცა პირველად იმერეთში ქართული წიგნი, შექდეგ პირველის სხვა-და-სხვა წიგნებიც აღიბეჭდენ, ყველა გამოცემის ზედაპარზე დაბეჭდილია მოხსენება იმერ-

თა მეფისა და კათალიკოზისა იწვევ, როგორც ეს ოფი-
ლისში იქმნა შემოღებულა თვით ვახტანგ მეექვსის დრო-
დგან. ლოცვაში, ეკლესიაში მოსახსენებლათ, თავს
აღაგას მოიხსენებდნენ მეფე, მათი უახლოესი ნათესავი და
კათალიკოზი. საეკლესიო წიგნებს გარდა XVIII საუკ.
დამლევამდე რამდენჯერმე ქართული ანბანის წიგნაკებიც
დაუბეჭდავთ ლოცვებით.

იმერეთის სტამბის და წიგნების ბეჭდვის ცნობები
მალე მოიფინა სამეგრელოს მთავრებს და ერს შორის,
გურიაში, სვანეთში და სხვა ასეთ დაშორებულ კუთხე-
ებშიაც. მაგალითის მიბაძვას ყველანი აპირებდნენ, ამო-
ბაში მოახლოვდა XIX საუკ. დასაწყისი და მას თან მო-
ჰყვა სხვა-და-სხვა შინაური და გარეული ცვლილებანი,
რამაც ზემოხსენებულ მთავრებს ხელიდამ გაძოცალა მი-
მბაძობის ჰაზროვნება. იმერეთში, ქართული სტამბა აღ-
რიდგანვე გაიხსნებოდა, რადგანაც ამის საქაროებას იმერ-
თა დიდებულნი, როგორც ზემოთ ვსთქვით, XVIII საუკ.
დასაწყისიდანვე გრძნობდნენ, მაგრამ ეს მათ ვერ უხერ-
ხდებოდათ, რადგანაც იმერეთზედ სასტიკათ მძლავრობ-
დენ მჭრები, ამ ხანებში უძლურის სპარსელისაგან იმდენ-
ნი ვაება ქართლსა და კახეთს არ ადგა, რაც ძრავლის
ოსმალეთისაგან იმერეთს. შედარებასაც ვერ გავხედავთ,
აღა-მამად-ხანი რომ 1795 წ. იმერეთს დასცემოდა, მე
დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ეს უძლურნი ვერას გა-
აწყობდნენ, იმერნი მთლიან დაელოტდნენ მათ, მგონი ერ-
თი სპარსიც ვერ წასულიყო აქედამ ცოცხალი, მაგრამ
მათ ეს ასე არ მოუხდათ. მათ გაილაშქრეს უძლურს
ქართლზედ, სადაც 80 წლის მოხუცი მეფე მეფობდა და
მისი მძიმე და ბერულის მიმართულების ბევრის ქამია გი-
ორგი. თამამათ ვიტყვი, რომ იმერთ მძლავრის ოსმა-

ლის დაშოშმანების და მარჩილებს მეოხებით იმოდონი საქმეები ჰქონდათ, რომ მათ სტამბის და მწიგნობრობის პატრონობისთვის სრულიად აღარაფერი დრო ჰქონდათ, რომ ეზრუნათ. როგორც კი მოიპოვეს მათ მარჯვე დრო, აქი მაშინათვე მოეწყვნენ სტამბის საქმეს.

რადგანაც სტამბის არსებობა, ხარჯი და წიგნების ბეჭდვა დიდს ძალას ითხოვდა, ამიტომ მეფე სოლომონის ბრძანებით სტამბის ზედამხედველ პატრონათ და გამგეთ დაინიშნა სარდალი ზურაბ წერეთელი. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმერეთში ჟამი გაჩნდა, ამის მიზეზით სტამბა რაქაში გადიტანეს, სოფელს წესს და იქ გამართეს და წიგნები ბეჭდეს. მაგალითებრ ქუთაისში სოფრონ ეპისკოპოსისაგან დაწყობილ „სადღესასწაულოს“ ბეჭდვა წესს დაუმთავრებია ზურაბ წერეთელს 1811 წ. ახვე სოფელში დაუბეჭდავთ „დაუჯდომელი ღვთისმშობლისა“ და ზოგიც სხვა წიგნები. რუსთაგან იმერეთის დამორჩილების შემდეგ სტამბა მაინც არ მოსპობილა, ზურაბ წერეთელს თავის მამულს საჩხერში გადუტანია და იქ უბეჭდავს წიგნები. მაგალითებრ საჩხერეში გამოუტიათ „სახარება“ 1817 წ. სახარების ბოლოს მიბეჭდილია შემდეგი ცნობა:— „უფალნა და ძმანა, მომისსენეთ მე მღახალი და უღირსი არსიმანდრიტი გაენათისა, ცოდვილი ზაქარია, რომელმან ფრად შრომა თავს კიდევ წმიდა ამის სახარებისათვის და მრავლათა ღვაწლათა აღკასრულე“ პირველ გვერდზედ მიბეჭდილია შემდეგი:— „დაბეჭდა ესე საღმთო სახარება საჩხერეს, სასახლესა სასლთხუცის წერეთლისას“ ქ. ქუთაისა, 1807 წ. დაბეჭდილს „დავითნზე“ მიწერილია შემდეგი:— „დაბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ეს ფსალმუნთა სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს, პალატსა სამეფოსა უხუცესობითა თავადის სასლთხუცესის ზურაბ წერეთლისათა, ხე-

ლითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზურაბიშვილისათა. „კამპ-გებელი და ზედამხედველი სტამბისა ამის მდინარე ანსიმანდრიტი ზაქარია, ფრიად მშრომელი მუშაკობითა ვილოცავ, რათა მომისხსენებდეთ“. აქ მოხსენიებულ მესტამბე ზურაბის-შვილს ზოგს წიგნებზე ზურაშვილათ მოიხსენებენ, ნამეტურ თფილისში დაბეჭდილს წიგნებზე. ამ ზურაშვილს გარდა იმერეთის სტამბაში სხვა ამომწყობნი და მბეჭდავნიც ყოფილან, ხოლო მათი ვინაობის ჩვენ არაფერი ვიცით. როგორც სჩანს, ეს სტამბა 1820 წლების შემდეგ დაჩურულა. საზგადოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ იმერეთის სტამბის რესტორიის შესახებ ჩვენ ერთობ მცირე მასალები გვაქვს.

შემოთ, ტფილისის სტამბების საუბარში ჩვენ ს. დოდაშვილის სტამბის მოხსენებაზე შევიჩრდით. უნდა მოგახსენოთ, რომ XIX საუკ. დამდეგიდან ტფილისში, ერთი სტამბა არსებობდა, ჩვენის მეფეების დროიდან დაშთენილი. ამ სტამბაში ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა, თუმც იშვიათად. 1814 წ. გამოიცა ქართული სახარება და პატარა წიგნები. 1829 წ. გახსნილ ს. დოდაშვილის სტამბამ დიდხანს ვერ გასძლო, ამ სტამბაზე 5000 მან. ფული დაიხარჯა მღვდელ-მონაზონ ივანე ხელაშვილისა. დამაარსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ, ამ სტამბაში უნდა აღბეჭდილიყვნენ ყველა საჭირო სახელმძღვანელო წიგნები, ის წიგნები, რაც კი 1817 წ. გახსნილ სემენარიში იქმნებოდა სახარებლად საჭირო და ისევ იმ დროის „კეთილშობილთ სასწავლებელში“. ამავ სტამბაში გამოიცა გაზეთი „ტფილისის უწყება“ 1829 წ. და თვიური ჟურნალი 1832 წ. ამ წლის მეოთხე თვეს მოსვობილ იქმნა ეს სტამბა და მის გამგე-პატრონი რუსეთში გარდასახლებული სამუდამოდ, იგი რუსეთიდან საქარ-

თველოში ველარ დაბრუნდა. ამ სტამბის შემდეგ ტფილისში გაიხსნა სხვა სტამბა, აშტარხანელ სომხების ძმათა არზანოვების, სადაც ქართული ასოებაც მოათავსეს. ამ სტამბაში პ. იოსელიანმა დაბეჭდა შავთელის და ჩახრუცაძის პოემები. ეს სტამბაც მცირე ხანს დაშთა. აქ აღადგინდა ესთქვათ შემდეგი: ხსენებული სტამბის პატრონნი სომეხები იყვნენ.

საქართველოში პირველად ამ სტამბაში დაიბეჭდა სომხური წიგნი, ესე იგი 1833 წ. მინამდის საქართველოში სომხური წიგნების ბეჭდვის საქმე კი არა, ხსენებაც კი ქაჭანებათ არ ყოფილა. პირველი მაგალითი იყო ეს, მათ დასტამბეს სომხური ლოცვის წიგნები და სასწავლებელი წიგნები, სხვათა შორის მათ დაბეჭდეს „სერსესის ლოცვები“ ქართულის ასოებით, ხოლო სომხურის სიტყვებით. რათა ამით იმ დროის საქართველოს ქართველ გვარის სომხებში სომხური ენა უაღვილესათ განეცრკოთ. ამით იგინი არ შეცდნენ, მათ ბრწყინვალე დარი დაუდგათ, საქართველოში აღადგინეს სომხური ენა, რაც შეეხება წიგნების ბეჭდვას, ესეც ხომ ყველასთვის ცხადია, ვგონებთ საუბარი და მტკიცება არავის მოუხდება, ყველაფერი თვალთ სჩანს, თუ ჩვენ ქართველთ დაკვირვება და შედარება გვექმნება. ქართული ბეჭდვის ისტორია საქართველოში 1707 წ. იწყება და სომხებისა 1833 წ. აბა ახლა ჩვენი დღევანდელი ბეჭდვის საქმე მათსას შევადაროთ, მითი ჩვენზე ბევრათ ბევრი გამოვა. ზემო ხსენებული სტამბის დახურვის უმალ შემდინილ იქმნა იმ დროის სომეხთ ნერსესიანის სემენარიისაგან, როკელ სემენარიაც პირველად გაიხსნა საქართველოში 1830 წ. ამ დრომდის, საქართველოში არამც თუ სომეხთ სემენარიის ხსენება, არამედ უბრალო სამრევლო სასწავლებლის ქა-

ქანებაც კი არსად იყო. მაგრამ აბა დღევანდელ პოიებს ჰკითხეთ ამის შესახებ, თქვენ ნახათ იგინი რა პასუხს მოგცემენ: ანთ ქალაქის კედლები ლამის მცხეთას აღაგონ, ჰაოსის საფლავსაც ტფილისში სძებნიან. მიტომაც გადააკეთეს ქართულ დედა-ქალაქ ტფილისის სახელი—ტუზისად და ახალციხე - ახსიხათ. (!)

ხსენებულს სემენარიის სტამბაშიაც იყო მოთავსებული ქართული ასოები, აქაც ბექდავდნენ ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა განცხადებებს, ქართული წიგნები კი არა დაბეჭდილა-რა, ერთეულ სომხურს წიგნებს ბეჭდავდნენ. ამ სტამბამ ჩაუდგა საქართველოს სომხობას სული, თორემ მინამდის სომხები საქართველოში ცარიელ ჩონჩხს წარმოადგენდნენ. 1865 წ. ეს სტამბაც მოისპო. 1846 წ. საქართველოში მოვიდა ვორონცოვი. 1850 წლებში, ქართველი შორის ასტყდა საუბარი ქართულის დროგამოშვებითი გამოცემის შესახებ. გამოცემას მრავალნი ნატრობდნენ. ვორონცოვმა მალე დართო თვითური „ცისკრის“ გამოცემის ნებართვა. 1852 წ. გ. ერისთავის რედაქტორობით „ცისკარმა“ იწყო გამოსვლა. ჟურნალის გამოსაცემად რედაქტორმა ჩუქებით სტამბის იარაღიც შეიძინა იმ დროის მთავარ-მართველის სტამბიდან, „ცისკრის“ დაწყებისთანავე სტამბაც გახსნა, მაგრამ „ცისკარი“ 1854 წ. ბოლოს მოსპო და 1855 წ. სტამბაც დახურა. 1856 წ. „ცისკარი“ ივ. კერესელიძემ განაახლა, სტამბაც ნისიათ იყიდა 900 მ. 1857 წ. ამ სტამბაში დაიწყო „ცისკრის“ გამოცემა. ერთ წელიწადს 300 მ. უნდა მიეცა, მეორე წელიწადს 600 მ. მაგრამ ვეღარ მისცა. გიორგი ერისთავმა სტამბა დაუბეჭდა, „ცისკრის“ გამოცემა ერთ თვეს შეუჩერა! ივ. კერესელიძემ დიდის წვალებით ფული იშოვნა და გ. ერისთავს ჩააბარა, სტამბა განთავი-

სუფლდა. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ეს სტამბა გ. ერის-
თავს ვორონცოვის წყალობით მუქთათ ეჩუქა მთავარ-
მართებლის სტამბიდან, სტანოკი ხისა ყოფილა, მესამე
წელიწადს გატეხილა. მერე სხვა რკინის სტანოკი გა-
მოუწერია. ამაზე აი რა მიაბზო ივ. კერესელიძემ:

„სტამბის შეძენის მესამე წელს სტანოკი გამოტყდა,
აღარ ვარგოდა, მის ვალისაც 300 მ. გარდასახდილი
მქონდა. ჟურნალი მიჩერდებოდა. ერთ საღამოს ჩემს
სახლში დავპატიჟე გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, გ.
მუხრანსკი, ივ. მუხრანსკი და ბევრიც სხვა ქართველი
გენარლები. დანიშნულს დროს, ფაიტონი ფაიტონზე
გრილით მოდიოდა, პოლიციასაც შევატყობინე, რომ
მგზავრთათვის სახლის გზა ჩივნიებინათ, შეკრების შემდეგ
მე მათ სტანოკის შეძენაში დახმარება ვსთხოვე. ეს მათ
მოჰხერხეს. ძალე სტანოკი გამოვიწერეთ და სტამბა გა-
ნვაახლე.“ ივ. კერესელიძემ ამ სტამბაში ბეჭდა „ცის-
კარი“ და ყველა თავის გამოცემანი. ეს სტამბა მას კარგა
ხანს ეპყრა. 1873 წ. ექვთიმე ივანეს ძე ხელაძეს მიჰყიდა,
ექ. ხელაძის სტამბა დღესაც არსებობს. ამ სტამბას სა-
კმარ-სი დეაწლი მიუძღვის ქართულს მწერლობაზე. ამ სტამ-
ბაში დაიბეჭდნ ძირელ ბევრი საისტორიო წიგნები. აქ
დაიბეჭდნ ისეთი წიგნებიც, რომელნიც ქართულს მწერ-
ლობაში პირველად იქმნენ აღბეჭდილნი. მაგალითებრ: —
«ქილიჯა და მანა», გამოც. გრიგოლ გურიელისა, «ვისრა-
მიანი», «შა მეტყველება» და ბევრაც სხვა წიგნები. ამას
კარდა აქვე იბეჭდებოდნ ქართული დრო გამოშვებათი
გამოცემანი, გაზეთები და ჟურნალებიც, დღესაც ბევრი
წიგნები იბეჭდება ამ სტამბაში.

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბას ერთი დიდი სამსახუ-
რიც მიუძღვის ქართველთა წინაშე, ნამეტურ ქართველ

გამომცემლებმა, რომელთაც-კი ქართული წიგნების გამოცემა იწყეს 1873 წ. შემდეგიდამ. აა ერთა, თვით მე, ექ. ხელაძის სტამბა რომ არ ყოფილიყო მაშინ, იქმნება წიგნების გამოცემის მოხერხებაც ვერ შემძლებოდა, რადგანაც მაშინ თფილისში სულ ოთხი სტამბა იყო, სამს სტამბაში ჩემისთანა ღარიბი კაცი ფებს ვერ მიღვამდა, რადგანაც ყველა ამ სტამბებში წიგნების საბეჭდს ფასს ისე იღებდენ, როგორც რუსეთის ქალაქებში. ჩვენ, ახლად დამწყობნი ქართულის სახალხო წიგნების ბეჭდვისა, აბა როგორ მოვახერხებდით ასეთ ფასები ძლევას, მაგრამ ბ. ექვთ. ხელაძემ წაგვახალისა, ამოწყობას და ბეჭდვას ისეთი ფასები დაადო, სხვა სტამბის საბეჭდს ზომიანე ისე დააბატარავა, რომ ყოველი ჩვენთაგანი ადვილათ ჰკიდებდა რამე წიგნის გამოცემას და ბეჭდავდა. ბ. ექ. ხელაძის მიხედვით შემდეგ სხვა მესტამბეებმაც დააკლეს ბეჭდვის ფასებს.

ესე რომ არ მოეხერხებინა ბ. ექვ. ხელაძეს, მაშინ ჩვენ, ქართველი გამოცემაეული, ბევრს ვერას გავაწყობდით. პირველი: მაშინ საბეჭდი ქალაქი ძვარი იყო, რასაც მაშინ ოზმას 4 მან. ეყიდულობდით, დღეს ის 2 მან. ღირს, გარდა ამისა წიგნების ბეჭდვაც ახალი საქმე იყო, საქართველოში სახალხო წიგნების ბეჭდვა პირველი მაკალითი იყო, ჯერ სანიმისოდ არა იყიდებოდა-რა, თითო გამოცემა რაჰდენსამე წელიწადს რჩებოდა, რის წვალეებით და ვაივავლახით ვრცელდებოდა, ზოგი მუქთათ რიგდებოდა სოფლებში, ზოგი აქა-იქ ქალაქებში გზავნებოდა და იქაც იკარგებოდა ისე, რომ გამომცემელს ყოველთვის სხვა საქმეებიდამ უნდა ელო ფულები ლ ახალ-ახალ გამოცემაებზე უნდა ეხარჯა, წიგნები კი ხალხში მუქთათ უნდს ერიგებინა, რომ ამის მეოხებით სა-

მერძისოდ ხალხში წიგნების კითხვის სიყვარული აღარ-
ძინებულყო, თუ ეს არა, უმისოდ არა გაკეთდებოდა-
რა. ივით ბ. ექვ. ხელაძეც ბეჭდავდა ქართულს სხვა-და-
სხვა წიგნებს. იგი დღესაც ბეჭდავს საკუთარს გამოცემებს.
მე კარგათ მახსოვს, რომ 1875 წ. 3. უმკაშილმა და
ექ. ხელაძემ, სვეტის-ცხოვლოზის დღესასწაულ დღეს
თფილისიდან ერთი ტომარა ქართული წიგნები წაიღეს
გასასყიდათ, მაგრამ იქ სულ 3 მან. ვერ გაეყიდნათ, ისიც
ნაცნობებს ეყიდნათ. ხალხი ამას არ მისდევდა. ასეთი
იყო მაშინ ჩვენი მწიგნობრობის და გამოცემლობის მდგო-
მარეობის საქმე. ამას რომ ექ. ხელაძის სტამბა არ მოფ-
ლენოდა, იგი მაშინ საკმარისად შეფუარხებული დაშთე-
ბოდა და იქნება ბევრს ველარც-კი გამოეცა წიგნი.

ამ სამარადისოდ მოსაგონარ საქმეს გარდა ამ სტამ-
ბას და მის პატრონს ერთი სხვა სამსახურიც მიუძღვის
ჩვენს ტომის და ნამეტურ სამღვდლოების წინაშე, მა-
გალითურ: 1857 წ. თფილისის უმაღლეს სამღვდლო
პირებთ შორის აღიძრა კითხვა ქართულის საეკლესიო
წიგნების ბეჭდვაზედ, რადგანაც იმ დრომდის საეკლესიო
წიგნებმა ველარ მოაღწიეს, აღრე მოსკოვში დაბეჭდილნი
ეკლესიებში ხმარებისაგან გაცვდენ, მთლად დაიფხრიწ-
ნენ. გარდა ამისა ეკლესიების შენებაც გამრავლდა. საქმე
კინალამ ისე მოხერხდა, რომ ამ წიგნების ბეჭდვა აღრინ-
დებულათ მოსკოვში უნდა გადაეტანათ, სადაც ვინ იცის
რავარ და რანაირათ დაიბეჭდებოდენ. ეს გარემოება
ბევრს ეწყინა, განა დღეს ჩვენი სტამბები იმოდენად არ
უნდა იყოს დაჯილდოვებული, რომ თფილისში მოვახერ-
ხოთ საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვამ! ეს რასა
ჰგავსო. მრავალნი უკუღმართნი ისეთ აზრების იყვნენ,
რომ ვითომც თფილისში ვერ გამოცემენ ისე, როგორც

მოსკოვსო. ამ გარემოებას მკაცრათ აღუდგა წინ ექვ-
ხელაძე, რუსეთის სტამბების ფასს საკმარისად დაუკლო
და საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა მან ითხოვა,
ზოგმა ექვი განუცხადეს, ვერ გამოსცემო. ამან პირობა
მისცა ასე: პირველი—იაფათ დაბეჭდავ, მეორე—თფი-
ლისში უფრო კაი კომისია შესდგება, რომ წიგნების კო-
რექტურა კარგათ შესწორდეს. მესამე—თვით დედნებიც
შეიძლება გაუმჯობესდეს და განხილულ იქნეს მკოდნე
პირებთაგან, მეოთხე—ამისთვის მე გირავენობას შემოვიტან
სინოდის კანტორის წინაშე, რომ თუ ყოველივე ასე არ
აღსრულდეს, თფილისში უფრო უკეთესად არ გამოიცეს
ქართული საღმრთო წერილის წიგნები, მაშინ მე ჩემს
გირავენობაზე ხელი ავიღო, ჯარიმაც გადავიხადო. ბევ-
რის შრომის და სჯის შემდეგ დაადგინეს, რომ ქართუ-
ლი საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა თფილისში იქ-
მნეს დაწყობილი და არა მოსკოვს, როგორც ეს მანამ-
დის უნდოდათ ზოგიერთ პირებს.

ამ საქმის წინაშე სამსახურს გარდა ბ. ექვ. ხელაძემ
ქართველთ ამომწყობლებსაც კაი სამსახური გაუწია, რომ
ასეთი დიდი საქმე თფილისში მათ გასაკეთებლად გახა-
და. საღმრთო წერილის წიგნების ამოწყობის და ზუსტო-
ბის ფული რამდენსამე ხელოსანს ქართველს საყოველ-
თაფოთ დაარჩენს ცოლ-შვილით. დღეს ქართულის საღ-
მრთო წერილის საბეჭდ სამკვიდრო ბინათ თფილისის
სტამბები ითვლება.

ამასთან ბ. ექვ. ხელაძემ ბევრი სოფლელი ყმაწვი-
ლებიც დაზარდა, სტამბის ხელობის ცოდნა მათ საუკეთე-
სოდ შეასწავლა. ყველა სტამბებში დღეს ამისაგან დას-
დილი შეგირდები ამშვენებენ თავიანთ საქმეებს და მასთან
ქართულ წიგნების ბეჭდვასაც. უნდა ითქვას, რომ ზოგს
მათგანს საკუთარი სტამბაც აქვს, თავიანთ საქმეებსაც კარ-
გათ უძღვებიან, ხანდისხან ქართულ წიგნებსაც ბეჭდავენ.

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბის გახსნამდე თფილისში
არსებობდა გბრაელის დუბელირის სტამბა, მერე ეს სტამბა
გიორგი წერეთელმა შეიძინა და „კრებული“ და „დროე-

ბა“ იქ იბეჭდებოდა. ეს სტამბა გიორგი წერეთლის ხელში რამდენსამე ხანს დარჩა, შემდეგ ისევ პატრონის ხელში გადავიდა. მერე ეს სხვამ შეიძინა, ავლაბარში გადაიტანეს და იქა ებეჭდავდით წიგნებს. ამათსავე დროს ტფილისში არსებობდა ჟურნალ „მნათობის“ სტამბაც, მაგრამ იგი მცირე ხანს დარჩა.

1860 წლებში ქართველთ თვალი გაახილეს, მასთან მათ საჭიროთ დინახეს „ცისკარს“ გარდა სხვა ჟურნალის გამოცემაც, ჟურნალისთვის სტამბაც იყო საჭირო, ივ. კერესელიძის სტამბა ყველას ვერ აკმაყოფილებდა, სტამბას გახსნა-კი ძნელი საქმე იყო, ამიტომ 1862 წელს მეწიგნე ეფანჯიანცის ძმამ თავის სტამბაში ქართული ასოებიც მოათავსა, 1863 წ. აქ გამოიცა „საქართველოს მოამბე“. დღეს ეს სტამბა ტ. როტინიანცს ეკუთვნის, სადაც „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვა და სხვა ქართული წიგნებიც იბეჭდება. „საქართველოს მოამბის“ დაქურვის შემდეგ ქართველთ გაზეთის გამოცემაზე დაიწყეს თათბირი. გაზეთის გამოსაცემად სტამბაც იყო საჭირო, ამიტომ რამდენიმე კაცი შეიყარა ერთათ: დ. ბაქრაძე, ე. თულაშვილი, დ. ყიფიანი, სტეფ. მელიქიშვილი და რამდენიმეც სხვა პირნი და 1866 წ. თფილისში სტამბა გახსნეს, სადაც ქართული ასოებიც მოათავსეს, გაზეთისთვის სულ ახალი ასოები ჩამოსახმევეინეს და 1866 წ. მარტადამ „დროების“ ბეჭდვაც დაიწყეს. ამ სტამბაშიაც ბევრი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იბეჭდებოდა. დღეს ეს სტამბა „ქართველთ წიგნთ გამომცემელს ამხანაგობას“ ეკუთვნის, სადაც დაიბეჭდენ აკაკის ნაწერები, ილ. ჭავჭავაძისა, ყაზიბეგის, პეტრიაშვილის და ბევრიც სხვების. დღეს „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“ აქ იბეჭდება.

რაც ნელ-ნელა დრონი მიფრინავდენ, მით დაძინებული ქართველებიც გამოფხიზლებას ეძლეოდენ. მწერ-

ლობაც შესაფერს სულსა და ხორცს ისხავდა, რიგიან მწერლებმაც მრავლათ იწყეს თავის ჩენა. წიგნების ბეჭდვაც გაჩნდა, ამ სიხშირეს სტამბის უქონლობა და საქროებაც თვალ-ხილულათ ემჩნეოდა. 1884 წლებში, თფილისში გაიხსნა ახალი ქართული სტამბა გრ. ჩარკვიანი, არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის. სტამბის მოწყობილება ძველი იყო, მაგრამ საქვეს მაინც უძღვებოდენ. ამ სტამბაში დაიბეჭდა ვახუშტის ისტორია, დიმ. ბაქრაძის რედაქტორობით, საბა ორბელიანის ლექსიკონი და ბევრიც სხვა წვრილი წიგნები. ერთ დროს გაჩეთი „დროებაც“ აქ იბეჭდებოდა, უკანასკნელ სტამბის საქმე აირ-დაირია, ამხანაგებმა კინალამ ერთმანერთი დაქამეს, ერთი წელაწადი დაკეტილი იყო, მერე ესენი მოარიგეს დ. ბაქრაძემ, რაფ. ერისთავმა, იოს. ბაქრაძემ და მე. სტამბა ორათ გაიყო: ერთი ნაწილი არს. კალანდაძეს არკუენეს, მეორე გ. ჩარკვიანს. უკანასკნელის დღევანდლამდე არსებობს თფილისში—აქ იბეჭდება სხვა და სხვა ქართული წიგნებიც. მეორე ნაწილი დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ შეიძინა და ქუთაისს გადაიტანა, სადაც დღევანდლამდისაც არსებობს ეს სტამბა. 1891 წლებიდან კვალად მოემატა ერთი ქართული კარგი სტამბა. ეს სტამბა გახსნეს მაქსიმე შარაძემ და მისმა უნგარო მუშაკ ამხანაგებმა: ესტ. კერესელიძემ, სფ. ლოსაბერიძემ და ვას. გძეოიძემ. ამ სტამბის გახსნა და მის უნგარო მუშაკთ ძხათ მეცადინეობამ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ქართველობას. დღეს ამ სტამბაში იბეჭდება აუარეგელა ქართული წიგნები. აქ იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები, ჩემი, თვით სტამბის ამხანაგობის და ბევრიც სხვების. აქვე იბეჭდება გაზეთი „ივერია“ და ხანდისხან სხვა და სხვა დრო გამოცემანაც. დღეს თჳილისში ოთხი ქართული

სტამბა არსებობს, სადაც ნახევრამდის ქართული წიგნები და საქმეები იბეჭდება. უნდა ვსთქვათ, რომ ღლეს არც ეს სტამბები ჰყოფნის ქართველთ და ამ სტამბებს რომ ერთი სხვა დიდი სტამბაც მოემატოს, მაშინაც-კი საქმარისი იქმნება მათთვის საქმე, რადგანაც ხშირად ხსენებული სტამბები ვერც კი ასლიან საქმეების შესრულებას.

მაშასადამე მკითხველი აშკარათ მიხვდება, რომ ჩვენში, რამდენიც დრო გადის, იმდენი მწიგნობრობის საქმეც წინ მიდის და სტამბის მოახოვნილებაც ემატება. სტამბა და წიგნის ბეჭდვის საქიროება თფილისს გარეშე საქართველოს სხვა კუთხეებსაც დიდათ დაეტყო, ასეთია ნამეტურ იმერეთი. ქუთაისში მთავრობისაგან გახსნილი სტამბა 1850 წლებიდან არსებობდა, ამ სტამბაში ხანდისხან ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა, მაგრამ ეს არ კმაროდა, 1880 წ. იქ გაიხსნა მეორე სტამბა სადაც ქართული წიგნების ბეჭდვამაც კარგათ იჩინა თავი. 1875 წლების შეზღვევ იმერეთს უფრო ემცნეოდა წიგნების ბეჭდვის მოთხოვნების საქიროება, იმერთ შორის ზოგიერთებმა იწყეს სხვა და სხვა წიგნების გამოცემა ქ. ქუთაისს. ამ გარემოებამ სხვა სტამბის გახსნაც მოითხოვა, მალე გაიხსნა იქ მ. გამრეკელის სტამბა, სადაც ერთ დროს გაზეთ „შრომაც“ იბეჭდებოდა. აქვე დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ სახალხოთ, ახალის სახის მექონ ასოებით, რომლის ყალიბების ჩამოსხმა და ასოების შემოღება კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ეს ასოები დაწუნებულ იქმნა ქართველთაგან, ამიტომ იგი დაშთა უხმარებელ. ერთის შეხედვით ეს ასოები ბერძნულ ასოებს ჰგავს, კაცს თვალს უჭრელებს; ამას ბევრათ სჯობია ის ახალი ასოები, რომლის ყალიბები ნიკოლოზ ნიკოლაძემ პარიზში გააკეთებინა, ასოებიც ჩამოასხმევინა და საბეჭდათაც ვცა-

დეთ, მაგრამ ვერც იგი აღმოჩნდა ჩვენს ფარსავათ. შედარებით-კი ეს უნდა სჯობდეს ზემოხსენებულს და ქუთაისში შემოღებულს. ეს სტამბა შემდეგ გადავიდა პ. წულუკიძის ხელში. ხსენებულ სტამბას მოჰყვა ბ. ფერაძის სტამბა, სადაც ქართული ასოებიც მოათავის და წიგნების ბეჭდვაც დაიწყო.

იმერეთში ყველაზე დიდი შრომა და ამაგი გამოიჩინა დეკ. დ. ლამბაშიძის სტამბამ, სადაც დღევანდლამდე იბეჭდება სასულიერო გაზეთი „მწყემსი“ და აკაკის თეოლოგიური ჟურნალი „კრებული“. აქვე იბეჭდება სხვა და სხვა სასულიერო დიდრონი წიგნები, ხშირათ წერილი წიგნებიც, სახალხოღ, კაპეიკიღამ დაწყობილი 10 კაპ, ზოგი ჩვენის ისტორიიღამ და ზოგიც საღმრთო სჯულის ისტორიიღამა. სტამბის დაარსებამ და წიგნების ბეჭდვამ დიდი საქმე, დიდი სამსახური დათესეს, იმერეთის ერში წიგნების კითხვა და სიყვარული უადვილესათ აღაფრთოვანეს, თფილისის მაწანწალა ვაჟრების წიგნებსაც იქით გზაში გადაეღობნენ. ამ სტამბის შემდეგ ქუთაისში გაიხსნა ივ. კილაძის და იოს. ხელაძის სტამბა, სადაც იბეჭდება დრო და დრო ქართული წიგნები. აქვე გამოიცენ ქუთაისის ამხანაგობის გამოცემანი. ქუთაისის ოთხ სტამბას მალე მებუთეც მოემატა, ეს იყო ილო, ჭყონიას სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი «მეურნე». სხვა და სხვა გარემოების მეოხებით ამ სტამბამ დიდხანს ვერ შესძლო არსებობა და მიტომ იგი შექენილ იქმნა ბ.ბ. კილაძისა და ი. ხელაძისაგან, დღეს ქუთაისში სულ ოთხი სტამბა არსებობს, ქუთაისში ამსზე მეტი ვგონებთ ჯერ საჭიროც არ იქმნეს. რადგანაც იმერთ შორის ყოველს დაბასა და ქალაქშიაც იღვიძებს სტამბის გახსნის საჭიროება, მაგალითად, საქმე და მიმბაძაობა ესე წავიდა მათ შორის, რომ

1887 წ. კოწია ჩითანის ძე თავართქილაძემ თვით ოზურგეთშიაც გახსნა ქართული წიგნის საბეჭდი სტამბა. ამ სტამბის გახსნის საქმეს გრ. გურიელი დიდის სიხარულით მიეგება. პირველ დღესვე შებრძანდა სტამბაში და ასოთამწყობს ასე უთხრა:—, რას ვსედავ ამას, იმასაც მოკესწარ, რომ გურიაში, ოზურგეთში, სტამბა ვნასკ. აჰ, თქვენს მარჯვენას ვა ვენაწაღე, თქვენს მარჯვენას, რითაც-გი მისურკებთ და დამაკალებთ, მე მისათა ვარ, რომ ყოველთვის გემსასურათ“. ამ სტამბაში გამოიცა „ვეფხისტყაოსანიც“— კი. სხვა და სხვა წვრილი და დიდრონი წიგნებიც, გურულები ჩქარა შეეჩვივნენ სტამბის საქმეებს. მათში მალე ჩვეულებათ წაკიდა ქორწინების და მიცვალებულით ამბების განცხადებათ ბეჭდვა. კ. თავართქილაძემ ამ სტამბის გახსნით დიდი სამსახური გაუწია კერძოთ გურულებს და საერთოთ ქართველებს. ეს ენერჯიული კაცი მარტოთ ოზურგეთის სტამბას არ დასჯერდა, იგი გადავიდა სამეგრელიოში და დ. სენაკშიაც გახსნა ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბა, სადაც მრავლად იწყეს წიგნების გამოცემა. კ. თავართქილაძის გარდა სტამბის აღვილათ პოვნის მეოხებით სხვებმაც იწყეს დრო და დრო წვრილი წიგნების გამოცემა. სენაკს შემდეგ ამავე პირმა და აღფ. მიქელაიშვილმა ბათუმშიაც გახსნეს ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბა, სადაც პირველად გამოიცენ ქართული წიგნები. ჩვენს ძველებს რომ სმენა ჰქონდესთ, მაშინ იგინი ბათუმში ასეთი სტამბის გახსნით მგონი გაიხარებდენ. ამათ სტამბის გახსნამდის ბათუმში მახარაძესაც ჰქონდა სტამბა, სადაც მცირედ ქართული ასოებიც იყო, იგი უფრო რუსულ საქმეების კეთებას მისდევდა. კ. თავართქილაძის სტამბის გახსნამ ბათუმში ბევრნაირათ იმოქმედა, იმედია იქ წიგნების გამოცემლობაც წარმატებას მი-

ეცემა, ამის ნიშნები ჩვენ უკვე ვნახეთ: წიგნთ გამოცემ-
მელ ამხანაგობა „გლეხმა“ პირველად ბათუმში ამ სტამ-
ბილამ დაიწყო გამოცემლობა,

ზემო ხსენებულ სტამბებთ გარდა ფოთსაც ელირსა
სტამბა და 1890 წლებში, იქ გახსნა სტამბა ლავრენტი
ტულუშმა. ამანაც მოათავსა ქართული ასოები, ქართული
წიგნებიც გამოცა. მ:გალითად იქ დაიბეჭდა ვრცელი
საექიმო წიგნი „სიმრთელის კილობანი“, ორი წიგნი ქარ-
თულის პიესებისა და რამდენიმეც სხვა წერილი წიგნები.
ამავე სტამბის პატრონმა პატარა სტამბა ზუგდიდშიაც
გახსნა, სადაც დღევანდლამდე არსებობს. ზუგდიდის შე-
მდეგ სოხუმშიაც გახსნეს სტამბა, სადაც სანატრელია,
რომ ქართული წერილი წიგნების ბეჭდვაც დაიწყო.
ასეთსავე საჭიროებას შეადგენს ახალციხეში ქართული
სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა. ეს არის რიცხვი
დღევანდელის იმერეთის სტამბების და რაც დრო გადის
მით მათი მოთხოვნილებაც ერთი ათად მატულობს. ქარ-
თლსა და კახეთში კი ეს ასე ვერ მადის, თუმცა ექვთიმე
ხელაძის წყალობით პატარა სტამბები თელავსა და სილ-
ნალსაც გაიხსნა, სადაც დღევანდლამდინაც არსებობს,
ორივე ქალაქის სტამბებში წიგნებიც დაიბეჭდა ადრე.
ჩვენ გვეგონა, რომ იქ სხვა-და-სხვა გამოცემლებიც იჩინ-
დნენ თავს, მაგრამ რამდენიმე წიგნაკების გამოცემის შე-
მდეგ იქ სხვა არავინ გამოჩნდა, არავინ რა დაბეჭდა.
ხსენებულ ქალაქების საქმეთა მოწყობას არც გორი ჩა-
მორჩა, აქ სტამბა გახსნა არ. კალანდაძემ, ეს სტამბა
დღესაც არსებობს, ქართული ასოებიც აქვს, პირველ
წიგნათ აქ გამოიცა „მიბაძვა ქრისტესი“ თომა კემფე-
ლისა, თარგმანი პატარის ანსელმო მღებრიშვილისაგან.
ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ ამ სტამბიდან სხვა

წიგნებიც გამოიცემოდნენ, მაგრამ ეს ასე არ იქმნა, იქ ხსენებულის წიგნით შეჩერდა გამოცემა. უკანასკნელს წლებში, თვით კავკავის ქართველთაც იგრძნეს ქართული ასოების საჭიროება, კავკავის ერთმა უცხოელმა მესტაშემ ქართული ასოებიც გაიჩინა და იქ ორი ქართული წიგნაკიც დაიბეჭდა. იმედია შემდეგ სხვებიც მიბაძვენ ამ სამაგალითო საქმეებს და წიგნების გამოცემას განაგრძობენ. სხვა-და-სხვა გარემოებამა და შემოხვევებმა ქართული სტამბების დახსნის საჭიროება საქართველოს გარეშე, უცხო ქვეყნებშიაც იქმნა გამოწვეული. მაგალითებრ: 1850 წ. ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, სადაც არსებობდა სომეხ-კათოლიკეთა მხითარისტების სტამბა, იქვე პეტრე ხარისქირაშვილის მეოხებით ჩამოსხმულ იქმნა ქართული ასოების ახალი ყალიბები, მით ახალი ასოები და იმაე დროს წიგნების გამოცემაც იწყეს. შემდეგ ეს ასოები იქილამ პ. ხარისქირაშვილმა კოსტანტინეპოლს გადმოიტანა, თავისაგან აღშენებულს მონასტრის ზღუდეთა შორის ერთს სახლში მოათავსა 1870 წ. ეს სტამბა დღევანდლამდე არსებობს. კოსტანტინეპოლის შემდეგ, პ. ხარისქირაშვილის მეთაურობით ახალი ქართული სტამბა მონთობანშიაც მოთავსდა (ფრანცია), სადაც ქართველ კათოლიკეთ ბერების მეოხებით რამდენიმე ქართული წიგნებიც გამოიცენ. როგორც ვიცით, დღეს ამ სტამბებში წიგნებს გამოცემის საქმე შეჩერებულია, პეტრე ხარისქირაშვილის სიკვდილით საზღვარი მიეცა ასეთ საქმეთა წარმატებას. სამწუხაროა ასეთი დიადი საქმის მომავალში დაკნინება. ამ აღგილებთა გარდა 1832 წ. პარიზში აკადემიკმა მარრ ბროსემ ქართულ-ფრანგულის ასოებით ლიტოგრაფიულის ბეჭდვით გამოსცა ქართლის ცხოვრების ნაწილი, რომელსაც ჩვენში ამ ისტორიას

„პარიჟის ქრონიკა“ ეწოდება. 1845 წ. ტრიესტში, ლითოგრაფიულის ბეჭდვით, გამოიცა ქართული წერის დედანი, შედგენილი ტარასი არქიმანდრიტისაგან, ვისი გამოცემა არის ამისი ჩვენ არა ვიცით-რა.

XVIII საუკ. სტამბებთა აღწერაში ჩვენ არ ავნიშნეთ შემდეგი: 1795 წ. უბედურების შემდეგ, როგორც ნათქვამი გვაქვს ზემოთ, თფილისში, ქართული სტამბა მალე განახლდა ისე, რომ 1796 წ. თფილისში ორ-სამი ვრცელი ქართული წიგნიც გამოიცა. განახლებულის სტამბისთვის რუსეთიდან გამოიწერეს სტანოკები და ზოგიც სხვა იარაღი. ერთი სტანოკი, მეფის ბრძანებით, თფილისიდან სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს გაეგზავნა საჩუქრათ, რადგანაც 1795 წ. მტრისაგან ეჩმიაძინის სომეხთ სტამბაც იქმნა შემუსვრილი. ამ სტანოკის გაგზავნის შესახებ პ. იოსელიანსაც აქვს ცნობა.

მეფე ერეკლეს და სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს (1780—1799 წ.) შორის დიდი მეგობრობა ყოფილა გამართული, ამათ ერთმანერთისთვის ხშირად წერილები უგზავნიათ. ხანდისხან ერთმანერთს დახმარებიან კიდევ უამისობა, რასაკვირველია, არც შეიძლებოდა. ამ უკანასკნელ წლებში, ეჩმიაძინის სომეხთ კათალიკოზის ძველ წიგნებთა მდივან ხანაში აღმოჩნდა დიდძალი წერილები მეფე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზის ერთმანერთთან მიწერილები. ყველა ეს წერილები ერთათ შეკრიბა სომეხ მოძღვ. აღნიანმა და 1899 წ. თფილისში ცალკე ტომად დასტამბა. ამას ეწოდება «მდივანი სომხეთის ისტორიისა» (1780—1800) სხვათა მასალებთა შორის აქ მოიპოვება შემდეგი ცნობაც ჩვენი სტამბის შესახებ.

მეფე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზს ისეთი მეგობრობა ჰქონიათ ერთმანერთთან, რომ ლუკა კათალი-

კოზს ვითომც მეფე ერეკლესთვის ეჩმიაძინის სტამბილამ ერთი კარგი სტანოკი გამოეგზავნოს ფეშქაშათ. ცნობები მოგვითხრობს, რომ ვითომც დასაბეჭდს ქალაქსაც მეფეს კათალიკოზი უგზავნიდა ეჩმიაძინილამ. ამის შესახებ ჩვენში არაფერი ცნობებია დაშტენილი, გარდა ამის ცნობები გვაუწყებს, რომ სომეხთ კათალიკოზს ამსტერდამილამ (ჰოლანდია) სხვა და სხვა ენების ლექსიკონები გამოეწეროს და ყველა ესენი მეფე ერეკლესთვის მიერთმოს დეშქაშათ. ეს თუ მართალია, მაშინ, ჩვენის ფიქრით, იგი 1785 წლებში უნდა ყოფილიყოს. ცნობა არს, რომ ესევე კათალიკოზი შუაზღვომლობდა შახრიმიანთან მიწერ-მოწერაში, რომელიც მეფე ერეკლეს და მის შორის აღიძრა 1780 წლებში. ჩვენს ქართველთ სტამბის გამართვის ისტორიაში არსად არის მოხსენებული ეს სომხური ცნობები, რომელთა სიმართლეში ჩვენ ეჭვი გვაქვს.

სასიამოვნო იქმნება, რომ ხსენებულ საქმეებთა შესახებ ცნობები შეიკრიბოს, ჭეშმარიტებით კითხვა გამოირკვეს.

აი, ეს გახლავთ ანგარიში და ისტორია ყველა იმ სტამბების, რაც კი 1625—1900 წლამდე საქართველოს და მის გარეშე ქვეყნებში დახსნილან და წიგნები უბეჭდავთ.

ზ. ჭ.



ხალხური ლექსები

(შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან)

შევიყარენით ძმობილნი,
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭამე
ვურჩევდი თათუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭამე
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმევდი
ვურჩევდი ბადაგისასა.
კოლი მთხოვა და ვერ მივეც
მიმყვანდა სადღერისასა.
ან კი კოლს როგორ მივცემდი .
შვილსა გაზდილსა სხვისასა.
ხელი მოჭხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი კოლს ცუდის ყმისასა“.
მეც გულმა ველარ გამიძლო
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმაღვე იმან დამასწრო
ელვასა გვანდა ცისასა,

მაგრამ დაუცლა მუხანათს,
ვენაცვალე მადლსა ღვთისასა,
ახლა მე შემოუქნივე,
ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა,
გავჭერი ცხენი და კაცი
წვერიც მომიხვდა ქვიშასა.
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა,
ცოლი სიღედრსა მივგვარე,—
ის კი იქა სჭამს ქვიშასა.

დავით გიორგელას შეილო
თავადო ახმეტისაო.
ვინ მოგცა მებალახობა
ყუდროსი, ბოქორმისაო,
ერიდვ ფშაველ ხუმარა:
არის შენი ქვეყნისაო,
იმისი ხმალი რკინისა
როგორც თოვლს ისრე სჭრისაო.

ხუმარამ დავითი მოკლა
მცარცეავი ფშაველთ ცხვრისაო.
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც სისხლი გვასვა მტრისაო.

რას გეშინიან ხე შარავ
რა სხვა-სხვა ფერი გღისაო,
არა გეშურს თითო მანეთი
თითოს თიკანი თხისაო.

შეგირცხვეს აქიმიშვილო
ომში გაწირული ჩოხანი,
ვინც მოკვდა ღმერთმა აცხონა
შენ რათ მოხვედი ცოცხალი?

წითელ ღვინოს ლოყა გიგავს
ჭიქაშია მოელვარეს,
სასუფრეელი რათ უნდა
მაგ შენს მკლავზე მწოლიარეს.

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს
აღების ღამეს ღვინოსა,
მჭადი ჭამოს და წყალი სვას
დაწვეს და დაიძინოსა.

მცხეთას მამალმა იყივლო,
ავქალასა ვარიამა,
რა კარგი გოგო დამდგარა
ჩვენებთანთ მარიამა,
რო შავხედე მის წიგნ კითხვას,
გამეხარდა, გულს იამა.

ახმეტასა და უტოსა
წყალი ჩამოდის ორვილი
ზამთრიე და ზაფხულ მუდმისად
მთები აქვს ჩამოთოვლილი.



ანდაზები

—ომში რა სჯობიაო და რაც ხელში მოგხვდესო.

—ჭინჭრაქას ახედ-დახედე და პოზანი (ბარკალი) ისე აირთვიო.

—მომრევის მომრევი არ დაილევიაო.

—ურჩიას ღორი ემძიმებოდა და გოჭიც ზედ წაუდევსო.

—ჭიანი კბილი კაკალს ვერ გატეხსო.

—კარგ მშოვებელს კარგი შეშნახავი სჯობიაო.

—მწიფეს ესვროდნენ და მკუხე ცვიოდაო.

—თავ ზეთ ძალა არა მაქვსო.

—ყველა ჭაში რომ ჩააფურთხო, რომელი წყალი უნდა დალიო.

—ქაჩალი კიდევ მივა მექუდესთანაო.

—ნუ აფურთხებ წყაროში, თორემ კიდევ მოგწყურდებაო.

—სადამოსას დილის შარი სჯობიაო.

—ქათმის მომჩივანს ინდოური კალათში უნდა გყავდესო.

—ძაღლმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.

—ქორს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უყურებდაო.

— ვირი ქორწილში დაჰპატიეს და წყალი კი მაინც იმას აზიდვინესო.

— თივა და ცეცხლი ერთად არ დაიდებო.

— წამწყმიდა წახედულობამ.

— უცებ მოსულ მტერს იმითი დახედებთან, რითაც შეხედებთანო.

— უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო.

— უბრალო ტირილი მკვდარს ფეხს გააქნევინებსო.

— კაცმა კაცის დარდი არ იცოდა და შუალამისას ნანას ეუბნებოდაო.

— კაცი გულით ხარობს, ცეცხლი კი უგულოთო.

— ცოცხალი რომ არ გიყვარდი, მკვდარს რაღას შემეფარები.

— ახლოსა ხარ წვერებს მგლეჯავ, გამშორდები რა იქმნები.

—•••••—

ზ მ ა

ადებია — მიღებია

ნახე იმას რა აბია!

მოვა ბია მოამბია

რაც შენ გინდა ის აბია,

სულ იმაზე აღძრულია

თათარი და არაბია.

—•••••—